ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო ⋆ LITERATURULI SAQARTVELO ⋆ ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

10 მაისი 2024წ. №7 (4085) გამოცემის 93-ე წელი ფასი 2 ლარი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ვანო ჩხიკვაძე

უწმიდესო!

მახსოვს, სალოცავის ღია თაღებს
თქვენი ვედრების ხმა ცისკენ მიაქვს,
ჩემი ფოთოლივით მოცახცახე
ხელი ხელისგულზე გისვენიათ.

ის ხმა მომავლიდან ჩამორეკავს –
„დედა ღვთისმშობელო, დაგვიფარე,
თუკი პატრონებად ვერ ვივარგებთ,
ამ ჩვენს საცხოვრისში სხვა იხარებს!“

ეგ ხერხემალი არ იღუნება,
არ თქვათ, უწმიდესო –
დავიღალე!
თქვენ ხომ წაქცეული სიყვარულის
ხელში ასაყვანად დაიხარეთ!

4 იანვარი, 2024
თბილისი

დიმიტრი შველიძე

კონფრონტაცია და კონსოლიდაცია

1918 წლის 26 მაისიდან დღემდე

წერილი მეორე – საბჭოთა დრო

ახალი დამპყრობლები თავდაპირველად ირწმუნებოდნენ, რომ საბჭოთა საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა იქნებოდა. ქართველ ბოლშევიკთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც სჯეროდათ, რომ საბჭოთა რუსეთის ჯარი დაუყოვნებლივ გავიდოდა საქართველოდან, როცა შეიქმნებოდა საქართველოს წითელი საბჭოთა არმია. **„როცა შესაძლებელი იქნება, როცა საქართველოს ეყოლება თავისი საკუთარი ძალები, ისეთი ძალები, რომლებიც შეძლებენ, დროებით მაინც, გარეშე საფრთხიდან დაიხსნან საქართველო და ისეთი აუცილებელი საჭიროება არ იქნება რუსეთის ჯარების აქ ყოფნა... ეს რუსეთის ჯარები გაყვანილი იქნებიან“.**



ამ სიტყვების ავტორი ქართველი ბოლშევიკი აბელ ენუქიძე გახლდათ. აბელ ენუქიძეს კვერს უკრავდა მეორე ქართველი ბოლშევიკი მამია ორახელაშვილი: **„რასაკვირველია, ეს ხომ არ არის უბრალო დაპირება, რომ საქართველოს წითელი ჯარის შექმნა გადაწყვეტილია... როდესაც ჩვენ საქართველოში გვეყოლება საკუთარი ლაშქარი, რასაკვირველია, რუსეთის ჯარს წავიყვანთ, მოგაშორებთ... რუსეთის ჯარი უთუოდ იქნება დაბრუნებული რუსეთში...“**

1921 წლის 2 მარტს გამოსული ბოლშევიკური გაზეთი „კომუნისტი“ უკვე ირწმუნებოდა, რომ საქართველო სწორედ ახლა გახდა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი. რაც შეეხებოდა XI არმიას, **„საბჭოთა ჯარი შემოვიდა ჩვენში სწორედ ამ ეროვნული თავისუფლების დასაცავად და მუშათა კლასის გასანთავისუფლებლად“.**

ქართველმა კომუნისტებმა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყეს ყველაზე უხერხული სიყალბეების დასაბუთება და მოსახლეობის მანიპულირება.

სანამ ბოლშევივიკები დაპყრობილ ქვეყანაში თავს მყარად იგრძნობდნენ, მათ გადაწყვიტეს, 1921 წლის 26 მაისს ედღესასწაულათ – საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოდ ქცეული დღე. ისინი ფიქრობდნენ, რომ ქართველი საზოგადოება დაიჯერებდა ახალი ხელისუფლების სიყალბეებს საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. კომუნისტების მიერ კონტროლირებული დამოუკიდებლობის ზეიმი არ გამოვიდა.

▶▶ დასასრული მე-2 გვ.

ავტორი და მკითხველი

ავტორი და მკითხველი. მარადიული რგოლი, მარადიული თემა. ზოგჯერ გადამწყვეტიც არის მკითხველის ფაქტორი, მკითხველის არსებობა, მისი როლი და ადგილი შემოქმედებით პროცესში. წერის დროს მკითხველი, გინდა არ გინდა, იქ არის, სადაც ავტორის ფიქრი და განცდაა. ავტორი-წიგნი-მკითხველი, ეს არის ერთიანობა, ის სამკუთხედია, რომელიც, როგორადაც უნდა ეცადო, ვერც დაშლი და ვერც გადააკეთებ. წერის არსში დევს ეს კავშირი, რომელიც ჯერ გულისხმობს ყურადღებასა და ურთიერთნდობას, შემდეგ კი ყველაფერს, რაც სოციალურ კომუნიკაციებს ახასიათებს ზოგადად და კონკრეტულად. მკითხველს შეიძლება მოსწონდე ან არ მოსწონდე, მაგრამ შენ ვალდებული ხარ, ის გახსოვდეს, გრძნობდე, ხედავდე, გიყვარდეს, ვითარცა თავი შენი.

თამაზ წივნივაძის ნაწერების კრებული „რაგინდ დიდი გული გქონდეს...“, რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „დილამ“ (შემდგენელი დოდო წივწივაძე, რედაქტორი ელისაბედ მეტრეველი, მხატვარი მალხაზ კუხაშვილი, დიზაინერ-დამკაბადონებელი ნუგზარ არჩემაშვილი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბელა გველესიანი და მზია ბარბაქაძე) იწყება სტატიით, რომელსაც მეტყველი, გრძნობიერი სათაური აქვს: „გულში როდემდე უნდა ვმალო – მიყვარხარ, მკითხველო!“

ეს არ არის ჰაერზე ნათქვამი სიტყვები. ეს კონცეფციაა, ხასიათია, შემოქმედებითი თავისებურებაა. თამაზ წივწივაძეს სურს დაუშვას, უნდა, რომ არსებობდეს მკითხველის თანაშემოქმედება, კოორდინაცია, თანამშრომლობა ავტორთან. ანალიტიკოსის თვალით რომ შევხედოთ მის წერილებს, აქ ავტორი და მკითხველი ტანდემად მუშაობენ, ავტორის სუბიექტურ მოტივაციებს მკითხველი ობიექტურ მოცემულობად აქცევს. მკითხველი ემოწმება კრიტიკოსს, თან მასთან

▶▶ დასასრული მე-4 გვ.

ოთარ ჭილაძის გახსენება

ზაალ გოტკოველის წერილი
გვ. 5

როგორ მიყვარდე ისე?

ქეთევან შენგელიას ლექსები
გვ. 7

დეგიუტი

ლუკა გასილაძე
გვ. 8-9

„სარგიელის“ აკა მორჩილაძე

ა. გასილაშვილის წერილი
გვ. 14

იოსიფ ბროდსკი

თარგმნა ანდრო გუაჩიძემ
გვ. 15

▶▶ პირველი გვერდიდან

ჯერ კიდევ ლეგალურად არსებულმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დღესასწაულს ბოიკოტი გამოუცხადა.

თუმცა პატრიოტული ძალები მაინც შეიკრიბნენ თბილისის სხვა უბანში – „ძმათა სასაფლაოზე“ და დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. მოზეიმეებს **„ჩეკისტებმა“ ალყა შემოარტყეს და ეროვნული დროშის წართმევა დაუპირეს მომიტინგე ახალგაზრდებს. ვლასა მგელაძის მოგონებით: „განსაკუთრებით დიად და პირდაპირ დაუჯერებელ სანახაობას წარმოადგენდა 26 მაისის საპროტესტო დემონსტრაციები 1921 და 1922 წლებში, სადაც თავპირ დასისხლიანებული ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი თავის პაწია თითებით ეროვნულ სამფეროვან დროშას ჯალათ ჩეკისტებს არ ანებებდნენ: მანდილოსნები, ვაჟკაცები მოძალადე ხელისუფლებას და მათ ჯალათებს გააფთრებით ებრძოდნენ... ასეთი ამბები მთელ საქართველოში ხდებოდა...“** (ვლასა მგელაძე. რუსეთის მობრუნება საქართველოში. პარიზი. 1936. თბ., 1991. გვ. 34).

1922 წელს ბოლშევიკურმა რეჟიმმა საბოლოოდ გადაწყვიტა ბოლო მოეღო დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოებისათვის. ცხადია, ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება ცენტრალური ხელისუფლების მითითებებით მოქმედებდა.

რეჟიმმა ერთ-ერთი პირველი იერიში დამოუკიდებლობის დღეზე მიიტანა. ახალი ოკუპანტები ჭკვიანი დამპყრობლები აღმოჩნდნენ. მათ იცოდნენ, რომ როგორმე უნდა მოეხერხებინათ ძველი სიმბოლოების ახალი იდოლებით ჩანაცვლება. ჯერ კიდევ ფრენსის ბეკონი წერდა, რომ იდოლების მოთხოვნილება ადამიანთა მასების თანდაყოლილ თვისებას წარმოადგენს. თუ ეს ასე იყო, მაშინ დამოუკიდებლობის მთავარი სიმბოლო – 26 მაისი, როგორც სადღესასწაულო დღე, უნდა საერთოდ გაუქმებულიყო. თუ 26 მაისს ძალაში დატოვებდნენ, ამ დღეს პატრიოტული ძალები მუდამ საპროტესტო მუხტისთვის გამოიყენებდნენ. 26 მაისის სადღესასწაულო დღე ხალხის მეხსიერებაში გაახანგრძლივებდა დამოუიიდებლობის ხსოვნას.

და აი, 1922 წლის 25 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის“ ბრძანებულება, რომელშიც ვკითხულობთ: **„სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაული შეფარდებული იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის დღესთან – თებერვლის 25-თან“.**

მეტი ცინიკურობაღა შეიძლებოდა? – დაპყრობის დღე დამოუკიდებლობის დღედ გამოაცხადეს. ასე დაიწყო საქართველოში ე. წ. „ტვინების გამორეცხვის“ დიდი ბოლშევიკური ექსპერიმენტი პროექტის განხორციელება.

ამავდროულად, საზოგადოებაც სიმბოლურად ორ ურთიერთდაპირისპირებულ მხარედ გაფორმდა – 25 თებერვლის მომხრე ყალბი, ოფიციალური ხელისუფლების მხარდამჭერად და 26 მაისის ერთგულ პატრიოტულ ბანაკად, რომელიც კვლავინდებურად აღიარებდა ამ თარიღს, როგორც საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის სიმბოლოს. ახალ კონფრონტაციას სიმბოლოები გაუფორმდა.

ახალი დაპირისპირების მომხრე ბანაკებს შორის დიდი რაოდენობრივი და არაპროპორციული განსხვავება იყო. ოფიციალურ საბჭოთა ხელისუფლების მხარეს იდგა უზარმაზარი საბჭოთა სახელმწიფო მანქანა თავისი ძალოვანი სტრუქტურებით, ხოლო მის საპირწონედ არსებობდა სუსტი და დამარცხებულ-დამორჩილებული პატრიოტული ბანაკი, რომელიც ყოველდღიურად მცირდებოდა და სუსტდებოდა. ამ უკანასკნელისა და მისი მოსახლეობა-საზოგადოების წინააღმდეგ ამუშავდა არნახული რეპრესიებისა და სიკვდილის მანქანა.

საბჭოთა რეპრესიების შესახებ საუბარს არ ვაპირებთ. მხოლოდ შედეგებს აღვნიშნავთ. საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე, განსაკუთრებით კი სოციალიზმის ე. წ. ლენინურ-სტალინურ ხანაში, მთლიანად განადგურდა 1918-1921 წლების პირველი ქართული რესპუბლიკის პოლიტიკური კლასი. ნაწილი გაიხიზნა, ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი გადაასახლეს. ვინც გადარჩა მორალურად დათრგუნეს და დაიმორჩილეს, აიძულეს, კულტურისა თუ სამეცნიერო და სხვა სფეროებს მომსახურებოდნენ და პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოსცილებოდნენ.

სამაგიეროდ, საბჭოთა რუსულმა ხელისუფლებამ მოახდინა საზოგადოებისა და მოსახლეობის ძალდატანებითი კონსოლიდირება საბჭოთა რუსულ-სოციალისტური ღირებულებების გარშემო. ფაქტობრივად, აღარ არსებობდა, მარგინალიზებული იყო ან უმნიშვნელო წინააღმდეგობის გამწევი, პირობითად ვუწოდოთ, ეროვნული და კულტურული ნაციონალიზმის გამზიარებელი ბანაკი, რომელსაც პოლიტიკური ბრძოლის არანაირი შანსი არ გააჩნდა, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდურ და სუსტ არალეგალურ ჯგუფებს, რომლებსაც ადვილად უსწორდებოდნენ. ცნობილმა მწერალმა იოსებ მჭედლიშვილმა 1931 წლის 26 მაისს თავის დღიურში ჩაწერა: **„მეათედ თენდება შავი 26 მაისი საქართველოსთვის და რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ბნელდება“** (იოსებ მჭედლიშვილი. დღიური. 1924-1941. გვ. 106).

მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოებისა და განსაკუთრებით მოსახლეობის მუშურ-გლეხური უმრავლესობის კონსოლიდირებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალობის ნიშნით ხელი შეუწყო მოსახლეობის სოციალურ-კლასობრივი გათანაბრების პოლიტიკამ. მეტიც, ეროვნული თავისუფლების იდეა სავსებით ჩაანაცვლა სოციალური თანასწორობის ფაქტორმა. 30-50-იან წლებში, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღარავის ახსოვდა ან მინავლებული იყო საზოგადოებასა და მოსახლეობის მასაში – დამოუკიდებლობის იდეა და მისი უპირველესი სიმბოლო – 26 მაისი. მასზე არავინ ლაპარაკობდა, არავინ წერდა, ნახსენები არ იყო ისტორიისა თუ ლიტერატურის სახელმძღვანელოებში. 26 მაისის მაგიერ ზეიმობდნენ 25 თებერვალს, 7 ნოემბერს; პროპაგანდა ეწეოდა საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალურ მეგობრობას, წინ წამოიწია ახალი ისტორიული ერთობის, საბჭოთა ხალხის, შექმნის იდეოლოგიზებამ.

ერთი სიტყვით, სტალინის ეპოქაში ვინმეს შეიძლება მოსჩვენებოდა, რომ ფუკუიამას დავესესხოთ, ისტორია დამთავრდა და საბჭოთა ხალხების ბუნებრივ მისწრაფებას ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისაკენ წერტილი დაესვა. ყოველ შემთხვევაში, სტალინის მემკვიდრეებს რომ თანმიმდევრულად შეესრულებინათ ხალხთა ბელადის ანდერძი, რომელიც 1952 წლის 16 ოქტომბერს იქნა გაცხადებული, შესაძლოა ისტორიის დასასრულის რაღაც მსგავსი მაინც მომხდარიყო. ანდერძი სამ პუნქტს მოიცავდა: 1. მუდმივი თავდაცვა კაპიტალისტური გარემოცვის თავდასხმის საფრთხისაგან; 2. ყოველგვარი „მედასავლეთეობის“ წინააღმდეგ ულმობელი იდეოლოგიური ბრძოლა; 3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობა.

სწორედ ამ წმინდა ტრიადის განხორციელება ვერ შეძლეს საბჭოთა დიადოხოსებმა. 1956 წელს საქართველოში მომხდარმა ორმა მოვლენამ მთლიანად შეცვალა ქართველი საზოგადოების სტრატეგიული განვითარების ვექტორი. ერთი იყო 1956 წლის მარტის ტრაგიკული მოვლენები, რამაც შოკისმომგვრელი გავლენა იქონია ქართველი ახალგაზრდობისა და ინტელიგენტურ-კულტურული წრეების განწყობებზე. მარტის ხოცვა-ჟლეტამ ქართველი საზოგადოების ინტელექტუალური ფენების ეროვნული ღირებულებებისაკენ შემობრუნებას დაუდო საძირკველი.

მეორე მოვლენა. იმავე წლის განმავლობაში რამდენიმე პატრიოტული არალეგალური ორგანიზაცია შეიქმნა, რომელნიც დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ: „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“, „სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი“, „ახალგაზრდა საქართველო“ და სხვ. მათგან განსაკუთრებული მისია ერგო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ შექმნილ ორგანიზაცია „გორგასლიანს“, რომელიც სკოლის უფროსკლასელი მოწაფეებისაგან შედგებოდა. მათ მიერ 1956 წლის დეკემბერში გავრცელებულ პროკლამაციებში აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგი. პროკლამაცია მთავრდებოდა შეძახილით: „გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!“.

„გორგასლიანის“ დამსახურებას იმის გამო გამოვყოფთ, რომ მას ჰქონდა განგრძობადობის ფაქტორი. მისმა ორგანიზატორებმა და ავტორებმა ბრძოლა განაგრძეს დისიდენტურ მოძრაობაში და ჯერ საინიციატივო ჯგუფის, შემდეგ „ჰელსინკის კავშირის“ ეგიდით აღარ მოუხსნიათ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა და მიზანი. ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მოღვაწეობა და სახელები ორი ათეული წლის მანძილზე ასოცირდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასთან.

1987-1991 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა და მიზანდასახულება უკვე ფართოდ იყო მოდებული ეროვნული მოძრაობის სულ სხვადასხვა ჯგუფში, არაფორმალურ ორგანიზაციასა და პარტიაში. 1989 წლის აპრილის მოვლენების დროს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ ეპიზოდურად მოახდინა არა მარტო ეროვნულ-ოპოზიციური ძალების, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილის კონსოლიდირება.

განსაკუთრებული იყო აგრეთვე დამოუკიდებლობის მოთხოვნის გარშემო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები. ასევე ხაზგასმით აღსანიშნავია საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგით ქართველი საზოგადოების კონსოლიდიცია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დროს. ასევე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დამოუკიდებლობის იდეის აღდგენისათვის და ამ იდეის დროშის ქვეშ ქართველი საზოგადოების კონსოლიდირების პროცესში, სრულიად უნიკალურია ზვიად გამსახურდიას დამსახურება.

სწორედ ეროვნული მოძრაობის ამ დიდი აღმავლობის დროს აღდგა 26 მაისის, როგორც დამოუკიდებლობის უპირველესი სიმბოლოს, დღესასწაული. პირველად ეს მოხდა 1988 წელს, როცა „წმინდა ილია მართლის საზოგადოება-IV დასმა“ გადაწყვიტა აღენიშნა 1918 წლის 26 მაისის აქტის 70-ე წლისთავი. პირველად მომიტინგე-მოზეიმეების შეკრება გაიმართა მერაბ კოსტავას სახლის ეზოში. შეკრება ხელისუფლებამ დაშალა. როგორც კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდია აღნიშნავს, სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური, გენერალი შადური ამაოდ ცდილობდა, მერაბ კოსტავასთვის წაერთმია პირველი ქართული რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა. ცოტა გვიან ხელისუფლებამ დათმო და მომიტინგეებს დაუთმო კაფე „ბერიკონის“ მოზრდილი 1200-კაციანი დარბაზი (კონსტანტინე ზ. გამსახურდია. სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსათვის. ზვიად გამსახურდიას ბიორაფიული პორტრეტი. თბ., გვ. 296).

26 მაისის დღესასწაული, საბოლოოდ დამკვიდრდა ოფიციალურად, როგორც დამოუკიდებლობის დღე, 1991 წელს, როცა უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტმა სესიაზე დაადგინა 26 მაისი როგორც დამოუკიდებლობის დღე.

მიუხედავად იმისა, რომ 1991 წელს 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი გამოცხადდა, მაინც ვერ მოხერხდა ქართველი საზოგადოების, პოლიტიკური კლასისა და საერთოდ, საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაცია და გამთლიანება. მანამდეც და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც კონფრონტაციამ მომდევნო ათეული წლების განმავლობაში შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

დასკვნით წერილში ვცადოთ გავარკვიოთ, რა არის მუდმივი კონფრონტაციისა და ვერშემდგარი კონსოლიდაციის მიზეზები.

დასასრული იქნება

მორიგი სემინარი ლიტერატურის ინსტიტუტში

24 აპრილს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კვლევით ცენტრში გაიმართა სემინარი.

მოხსენება „ქართული ჰაგიოგრაფია და „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხა პროფესორმა **ხვთისო ზარიძემ.** სემინარს ესწრებოდნენ ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები, მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, სტუდენტები ...

მომხსენებელმა ისაუბრა ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლებზე, მათ თავისებურებებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია სიუჟეტის განვითარება მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ-ისტორიულ ფონზე. მისი აზრით, ჩვენს სინამდვილეში მოხდა ბერძნული თეოსოფიური აგიოგრაფიის „გაქართულება“, რაც გამოიხატა იმაში, რომ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ასახულია ისტორიული რეალიები. მარტვილობის მიზეზები და გარემოებანი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნულ სატკივარსა და საჭიროებებს. ამავე თავისებურებას ხედავს მკვლევარი „ვეფხისტყაოსანში“. აქ ეროვნული უპირისპირდება სპარსულს. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა ტაეპზე „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“, ისაუბრა სიტყვა „სპარსულისა“ და „ნათარგმანების“ მნიშვნელობაზე, აღნიშნა ისიც, რომ „ვპოვე“ ძველ ქართულ ენაში ნიშნავს არამარტო პოვნას, არამედ შეთხზვას, შეცნობას, აღმოჩენას. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მე-12 საუკუნეში, როდესაც სპარსული პოეზია მსოფლიო მნიშვნელობისაა, უპირისპირებს მას ქართულს, ეროვნულს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია. სიტყვით გამოვიდნენ პარმენ მარგველაშვილი, მაკა ელბაქიძე, ირინა ნაცვლიშვილი, ნანა გონჯილაშვილი და სხვები.

ია სანთელიძე

მხიარული, მოუწყინარი

120 წლის მარად ახალგაზრდა ჟურნალი „დილა“ ფერწერულ სალამს უძღვნის თავის ძვირფას მკითხველებს და სთავაზობს მრავალფეროვან, საინტერესო, მხიარულ და ჭკუისმარგებელ საკითხავ ტექსტებს.

ლექსები – დალი მაზმიშვილისა, იზოლდა ჭიპაშვილისა, ლალი ღაჭავასი, ნუგზარ გიგაურისა, ნინო სტურუასი, ნესტან კუპრავასი, ნანა ღვინეფაძისა, მაია კარსელისა და ფიქრია ჩხიტუნიძისა;

მოთხრობები – მაია დიაკონიძისა, ნუნუ ქადაგიძისა, ნინო მზესელისა, ვლადიმერ ასლამაზიშვილისა;

ნახატები – ლორეტა შენგელიასი, მალხაზ კუხაშვილისა, ნუგზარ გიგაურისა, ვაჟა ქურხულისა;

აქ არიან, არსად წასულან კომისარი თანდილა თავისი საქმით №120/1 და კარლო კობერიძე თავისი სიტყვის კონით;

თავსატეხების მოყვარულებს ელოდება მათემატიკური ამოცანები ფიგურებითა და წრეებით;

არც კროსვორდებისა და გამოცანების მოყვარულები დარჩებიან უსაქმოდ;

ხელნაკეთი ცხოველები ანუ როგორ დავხატოთ და გამოვჭრათ საყვარელი ცხოველები? – მართლაც საინტერესო რამ არის.

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის იულია ნიკოგოსოვას.

ეს არის „დილა“ №3-4, 2024 წლისა.

ავტორი და მისი პერსონაჟები

საუბრობენ მწერალი **თამაზ ხმალაძე** და ენათმეცნიერი **გიორგი გოგოლაშვილი**

▶▶ გაგრძელება, დასაწყისი „ლს“ №6

გ. გ. – ამას ახლა ვამბობთ... თამაზ, ეს ამბავი იმ დაუბადებელი გმირების გულშემატკივრობამ გამახსენა. მსგავსი მიზეზი ხომ არ გქონია გმირთა არდაბადების? ან სახელი ვერ მოირგო, ან – გვარი, ანდა რაიმე სხვა მიზეზი?...

თ. ხ. – ასეთი არაფერი ყოფილა... ჩემთან საინტერესო იყო ერთი შემთხვევა. როგორ შევხვდი ნასყიდას (მითქვამს კიდეც სხვა დროს). განთიადისას გავიღვიძე და ბუნდად, სანამ გამოვერკვეოდი, წამიერად, თვალი არ მქონდა გახელილი, დავინახე შუახანს გადაცილებული კაცი საქანელაზე იჯდა – თოკით ჩამოკიდებულ საქანელაზე – და ქანაობდა... მე მასთან ურთიერთობა მომინდა; სახელი უნდა დამერქმია მისთვის, დამეძახა...

გ. გ. – გაგერკვია, ვინ არის, რატომ ზის საქანელაზე, წაგეყვანა მოთხრობაში და ბოლოს... მიგეყვანა ის იმავე საქანელასთან... – ეს, რაც დაიწერა... დაუწერლობისა ვთქვათ ისევ...

თ. ხ. – ჩემი დაუწერლობის მიზეზი მაინც სხვა არის... მეც მწყდება ახლა გული... მოთხრობა მთლიანად მოფიქრებული მაქვს; მთელი თავისი დრამატურგიით, ყველაფრით; როგორ იწყება; როგორ ვითარდება, როგორ მთავრდება... ფიქრში, გონებაში მიზის ყოველივე. უნდა მიხვიდე, დაჯდე და დაწერო... მაგრამ თითქოს რაც კი რაიმე არსებობს ამქვეყნად, ყველაფერი ხელს მიშლის, ყველაფერი ჩემი დამაბრკოლებელია. ფიქრში თავიდან ბოლომდე გაივლის, როგორც კინოფილმი შენელებლი ჩვენებით; და ეს ხდება რამდენჯერმე... ის ადგილები, მომენტები, ეპიზოდები, პასაჟები, დიალოგები – ყველაფერი... ის რას პასუხობს, ამან რა თქვა, იმან როგორ მოიქექა თავი... ეს ყოველივე ჩამოყალიბებულია... და რომ გაივლის და გაივლის; როგორც ორჯერ-სამჯერ ზედიზედ წაკითხული წიგნის მეოთხედ წაკითხვა გაგიჭირდება, წერა ისე მესიკვდილება ხოლმე... თითქოს, რაც მევალებოდა, რაც გასაკეთებელი იყო, უკვე გაკეთდა და მეტი აღარაფერია საჭირო...

გ. გ. – მე როგორც დაუბადებელ პერსონაჟთა ვექილი, ვერც ავტორს ვიმეტებ და შევეცდები არდაბადების მიზეზები დავაკონკრეტო, მოვუძებნო გამართლება... ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ კლდიაშვილიდან. საერთოდ ამ თემაზე დავითი ხშირად საუბრობს. ერთი მიზეზიც ესაა – დასაწყისი... მოვიხმობ ადგილს „მემუარებიდან“: „მეტად დიდი გასაჭირი მომაყენა შემდეგმა მოთხრობამ, „წრფელი გული“ რომა აქვს სათაურად. ჩამოყალიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას ვერ მოვუნახე პირველი სტრიქონი. ჩემთვის ეს პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო; ამ პირველი სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა, იგი ტონს აძლევდა მოთხრობას. დიდხანს ვარჩევდი, თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას – საჯეროს ვერ ვპოულობდი.

ერთხელ მე და გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ბულვარში ვართ; ზღვის ნაპირას ვსხედვართ. ვოლსკიმ თქვა, – ერთი ჩვენი კარგი ნაცნობისას წავიდეთო. დავეთანხმე, გამოვდივართ ბულვარიდან, გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ; ვოლსკი რაღაცას მეუბნება – მე არ მესმის. უცებ ჩემს თვალწინ თითქო ჩამოფარებული ფარდა გადაიწია და ჩემი მოთხრობა თავიდან ბოლომდე ერთ წუთში გადამეშალა... დასაწყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისი, რომელსაც გაყვა, გაყვა რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომდი. – მე არ მოვდივარ, გრიშა! – ვუთხარი და გავეშურე ბანაკისაკენ, სადაც იმხანად ვიყავი. (...) მივედი ბანაკში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოვუშვი შესავალი კალთა, გადმოვიღე ქაღალდი და გატაცებით ვიწყე წერა, წერა გაცხარებული. ეს მუშაობა კი არ იყო, იყო უმაღლესი სიამოვნება. ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი“.

მწერალი იმ მოთხრობაში პერსონაჟს „იცნობდა“, სახელი არ იცოდა მისი... აქ პირველი წინადადება ვერ იპოვა... თამაზ ხმალაძეს ეს მაგალითი აგონებს რამეს? ამგვარი რამ ხომ არ არის პერსონაჟის „არდაბადების“ მიზეზი?...

თ. ხ. – ეგეთი შემთხვევა მეც მქონია – „დაცლილი ჭურჭელის“ სიუჟეტი სტუდენტობიდან მაწვალებდა და ძალიან გვიან დავწერე... ერთხელაც მოვიდა პირველი წინადადება: „ბუზმა შეაწუხა“ და... წავიდა და წავიდა. ეს მოთხრობა დასაბეჭდად მივუტანე ნუგზარ შატაიძეს (იმხანად გამოდიოდა მართლაც შესანიშნავი, მსოფლიო დონის ჟურნალი „ომეგა“ როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით და ნუგზარი იქ პროზის განყოფილების გამგედ მუშაობდა. ასეთ ჟურნალში დაბეჭდვა ნამდვილად დიდი პატივი იყო). დაიწყო თუ არა კითხვა ნუგზარმა, წამოხტა და გადამკოცნა; – „აი დასაწყისი!“ – დაიძახა. ამ ამბავს სხვებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს: „ამისთანა რა ნახაო?!“... არ ვიცი... რა ვიცი...

გ. გ. – ეს კიდევ ცალკე თემაა – მოთხრობის დასაწყისი... აქაც ბევრია სათქმელი, მაგრამ პერსონაჟებს დავუბრუნდეთ.

თ. ხ. – პერსონაჟებზე საუბარმა ერთი ადრინდელი ინფორმაცია გამახსენა, მოგიყვები და ეს ამბები რამდენად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, თვითონ განსაჯე. ცოტა ვრცელია და თუ მოგბეზრდება ჩემი საუბარი, გამაჩერე, არ მეწყინება... კარგა ხნის წინათ ტორონტოს ფსიქიკურ კვლევათა საზოგადოებას ერთი უჩვეულო ექსპერიმენტი ჩაუტარებია: შეუკრებიათ სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და სქესის ექვსი პიროვნება და დაუვალებიათ, ერთობლივად წარმოესახათ („შეექმნათ“) გარდასული ხანის ადამიანის ხატება („პერსონაჟი“). მკვლევრებს კი ევალებოდათ თვალყურის დევნება იმის გასარკვევად, შეძლებდნენ თუ არა ცდისპირები გამოგონილ აჩრდილთან კონტაქტის დამყარებას. ამ ყველაფერს კამერითაც იღებდნენ და მაგნიტოფონის ფირზეც იწერდნენ. შედეგი განსაცვიფრებელი აღმოჩნდა...

გ. გ. – ესე იგი, გამოიგონებენ პერსონაჟს კონკრეტული მონაცემებით და ცდილობენ მასთან რეალური კონტაქტის დამყარებას?

თ. ხ. – დიახ. ჯგუფს საზოგადოების მესვეურის, დოქტორ ოუენის, გვარის მიხედვით „ოუენის ჯგუფი“ ეწოდა. ესენი იყვნენ: ოუენის მეუღლე, სამრეწველო დიზაინერი, ბუღალტერი, დიასახლისი, მოანგარიშე და სტუდენტი. თავდაპირველად მათ შექმნეს გამოგონილი პერსონაჟის, ვინმე ფილიპ ეილეს ფონდის, ბიოგრაფია: „ინგლისელი არისტოკრატი ფილიპი XVII საუკუნის შუა ხანებში ცხოვრობდა. იყო კათოლიკე და მონარქიის მომხრე. ცოლად ჰყავდა ლამაზი, მაგრამ გულცივი დოროთეა – ერთ-ერთი მეზობლის ქალიშვილი. ერთხელ, ცხენით სეირნობისას, თავის სამფლობელოს გასცდა, ბოშათა ბანაკს გადაეყარა და თავდავიწყებით შეუყვარდა შავთვალა მარგო, რომელიც თავისი საგვარეულო სახლის – დიდიგტონ მერონის – სიახლოვეს დაასახლა. მალე საიდუმლოს ფარდა აეხადა და განრისხებულმა დოროთეამ მარგო ჯადოქრობაში დაადანაშაულა.

ფილიპს საშინლად შეელახა რეპუტაცია, მამულის დიდი ნაწილიც გაყიდა, რათა მარგო სასამართლოს ულმობელი განაჩენისაგან გადაერჩინა, მაგრამ ბოშა ჯადოქრად ცნეს და კოცონზე დაწვეს. მწუხარებისაგან გათანგული ფილიპი იქამდე დაეხეტებოდა თავისი საგვარეულო ციხე-სიმაგრის შემოგარენში, სანამ ერთ დილას კედლის ძირას მომაკვდავს არ მიაგნეს – ქონგურიდან გადმომხტარიყო.

გ. გ. – ესე იგი, შეთხზეს იმდროინდელი ინგლისური რომანებისათვის დამახასიათებელი ერთი ჩვეულებრივი სიუჟეტი, მისთვის შესაფერისი პერსონაჟით...

თ. ხ. – ჰო, მაგრამ ახლა იწყება მთავარი, როცა ექსპერიმენტის მონაწილენი „აჩრდილთან“ (ანუ შემოქმედნი პერსონაჟთან) კონტაქტის დამყარებას შეეცადნენ: მასზე ფიქრობდნენ, ერთმანეთში საუბრობდნენ, ერთი სიტყვით „კოლექტიური ჰალუცინაციის“ ვიზუალირებას ახდენდნენ. ასე გაგრძელდა წელიწადზე მეტ ხანს, მაგრამ უშედეგოდ.

გ. გ. – თამაზ, ვაზუსტებ: თავიანთ შექმნილ პერსონაჟს მიიჩნევენ რეალურ პიროვნებად და ეკონტაქტებიან მას?

თ. ხ. – სურდათ, მაგრამ ვერ შეძლეს... მაშინ გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო სპირიტული სეანსის ატმოსფეროს შექმნა: ჩააქრეს შუქი, გარშემო ძველებურ ციხე-სიმაგრეთა სურათები ჩამოკიდეს, მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ და... ერთ-ერთი ასეთი სეანსისას პირველი შეტყობინებაც მიიღეს ფილიპისაგან – მაგიდაზე მკაფიო კაკუნი გაისმა. მალე ინგლისელმა არისტოკრატმა შეკითხვებზე პასუხის გაცემა შეძლო: ერთი დაკაკუნება „ჰოს“ ნიშნავდა, ორი – „არას“. ექვსეულის პერსონაჟმა სკამის გადაადგილება შეძლო. თუმცა ის გარემოება, რომ ფილიპი კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი იყო, მისი „შეზღუდულობითაც“ დასტურდებოდა. მართალია, ზუსტ პასუხებს იძლეოდა შეკითხვებზე, მაგრამ ახალი არაფერი უთქვამს – ყველა ინფორმაცია იმ ეპოქის მოვლენებსა თუ ადამიანებზე ჯგუფის წევრებისათვის მანამდეც ცნობილი იყო. ამდენად ფილიპის პასუხები ექსპერიმენტის მონაწილეთა ცნობიერებიდან მოდიოდა.

გ. გ. – ანუ პერსონაჟს თავისი ფიქრი არ გააჩნია, პერსონაჟი შემოქმედის „ფიქრით ფიქრობს“?

თ. ხ. – ასე გამოდის... ყოველი მორიგი სეანსისას ხელოვნურად შექმნილი პერსონაჟის შესაძლებლობები იზრდებოდა. ჯგუფის წევრთა თხოვნით ფილიპი ჩართავდა და თიშავდა სინათლეს. მაგიდა, რომლის გარშემოც ცდა მიმდინარეობდა, თითქოს რაღაცა ენერგიით იჟღინთებოდა და მის ცენტრში ღრუბლის მაგვარი მასა ჩნდებოდა.

ექსპერიმენტის კულმინაციად საჩვენებელი სეანსი იქცა, რომელიც ორმოცდაათი ადამიანის თვალწინ ჩატარდა. ფილიპმა სრულად გაამართლა ჯგუფის იმედები – გარდა წეღან ჩამოთვლილი მოქმედებებისა, მაგიდის ჰაერში აწევაც შეძლო. ეს ფაქტი თვითმხილველებმაც დაამოწმეს და ტელეკამერების ობიექტივმაც დააფიქსირა.

თუ ამ ყველაფერს ვირწმუნებთ, ექსპერიმენტს გაუმართლებია, არა? თუმცა ოუენის ჯგუფმა ფილიპის აჩრდილის მატერიალიზება ვერ შეძლო.

გ. გ. – დავაკონკრეტოთ მიზანი ამ ექსპერიმენტისა: არის თუ არა შესაძლებელი ავტორსა და მის პერსონაჟს შორის რეალური კავშირის დამყარება? „კოლექტიური შემოქმედი“ იმისთვის იყო საჭირო, რომ მიზნის მიღწევა გაიოლებულიყო...

თ. ხ. – ვერ შეძლეს ეს და ამიტომ გადაწყვიტეს ახალი ექსპერიმენტის ჩატარება სხვა მონაწილეებითა და ახალი გამოგონილი პერსონაჟით. ხუთი კვირის შემდეგ მორიგმა ჯგუფმა კონტაქტი დაამყარა სხვა აჩრდილთან – ჯაშუშ ქალ ლილიტთან. ანალოგიური ცდების მეშვეობით „გაცოცხლდნენ“ შუა საუკუნეებში მცხოვრები ალქიმიკოსი სებასტიანი და მომავლის ადამიანი აქსელი. ისინი გამოგონილი პერსონაჟები იყვნენ, მაგრამ ხალისით ამყარებდნენ კონტაქტს მათ შემქმნელ ჯგუფებთან.

მოგვიანებით ავსტრალიელმა ენთუზიასტებმა კანადელთა ჯგუფის ცდა გაიმეორეს. ექვსმა მონაწილემ გამოიგონა თოთხმეტი წლის ავსტრალიელი გოგონას – სკიპი კარტმანის – ისტორია. მათი თქმით, სკიპი ჯგუფის წევრებს მაგიდის მოძრაობითა და სხვადასხვა ხმის საშუალებით ეკონტაქტებოდა...

სიმართლე გითხრა, ახალგაზრდობის წლებში რუდოლფ შტაინერის ნაშრომების ასე თუ ისე გაცნობის მიუხედავად, მისტიკასა და სპირიტიზმს არასოდეს მიუტაცია ჩემი ცნობისწადილი. აი, პერსონაჟთა სიცოცხლისუნარიანობისა კი მაშინაც მწამდა და ეხლაც მწამს.

გ. გ. – მოდი, რეალურ ყოფას დავუბრუნდეთ და იმაზე დავფიქრდეთ, რა გავლენას ახდენენ ნაწარმოების პერსონაჟები ჩვენს ცხოვრებაზე. ვთქვათ, ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, არჩილი და კესო, ანდა ლუარსაბი და დარეჯანი, ლელთ ღუნია... ისინი უფრო მეტად ზემოქმედებენ ერის სამოძრაო გზის მიმართულების განსაზღვრისას, ვიდრე იმ დროს რეალურად მცხოვრები ბევრი საზოგადო მოღვაწე თუ პოლიტიკოსი...

თ. ხ. – მეც, შენი თქმისა არ იყოს, მიმაჩნდა და მიმაჩნია მწერლის ერთ-ერთ დიდ ღირსებად სიცოცხლისუნარიანი და დასამახსოვრებელი გმირის დახატვა. ალბათ ამ ინტერესმა და ცნობისწადილმა მათარგმნინა ამ ორმოცდახუთიოდე წლის წინ და ბატონ ვახტანგ ჭელიძისეულ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ერთ-ერთი დიდი პროზაიკოსის ლაო შეს (ხუნვეიბინელებმა მოკლეს და დღეს მეოცე საუკუნის ჩინური მწერლობის კლასიკოსად არის აღიარებული) ერთი თავი „პერსონაჟების გამოსახვა“ ესეების წიგნიდან „ბებერი ხარი, დანჯღრეული ურემი“, სადაც ბევრი რამეა ამ თვალსაზრისით საინტერესო და დასამახსოვრებელი.

შემოქმედისა და პერსონაჟის დამოკიდებულების ძალზე საინტერესო მაგალითს ვხვდებით როსტომ ჩხეიძის ერთ ლექსში („მზის ალუბლები“ – ლექსები პროზად): საუბარია უილიამ ფოლკნერის ნოველაზე „ვარდი ემილისათვის“.

„მკითხველი ვერასდიდებით ვერ მიუხვდებოდა მწერალს, ვარდი რას გულისხმობდა, რისი სიმბოლო გახლდათ, და ერთ-ერთი საჯარო შეხვედრისას ამ ინტერესს რომ გამოიჩენდნენ, ფოლკნერს ასე უნდა აეხსნა:

„ეს ვარდი მე ვაჩუქე პერსონაჟს მისი გაუხარელი, დრამატული ცხოვრების სანაცვლოდ, ამით მისადმი ჩვენი თანაგრძნობა გამოვხატეო“.

გ. გ. – აი, შესაშური და მარად გასათვალისწინებელი მიმართება მწერლისა პერსონაჟისადმი.

თ. ხ. – დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ყველაზე დიდი შემოქმედი უზენაესიაო. მოგეხსენება, მასაც არც თუ იშვიათად ემდურიან „პერსონაჟები“, ერთ, შენთვისაც კარგად ცნობილ თქმულებას შეგახსენებ: მძიმე ცხოვრებაგამოვლილი ადამიანი, როცა წუთისოფელს განეშორა და ღმერთთან მივიდა, უსაყვედურა: ეგ რა იყო, უფალო, გამაჩინე და მიმაგდე, მთელი ტანჯული ცხოვრება მარტომ გამოვიარეო. ღმერთმა გაახედა და დაანახვა მის მიერ გამოვლილი გზა: ხომ ხედავ ნაფეხურებს, ორი კვალი მოდის, ერთი შენია და ერთი ჩემი, მე მუდამ შენს გვერდით ვიყავიო.

აი, აგერ, ყველაზე მეტად როცა მიჭირდა, მხოლოდ ჩემი ნაკვალევია, აქ რატომღა მიმატოვეო.

არა, შვილოო, უთხრა ღმერთმა, ეგ შენი ნაკვალევი კი არ არის, ჩემია, მაგ დროს ხელში აყვანილი მომყავდიო.

გ. გ. – თამაზ, როცა ამ თემაზე ვფიქრობდით, რუსთაველიც ვახსენეთ...

თ. ხ. – ...რუსთაველი!...

„ვეფხისტყაოსანში“ აუცილებელი გახდა ფატმანის მსგავსი პერსონაჟის შემოყვანა, რომელიც უარყოფითი უნდა იყოს (ბოლოს და ბოლოს ათ მცნებას არღვევს: არ იმრუშო!), მაგრამ ავტორი ვერც მას იმეტებს ბოლომდე და მცირე გამართლებას იმასაც უძებნის: „მით არ ვსჯერვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი“. ეს ფრაზა შეიძლება მთლად ვარდი არ იყოს, მაგრამ პატარა სურნელოვანი მინდვრის ყვავილივით მიართვა ავტორმა ფატმანს...

▶▶ გაგრძელება იქნება

პატრიარქთან ერთად

ავტორი და მკითხველი

ტექსტის დრამატურგია ტყუილად არ მიხსენებია. თამაზ წივწივაძის კრიტიკული წერილები და ეტიუდები დრამის კანონებით არის დაწერილი. თითოეული ტექსტი წარმოადგენს პროექტს, რომლის სტრუქტურა, გარდა დიალოგური იმიტაციებისა, აგებულია ისეთ ელემენტებზე, როგორებიცაა კონფლიქტი, მოქმედება, კომიკურისა და ტრაგიკულის მონაცვლეობა, საქციელი და ბედისწერა, აგრეთვე სიუჟეტური განვითარების საფეხურები: ექსპოზიცია, პერიპეტიები, კულმინაცია, კვანძის გახსნა. ყველაფერი ისე თავისუფლად და სწრაფად ხდება, გეგონება შენ თვალწინ თამაშდება ფარსიც, ბუფონადაც, სატირული დრამაც, ტრაგედიაც და ლამის ვესტერნიც.

რადგან დრამატურგიის მიმართულებით წავედით, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ტარიელ ჭანტურიას მოსაზრება თამაზ წივწივაძის სტილის შესახებ: „შოუს ელემენტი, რასაც თამაზ წივწივაძის სტილი შეიცავს, საშუალებას აძლევს მას, თქვას სათქმელი **ტრაგიკომიკურის ზღვარზე**, თანაც ისე, რომ ყოველთვის არც იცის კაცმა, ამჯერად რასთან გვაქვს საქმე, ამ ელემენტით – შოუს ელემენტით – თავად მისი პიროვნებაა გაჯერებული“.

შოუ. თუ ამ ანგლიცისტურ სიტყვას სწორად გავიგებთ – „მოქმედება“, „სპექტაკლი“, „სანახაობა“ – მაშინ, გამოდის, ზემოთ ტყუილად არ გვიხსენებია ტექსტის დრამატურგია.

წიგნი რვა თემატური თავისგან შედგება. თავი პირველი: პუბლიცისტური პროზა. იწყება თამაზ წივწივაძის კარგად ცნობილი ეტიუდით „ქრისტე აღსდგა, დედა!“

თამაზი ტრადიციებზე აღზრდილი კაცი იყო, საკულტო მნიშვნელობას ანიჭებდა კერიის ფენომენს, მამაპაპურ წესსა და რიგს, მისთვის თაყვანისცემის საგანი იყო მამა – „პატერ ფამილიას“, დედა – მფარველი ანგელოზი. დედის გარდაცვალება მძიმედ გადაიტანა, თითქოს საყრდენი გამოეცალა, უიმედობამ შეიპყრო, წარსულის ნოსტალგია გაუჩნდა და ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ 1997 წლის აღდგომას გამოაქვეყნა დედის ხსოვნისადმი მიძღვნილი ეტიუდი, რომელშიც გამოთქვა და ქაღალდზე გადმოიტანა ყველა ის განცდა და ტკივილი, რაც მას საკმაო ხნის განმავლობაში აწვალებდა. რაც მთავარია, გადმოიტანა უდიდესი უშუალობით, გულწრფელობით, სიმართლით, სინრფელითა და მხატვრული ოსტატობით. ეს არის რეკვიემი დედის ხსოვნისათვის და, ამავე დროს, ეს არის თამაზ წივწივაძის სულის პორტრეტი, მოწმობა და ჩვენება იმისა, თუ რაოდენ მგრძნობიარე გულის პატრონი იყო და რატომ ხდებოდა, რომ ესოდენ სასტიკი და დაუნდობელი სატირული მახვილით აღჭურვილი კრიტიკოსი ცხოვრებაში გულჩვილი, მიმნდობი, მოყვასის მხარში მდგომი, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, უაღრესად ჰუმანური ადამიანი იყო.

გივი გეგეჭკორი, ტარიელ ჭანტურია, შოთა ნიშნიანიძე, თამაზ წივწივაძე

მეორე თავში – დოკუმენტური მასალების კუთხე – მხიარული ტონითა და სასაუბრო ინტონაციით არის გადმოცემული „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში სტუმრად მოსული მინისტრების, გამგებლებისა და ხელისუფლების სხვა შტოების წარმომადგენელთა ამბები. სახუმარო-სალაღობო, ამხანაგთა სათრეველ სტრიქონებში ბევრი მინიშნება და ქვეტექსტი იკითხება ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიმართ, ოღონდ არა ადამიანური, პიროვნული ან რიგორისტული, არამედ სახელმწიფოებრივი, ეროვნულ-საზოგადოებრივი ხასიათისა. კითხულის წინასწარმეტყველებასავით გაისმის თამაზის სიტყვები რუბრიკის ანონსიდან:

„არაფერი გულს ისე არ მტკენს, როგორც ჩემი ქვეყნის აბუჩად აგდება! შინაურიდან მოდის ეს თუ გარეშედან – სულს მაინც ტკივილად აჩნდება!

ყველას უნდა გვახსოვდეს – საქართველო არ არის იმათი, ვინც დღეს ხელისუფლებაშია და არც იმათი, ვინც ამ ხელისუფლებასთან არ არის! საქართველო მარადიული კატეგორიაა ყველა დროის ქართველისთვის – ვინც იყო, არის და მომავალშიც იქნება!“

თავი მესამე: სიყვარულით გაჯერებული სტრიქონები.

მკითხველი თვალებს არ დაუჯერებს. – ასეთ თამაზ წივწივაძეს არ ვიცნობთ, არ გაგვიგია, არსად შეგვხვედრია, – იტყვის მკითხველი და მართალიც იქნება, რადგან ძალიან ცოტას თუ ახსოვს თამაზ წივწივაძის მიერ 1970-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული წერილები პოეტ ზაურ ბოლქვაძის წიგნზე „ვარსკვლავები“, ალეკო შენგელიას მელოდიურ ლირიკაზე, ლადო სულაბერიძის „რჩეულ ლექსებზე“, ჯანსუღ ჩარკვიანის „რწმენის კედელზე“, რეზო ჭეიშვილის რომანზე „დალი“. თუნდაც შემდგომი დროის წერილები და სიტყვები გალაკტიონზე, ლადო ასათიანზე, ჭაბუა ამირეჯიბზე, თამაზ ჭილაძეზე, გოგი ხარაბაძეზე, ნუგზარ შატაიძესა და სხვებზე.

რუბრიკა „მკითხველთა თხოვნით“. თავი მეოთხე. კიდევ უფრო მოულოდნელი სერია: იუმორისტული პროზა 60-იანი წლებიდან, იმ დროიდან, როდესაც თამაზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე სწავლობდა.

ყურადღებას იქცევს ორი ჩანახატი სპორტული მემუარისტიკის ჟანრიდან:

„თორმეტი განრისხებული და ერთი ნახევრად კმაყოფილი მამაკაცი, ანუ ღიმილი ცამეტ დაფაზე“ – ჟურნალი „ცისკარი“, № 1, 1979 წელი. მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძის შეხვედრა ცამეტ დაფაზე ცამეტ „ცისკრელთან“, როდესაც მაია ერთდროულ სეანსში ეთამაშა გურამ ფანჯიკიძეს, რევაზ თვარაძეს, მორის ფოცხიშვილს, ოტია პაჭკორიას, ტარიელ ჭანტურიას, ჭაბუა ამირეჯიბს, ოთარ ჭელიძეს, რეზო ჭეიშვილს, იორამ ქემერტელიძეს, თამაზ წივწივაძეს, ლევან მალაზონიას, გურამ ასათიანსა და გივი ძნელაძეს. ანგარიშია 12,5 : 0,5. ყაიმი გივი ძნელაძემ გაახერხა, სწორედ ის არის ნახევრად კმაყოფილი მამაკაცი, დანარჩენი, რაღა თქმა უნდა, განრისხებული.

საუკუნის მატჩის რეპორტაჟი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 20 დეკემბერი, 1996 წელი: ერთმანეთს ხვდებიან საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები (ნანა იოსელიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზურაბ სტურუა, გია გიორგაძე, გენადი ზაიჩიკი, ვაჟა შუბლაძე) და მწერალთა გაერთიანება „ოტარიდი“ (ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჩხეიძე, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, როსტომ ჩხეიძე, თამაზ წივწივაძე). ჭადრაკის დიდოსტატები უგებენ მწერლობის დიდოსტატებს – 5:1. თამაზ წივწივაძემ ზურაბ აზმაიფარაშვილთან მიაღწია ყაიმს, როსტომ ჩხეიძემ გენადი ზაიჩიკთან.

ვესწრებოდი ამ თამაშს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში, გუდიაშვილის მოედანზე. მატჩისშემდგომ ბანკეტზეც ვიყავი, რიყის მოედანზე. მაშინ სხვა იყო თბილისი, სხვა ადამიანებით, სხვანაირი ურთიერთობებით, სხვა სიყვარულით, სხვა ურთიერთპატივისცემით.

შეურიგებელი კრიტიკოსის „დადებითი“ წერილები. ასეა დასათაურებული მე-5 თავი, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, თამაზ წივწივაძის ენა არც აქ არის დაშაქრული, რადგან საქვეყნო პრობლემატიკაზე წერს და, ცხადია, მძაფრ თემებზე თვალს არ ხუჭავს, ოღონდ კრიტიკის სიმწარე იუმორის თაფლშია გარეული, სიმართლე სიცილ-სიცილით არის ნათქვამი.

როგორც ცნობილია, თამაზ წივწივაძემ სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს

თამაზ წივწივაძე, ლევან მალაზონია, ლევან სანიკიძე, რეზო ჭეიშვილი

პოლტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა, ორი წლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე გადავიდა და სრული კურსიც იქ გაიარა. ერთგან უწერია, არ დაგიმალავთ და გეტყვით, მე ჟურნალისტობა თავის გამოჩენის მიზნით ავირჩიეო. მე-6 თავის თემაც ეს არის. აქ შედის ინტერვიუები, სადაც თამაზი ხან რესპონდენტია, ხან კორესპონდენტი, ვკითხულობთ აგრეთვე დიალოგებს, დისკუსიებს, საუბრებს და ყველგან გვაოცებს მისი გონებამახვილობა, აზრის სიცხადე, სილაღე, ტემპერამენტი და, რაღა თქმა უნდა, იუმორი, ინტელექტის უმაღლესი გამოვლინება. გაზეთ „ლელოს“ 1972 წლის 23 მარტის ნომერშია გამოქვეყნებული ინტერვიუ-ჩანახატი სათაურით „ფრთხილად, ფარქვეშ საკანდელიძეა!“ სახელოვან სპორტსმენს, ევროპული კალათბურთის ვარსკვლავს, ზურაბ საკანდელიძეს ესაუბრება. ქუთაისში, ლეონიძის ქუჩაზე, ზურაბის სიდედრის სახლში სხედან. პოლიფონიური შესავლის შემდეგ თამაზი რესპონდენტს მიუბრუნდება და იწყებს: „**ზურაბ, ბია თუ გიყვარს?** – ამ პროვოკაციაზე რომ მივდივარ, მის პასუხს ვითვალისწინებ. ის მეტყვის ან კის, ან არას, მერე ამას ბუნებრივად უნდა მოჰყვეს: რატომ მეკითხები?! აქ უკვე ჩემი საქმე სანახევროდ გაკეთებულია: **მაგალითად, მე ძალიან მიყვარს და იმიტომ.**

შეხვედრა მაია ჩიბურდანიძესთან

არაფერი ამის მსგავსი! ზურაბმა ადვილად ამოიცნო ჩემი დემაგოგიური შეკითხვის შინაარსი და მშვიდად მიპასუხა:

ისე მიყვარს, რა, შენსავით არ ვგიჟდებიო. გაიცინა და ვაზა ახლოს დამიდგა“.

ვინც სიტუაციური იუმორის ფენომენს აფასებს, მისთვის ადვილი გასაგებია, რას ნიშნავს საუბარში ვითარების წამიერი შემობრუნება ანუ ფაქტის „რეგისტრირება“, რომელიც ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ყველას არ მიუწვდება ხელი, ამას გონება და ხასიათის თავისუფლება სჭირდება.

მე-7 თავი – ცრემლნარევი შეხმიანება მეგობრებს – რეკვიემია გარდასული დროისა და სახეებისათვის...

მე-8 თავი ძირითადად საიუბილეო მილოცვებს ეთმობა, წერილები მეგობარ მწერლებს ანუ რუბრიკა: „დღეს დღეობაა ჩემი მეგობრის“.

ბოლო ტექსტი რაკურსს ცვლის – რეპორტაჟი თამაზ წივწივაძის დაბადების 75-ე წლისთავის აღსანიშნავი სიმპოსიონიდან – „ერთი დღე რესტორან „კრუიზის“ გემბანზე“. ყურადღებას იქცევს თამაზის სამი ფრაზა, როგორც წიგნის კონცეპტუალური ფინალი:

„ჩემი დაბადება ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო, სიკვდილს კი ქვეყნის მასშტაბით ვაპირებ!..

ზღვაში შესვლა აუცილებელია, ჩემი სიცოცხლე აუცილებელი არ არის...

საქართველოს გადარჩენა აუცილებელია, ჩემი სიცოცხლე აუცილებელი არ არის!..“

იყო, როგორ არ იყო თამაზის სიცოცხლე აუცილებელი. ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან. თავისი სიტყვით კიდევ დიდხანს უნდა გაეწია სამსახური ჩვენი ლიტერატურისთვის, საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის. თუმცა სიტყვა ახლაც აკეთებს თავის საქმეს, თამაზის საქმეს. ეს წიგნიც ამ კონტექსტიდან არის. ახალმა კრებულმა კრიტიკოსი თამაზ წივწივაძე დაგვანახვა ახალი რაკურსითა და ახალი პერსპექტივით, რომ მის წიგნებს კვლავაც ეყოლება მკითხველი, რომელიც მოითხოვს, ენდობა და აანალიზებს მართალ სიტყვას.

ბავშვობის მეგობარი მყავს ერთი, გოჩა ჩოხელი. ეს ის კაცია, რომელმაც „დინამო“ თბილისი – „ლივერპულის“ მატჩის ანგარიში გამოიცნო 1979 წლის სექტემბერში (3:0). მაშინ თორმეტი წლის ბავშვი იყო. შემდეგ ავღანეთში გაიწვიეს საომრად. სახელიანი დაბრუნდა. გოჩა თავგადაკლული მკითხველია და ერთი უცნაურობაც სჭირს: თამაზ წივწივაძის წიგნები სასთუმალთან უწყვია და ყოველ საღამოს კითხულობს, გამორჩეული ადგილები ზეპირად ახსოვს. ერთხელ ვკითხე, რა მოგწონს თამაზ წივწივაძის წიგნებში-მეთქი. ძმა არის, და ის მომწონს, რომ ყოველთვის მართალია, არასოდეს ტყუისო...

ეს არის ის უტყუარი თანაშემოქმედება, ზემოთ რომ ვახსენე – ავტორი და მკითხველი.

ივანე ამირხანაშვილი

მზისკენ გაჭრილი კარი

ზაალ ბოტკოველი



დიდი იყო თავისი მიწიერი არსებობით, დიდი იყო ცხოვრების ნირითა და ზნეობით, დიდი იყო იმ თვალისმომჭრელი, შემაძრწუნებელი ბედნიერებით, უფალმა რომ არგუნა წილად: ჰგვანებოდა იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია – ივერთა მიწა.

მისმა ელვარე, მრავალწახნაგოვანმა და მრავალმხრივმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ ქართველი ხალხის სულიერ საგანძურში დაიდო ბინა და ქართული ნიჭისა და გენის ერთ უმშვენიერეს გამობრწყინებად აღიქმება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ქვეყანაში.

ოთარ ჭილაძეზე მოგახსენებთ, იმ პიროვნებაზე, რომელშიც ერთნაირი ძალმოსილებით განსხეულდა მწერალიცა და ფილოსოფოსიც, მეციხოვნეცა და წინასწარმეტყველიც.

მისი პოეზია, პროზა, დრამატურგია კიდევ ერთი მშვენიერი დასტურია იმისა, რომ დიდი, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ლიტერატურის შესაქმნელად სულაც არაა აუცილებელი, მაინცდამაინც ვეება, რიცხვმრავალი ერის წარმომადგენელი იყო.

ოთარ ჭილაძის შემოქმედება ღრმა დაფიქრებაა ქვეყნის წარსულზე, მის აწმყოსა თუ მომავალზე, რომელზეც იგი ასეთი სევდანარევი სიყვარულით წერდა.

ჭეშმარიტი არისტოკრატი გახლდათ, სულიერ კეთილშობილებას ასხივებდა მისი დაღლილი, შევერცხლილი სახე.

დიდ წინაპართა ღირსეული მემკვიდრე ღირსეულად მიებარა წმინდა სავანეს – მთაწმინდის პანთეონს, ჩვენ კი სახსოვრად თავისი უმშვენიერესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ძნელია, ძნელი და მეტისმეტად საპასუხისმგებლო ოთარ ჭილაძეზე წერა და, ამავე დროს, დიდი შვების მომგვრელიც, რადგან მის ნააზრევთან, მის თითოეულ სტრიქონთან მიახლება მკითხველს სულიერ შვებასთან ერთად აკეთილშობილებს და, თუნდაც მცირე ხნით, იმაზე უკეთესს ხდის, ვიდრე სინამდვილეშია.

ხომ დიდებული შემოქმედი იყო, ღვთივკურთხეული პოეტი და მაინც უკმარისობის გრძნობა არ მტოვებს იმის გამო, რომ პალიტრა არ ეპყრა ხელთ და ფუნჯით არ ქმნიდა შედევრებს, რომელთა განსხეულება და ტილოზე გადატანა ნამდვილად შეეძლო. ფუჭი საუბარი რომ არ გამომივიდეს, ნიმუშად ერთ პატარა ლექსს მოვიშველიებ:

ნაღვერდლების ჭიატით –
ნაპურალი იწვის,
და დგას მძაფრი სურნელი
კვამლისა და მიწის.
და კრუხივით მზრუნველი,
პირქუში და ზვიადი –
ზურგ ზე ისვამს წყვდიადი
მთვარეს, როგორც წიწილს.

ამ ლექსს „ღამე ალაზნის ველზე“ ჰქვია. სულ ორიოდე სტროფში ატევს ოთარ ჭილაძე ამ ველის სიდიადესა და ანდამატს. ამ თემისთვის არაერთ მწერალს შეუბედავს, მაგრამ ასე ლაკონიურად და ყოვლის მომცველად არავის დაუნახავს მისი მშვენება. და ეს ერთეული შემთხვევა არ არის პოეტის საგანძურში. როგორ ხატავდა სტიქსისა თუ ლეთას ნაპირებს, ხატავდა ქარონსა და მის ძირგამომპალ ნავს, ხავსისა და ობის მყრალი ძონძებით მოფენილს, ხატავდა მსუყე ფერებით, დამაჯერებლად და მე, რიგით მკითხველს, მაჯერებდა იმაში, რომ თავად იყო იმ მისტერიის მოწმე. მხატვარი იყო-მეთქი, ვამბობ და როგორ არ ვირწმუნო ამისა, როცა ესპანეთზე, გრანადისკენ მიმავალ ბოშათა თაბორზე წერდა და ბოშათა ქალების მხურვალება და ვნება სამუმივით გვეხეთქებოდა და თავგზას გვიკარგავდა. რა საოცრად აღწერა ძველი რომი, მისი კაპიტოლიუმის სანახები ისე, რომ თვალწინ მყისვე კეისარი წარმოგვიდგა, სენატისაკენ ჩქარი ნაბიჯებით მიმავალი კეისარი. არადა, კარს მარტის იდები მომდგარა და გინდა შეჰყვირო: შეჩერდი, კეისარო, შენ ხომ სიკვდილისკენ მიიჩქარი.

და თვალწინ მიდგას ევფრატის წყალი,
ქალურად უხვი და იდუმალი.

ამ დროს კი ურუქს გვიხატავდა, გილგამეშის ულამაზეს ქალაქს და ჩვენც, ტრანსში ჩავარდნილებს, გვეჩვენება, რომ პოეტი სწორედ იქ იდგა, გილგამეშის პირისპირ და ისე ისრუტავდა ჩვენი დიდი წინაპრების სულსა და ვნებას. როგორ პეიზაჟებს ქმნიდა:

ფოთოლი – წვიმის წვეთებით სავსე –
გამომიწოდა ხემ, როგორც პეშვი.
ცისარტყელები გადმოდგნენ მთაზე,
ისევ აყეფდა მდინარე ხევში
და ტყეშიც ისევ გახშირდა სოკო,
მაღლა წავიდა რძისფერი ნისლი,
ხბოს მოდენიდა პატარა გოგო –
მე ახლაც მახსოვს სიმღერა მისი.

საოცარი თვალი ჰქონდა და ბევრი რამის დანახვა შეეძლო და უფრო ბევრისა კი – წარმოდგენა. დიახ, იმის დანახვა შეეძლო, თუ როგორ ბრწყინავდა ორფეოსის ქნარზე უფლის ცრემლი, როგორ მძიმდებოდა გაზაფხულობით ღატაკი ალუბლის ტოტი ლომის ტორივით, სისხლის შხეფივით როგორ გაიელვებდა ბროწეულის ზანტი ტოტი, როგორ ტკაცუნობდა სიცხე გარინდებულ ბალახში, დენთით გატენილი კასრებივით როგორ მიაგორებდნენ ჩრდილები ფიქრებს, როგორ მიჰქონდა მდედრს – სიცოცხლის საწყისს – მკერდით მინდვრის სურნელი, როგორ მიჰყავდა თოვლს ყინვის აღვირით ჩვენი ქუჩები, როგორც ცხენები; როგორ ეჯდა მთვარეს კალთაში უხმო ყივილით დაოსებული მამალი...

პოეტი იყო, ჭეშმარიტი და უტყუარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი ცხოვრება სიტყვის, ქართული სიტყვის რაინდად და მეციხოვნედ გვევლინებოდა:

და შეხიზნული ფიქრსა და წყვდიადს,
ფიქრის, წყვდიადის გულივით ფეთქავს
სიტყვა –
რომელსაც უფალი ჰქვია,
რომელიც დღემდე ვერავინ ვერ თქვა.

სიტყვა – უფალს დაეძებდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თავის გადამრჩენელ სიტყვას, მშობლიური ენის წიაღს მიარღვევდა და იმ წიაღიდან, ფუტკრის დარად, ამოჰქონდა თავისი წილი თაფლიცა და სამსალაც... იცოდა, რომ:

ძვირფასო! სიტყვას აქვს თავის ფასი,
ზომა და წონა, სუნი და ფერი,
და ისიც ყველა ჩვენგანის მსგავსად
იცინის, ტირის, ოცნებობს, მღერის.

ისიც იცოდა, რომ უძნელესი, ურთულესი საქმეა იმ სიტყვის მოძებნა, რომელიც ყველაფერს ახსნის, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. და მაინც ერკინებოდა სიტყვას, მყეფარივით რომ შეჰყმუოდა ვარსკვლავივით შორეულ მიზანს, ამიტომაც მაშველი რგოლივით დაჰყურებდა სუფთა ფურცელს, სადა, დაუპყრობელ და დაუცველ ფურცელს და იმ ფურცლის გლუვ ზედაპირზე ისე ამოჰყავდა სიტყვა, როგორც წყლიდან აღმოიმართება ხოლმე ხმელეთი. სიტყვა თუ სიტყვები მისთვის საარსებო კუნძულს წარმოადგენდა და ძნელ მღვიმეებში აბინავებდა სტალაქტიდივით. მერმე ამ სტალაქტიდებს კელაპტრებივით ჩამოქნიდა ხოლმე და გვჩუქნიდა, გვანებივრებდა თავისი ულამაზესი სულის ლაჟვარდებით.

თუ ჭეშმარიტი პოეტი ხარ, ეს თავისთავად იმასაც გულისხმობს, რომ უნდა წუხდე, წუთისოფლის ამაოებაზე, ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე, იმ პირველქმნილ ცოდვაზე, საბედისწერო დამღასავით რომ ამოშანთულა ჩვენს ბეჭებზე. ბატონმა ოთარმა იცოდა, რომ ყველა ჩვენგანის ტანჯვა ვალის მოხდაა ადამის ცოდვის გამო. ჩვენ, მის შთამომავალთ უმძიმეს ლოდად გვაწევს გულზე მისი შეცოდება და ასე გაგრძელდება უკუნითი უკუნისამდე. და მაინც, პოეტისთვის ადამიანი ღმერთის კალთიდან გადმოვარდნილ მარცვალს წარმოადგენდა, რომელსაც გამხნევება და სულის ბერვა სჭირდება, რომ ერთად შეკრულ ცრემლსა და ღიმილს ადამიანის სიცოცხლე ჰქვია, რომელიც რწმენითა და სიამაყით უნდა განვლო.

ოთარ ჭილაძისთვის ცხადზე ცხადი იყო, რომ, გინდა თუ არა, მაინც მოვა გულქვა ზამთარი და აღმოჩნდება:

და თავს ვიტყუებ, რომ ძველებურად
გრძელდება გრძნობაც, სურვილიც, ფიქრიც...
და არარსებულ ეტლში შებმული
არარსებული ქვეყნისკენ მივქრი.

პოეტმა თავისი სულის კიდევ ერთი შემზარავი საიდუმლო გაგვანდო, თუ შეუცნობელს ვეტრფოდი ადრე, ახლა შეცნობილისგან გავრბივარ თავზარდაცემულიო და ჩვენც ვხვდებით, ამ შეცნობილში რამდენ ბოროტებას, მტრობას, ღალატს, არაკაცობას, ბოღმასა და ღვარძლს დაუბუდებია.

და მაინც, იმედი არ ტოვებდა, იმედი – სულის მთავარი მტერი, არ წარიკვეთო არასდროს სასო, არ ჩაიქნიო არასდროს ხელიო, გვეუბნებოდა პოეტი, რადგანაც პატარა ერის შვილმა კარგად იცოდა, რომ ხელის ჩაქნევას მისი ქვეყნისა და ერის იავარქმნა შეიძლება მოჰყოლოდა.

არადა იმ ქვეყნის იავარქმნა და აღგვა პირისაგან მიწისა, საუკუნეების უღრანებიდან სასწაულებრივად რომ გამოაღწია, მეტისმეტად უღვთო და უმადური საქმეა. ამიტომაც უყვარდა ამ მიწის თითოეული ბელტი, ამიტომაც აიგივებდა საკუთარ თავს სამშობლოსთან.

მე კი კბილებით მიჭირავს გრემი,
გარეჯის ბუღი და უფლისციხე
და რომ ვიგულო ჩემში და ჩემად,
ყოველდღე ალყას ვარტყამ და ვიღებ.

მაინც რა წინათგრძნობა აწუხებდა თუ აღელვებდა, როცა ამ სტრიქონებს წერდა, რა ხილვა ჰქონდა ასეთი, როცა გარეჯის ბუღზე ამახვილებდა ყურადღებას. ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მართლაც ყოველდღე უნდა მოვუაროთ ჩვენს სიწმინდეებს და დავიცვათ ისინი, რათა მოღალატეებმა ხონჩით არ მიართვან მავანთ და მავანთ ის სავანეები, სადაც ჩვენი სულიერების საუნჯეებმა დაივანა.

პატივისცემის ღირსია ყველა,
ვისაც სამშობლო შერჩა და უყვარს,
ვისაც სამშობლო უყვარს და ცდილობს!
აღარ დაიდგას ქედზე უღელი,
არ დაამციროს ადამიანთა ყველაზე დიდი
მონაპოვარი, ყველა ნაყოფზე ტკბილი
ნაყოფი – თავისუფლება!

ოთარ ჭილაძეს სრულად ჰქონდა გასიგრძეგანებული, რომ სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს, სულიერ საჭურისებს, ისეთ უგვან არსებებს, ყინჩად რომ აცხადებენ, ქართულ ენას მხოლოდ ისინი იცავენ, ინგლისური რომ არ იციანო... ასეთები ხომ საკუთარ დედასაც გაყიდიან, რათა ეშმასთან და სატანასთან წილნაყარი პატრონები ასიამოვნონ და იმაზე მეტი სალაფავი მიიღონ, ვიდრე ეკუთვნით... მათ ხომ სიყვარულიც არ შეუძლიათ, ნაღდი და ყოვლისწამლეკავი სიყვარული, აი, ისეთი, როგორიც ბატონ ოთარს შეეძლო და რა ბედნიერი იყო ის ბანოვანი, ვისთვისაც პოეტს შეეძლო ეთქვა:

შენი თვალების ზღვაში ჩავძირე
იმედისა და ოცნების გემი.

ანდა:

ისე მაკლიხარ, ისე მომწყურდი
ლამის არაგვი შევსვა პეშვებით.

როდესაც ოთარ ჭილაძე წერდა, რომ ისე მამღვრევს ეს სექტემბერი, როგორც საყვარელი ქალის სხეულიო, მის გულწრფელობაში ეჭვს ვერანაირად ვერ შევიტანდით. რაინდად დაბადებულს სიყვარულიც რაინდული შეეძლო და, ალბათ, მხოლოდ მას ჰქონდა უფლება, ასეთი ხოტბა შეესხა ნანდაურისთვის:

მაგრამ ჯერ უნდა მოვიდეს თოვლი
და გადმოჰფინოს თეთრი აფრები
და შენი ნაზი სხეულის თრთოლვით
ათრთოლდეს თოვლიც და ყველაფერი.

სიყვარულისთვის და ერთგულებისთვის დაბადებულს ყველა და ყველაფერი უყვარდა ამქვეყნად, მწვერვალები და მდელოები, მდინარეები და უსიერი ტყეები, ის კი არა, პატარა ფოთლები უყვარდა და შემოდგომის მიწურულს ხიდან უხმაუროდ მოწყვეტილი უკანასკნელი ფოთლის ტრაგედიას ითავისებდა. თითქოს დიდი არაფერი ხდებოდა და მაინც... ტოტებს შორის გამოჩნდებოდა სივრცე, აქამდე თითქოს არარსებული და ესეც ამძაფრებდა სევდასა და ნაღველს საბრალო ფოთლის გამო...

ხომ დიდი პოეტი იყო, ხომ იცოდა საკუთარი თავის ფასი, მაინც არ ასვენებდა ეჭვი, ხომ არ გაუწყდა ბეწვის ხიდი, ხომ გაიარა ბოლომდე და მიაღწია იმ ნაპირს, სადაც ის კოჰორტა ელოდა, ვის ღირსეულ შთამომავლადაც მივიჩნევთ ქართული სიტყვის ამ დიდოსტატს.

მსგავსი ეჭვის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ამაზე ხომ თვითონ მიგვანიშნა, როდესაც აღსარებასავით თქვა:

მე ჯერ ვცხოვრობდი და მერე ვწერდი,
როგორც ვცხოვრობდი – კარგად თუ ცუდად...

კარგად ცხოვრობდა, ლამაზად ცხოვრობდა, ნამდვილი მწერლის ცხოვრებით და ამაში პოულობდა თავისი არსებობის გამართლებას, ჰამლეტიც იყო და დონკიხოტიც, თავზე ჯადოსნური ქუდი ეხურა, ერთგული დევებით სავსე და ისე დადიოდა ჟრუანტელისმომგვრელ მამულში, სულ მზისკენ ჰქონდა კარი გაჭრილი, ფიქრებს, როგორც გასაწვრთნელ მხეცებს, ყველა ტკივილის ატანას აჩვევდა. დინჯად და დაუნჯებით ძერწავდა საკუთარ სახეს იმ დღისთვის, როცა აღარ იქნებოდა და ოცნებობდა, ქვეყნის ნაწილად გარდაცვლილიყო და არა წუთისოფლის სტუმრად.

ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია. ოთარ ჭილაძეს ბედმა არგუნა, ყოფილიყო თავისი მოდგმისა და ჯიშის უებრო მეციხოვნე, ქართული ენის სწორუპოვარი რაინდი და ეს საპატიო მისია ჩინებულად შეასრულა XX საუკუნის დიდი სამოციანელების ამ ერთ-ერთმა უდავო ლიდერმა და წინამძღოლმა.

ოთარ ჭილაძე ჩვენს ცნობიერებაში არსებობს არა მარტო როგორც დიდი შემოქმედი, არამედ შეუბღალავი, ბაჯაღლო პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება.

ეს კი მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

კაატა ნაცვლიშვილი

ლელოსი

14 აპრილს გაზეთ „ლელოს“ 90 წელი შეუსრულდა. რედაქცია დიდი ხანია ემზადებოდა ამ იუბილესათვის. ეტყობა გადაიტანეს, თორემ როგორ ვერ გავიგებდი. ჩემთვისაც ძალიან ძვირფასია ეს გაზეთი. ჰოდა, ახლა, ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი სიამოვნებით ვულოცავ და მივესალმები. არასოდეს „ლელოს“ თანამშრომელი არ ვყოფილვარ, მაგრამ იქ დაბეჭდილი ჩემი ტექსტებით ერთი მომცრო წიგნი კი უნდა გამოვიდეს. თანამშრომელი არა, მაგრამ „ლელოს“ მივლინებით კი მისარგებლია. 1984 წელს, როცა ტიმ სევერინის „არგოს“ მენიჩბე გავხდი, გაზეთის მაშინდელმა რედაქტორმა არჩილ გოგელიამ მთხოვა, საქართველოს ტელევიზიასთან ერთად, „ლელოს“ კორესპონდენტობაც მეკისრა.

მაგრამ ახლა ეს ჩემი შთანაწერი სხვა „ლელოს“ ეხება. თუმცა არც ის არის ახალგაზრდა, მეტიც – გაზეთ „ლელოზეც“ უფროსია – მთელი 143 წლისაა.

Livraria Lello – წიგნის ცნობილი მაღაზია პორტოში, პორტუგალიაში.

ჩვევად მაქვს, უცხოეთში გამგზავრების წინ – გინდაც ერთ დღით მივდიოდე და გინდაც ერთი თვით, მუდამ წინასწარ ვადგენ სიას, რა და როგორ უნდა ვნახო ამ კონკრეტულ დროში ამ კონკრეტულ ქალაქში ან ქვეყანაში. წიგნების მაღაზიები სიაში არ შემაქვს – წიგნების მაღაზია თუ მაღაზიები ისედაც მუდამ იგულისხმება. აქ კი, პორტუგალიაში მოგზაურობისთვის რომ ვემზადებოდი, „ლელოს“ წიგნის მაღაზია აუცილებელ სანახავებში მეორე ადგილზე ჩავწერე.

პორტუგალიაში მოგზაურობა ამ ბოლო დროს ძალიან პოპულარული გახდა ქართველებში და ბარემ იმ ჩემს სიას აქაც დავბეჭდავ, იქნებ ვინმეს გამოადგეს. ყოველ შემთხვევაში, „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს გამოადგება და კიდევაც ვურჩევ:

გრასას მონასტერი (წმინდა ქეთევანისადმი მიძღვნილი აზულეჟუს ვეება პანოთი), წიგნის მაღაზია „ლელო“, ფერნანდო პესოას სახლ-მუზეუმი, საზღვაო მუზეუმი, სინტრა, როკის კონცხი, ფატიმა, გულბენკიანის მუზეუმი, 28 ნომერი ტრამვაი, კარეტების მუზეუმი, კაფე „ბრაზილეირა“...

მრავალი წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ სხვა ქალაქში და სხვა ქვეყანაში წიგნის მაღაზიაში არ შემევლო. ვინ იცის, რამდენი წიგნის მაღაზია მინახავს – სოფლის მაღაზიებიდან დაწყებული, სადაც ნამგალი, კალოში და წიგნი ერთად იყიდებოდა და ვეება, მრავალსართულიანი მაღაზიებით დამთავრებული, თავისი ვეება კაფეთი, ბავშვთა მოედნითა და კინოდარბაზით.

„ლელო“ მათ შორის ყველაზე გამორჩეულია.

დღეს, როცა ბევრს ქუდი რომ შეუგდო, წიგნის მაღაზიაში არ შევა, „ლელოში“ შესვლა 5 ევრო ღირს. თანაც, უბრალოდ გადაიხდი და შეხვალ კი არა, ვეება რიგში მოგიწევს დგომა ერთი-ორი საათით. ხოლო თანხა ონლაინ უნდა გადაიხადო.

ახლა შენობას არ იკითხავთ! ნეომანუელინოს სტილის ეს შენობა, სხვადასხვა გამოკითხვით, წიგნის ყველაზე ლამაზი მაღაზიაა მსოფლიოში.

ჰოდა, გასული თებერვლის ერთ მზიან დღეს „ლელოს“ საიტზე გადავიხადეთ 10 ევრო და ახლა მე და ნინო ამ ლამაზი შენობიდან კარგა მოშორებით ვდგავართ და საკუთარ რიგს ველოდებით.

რიგში ხალხმა რომ არ მოიწყინოს, იქვე შავებში ჩაცმული გოგონა საქსოფონზე უკრავს წყნარ მელოდიას.

შორიდან, რიგის ბოლოდან, თანაც საქსოფონის ფონზე ეს ნატიფი შენობა უფრო შთამბეჭდავი ჩანს და, რაკი საამისოდ უკეთეს დროს ვერ გამოვნახავთ, მე ნინოს „ლელოს“ ისტორიას ვუყვები.

წინისწინა საუკუნის 80-იან წლებში პორტოში ახალგაზრდა პროვინციელი ბიჭი ჩამოსულა – სახელად ჟოზე პინტუ დე სოუზა ლელო. კომერსანტობა ჰქონია გადაწყვეტილი და 1881 წელს ალმადის ქუჩაზე პატარა წიგნის მაღაზია გაუხსნია. ახალგაზრდა კომერსანტმა მალე დაიმსახურა კოლეგებისა თუ წიგნის მოყვარულთა სიმპათია და მალე საკუთარი გამომცემლობაც დააარსა. მის უფროს მეგობართა შორის იყო ერნეშტუ შარდრონი – საფრანგეთიდან გადმოცხოვრებული ცნობილი გამომცემელი და წიგნის ვაჭარი. მერე



და მერე ლელომ შარდრონის ბიზნესიც შემოიერთა, მერე – სხვებისაც, ნელ-ნელა გაფართოვდა და კომპანიონად ძმაც შეიამხანაგა – ანტონიო დე სოუზა ლელო.

ძმებმა ლელოებმა, უკვე შეძლებულმა ბურჟუებმა ინჟინერ ფრანსიშკუ შავიერ ეშტევეშს მაღაზიისათვის ახალი შენობის აგება შეუკვეთეს კარმელიტების ქუჩაზე, 144-ე ნომერში, სადაც თავის დროზე შარდრონის მაღაზია მდებარეობდა. სწორედ ამ მაღაზიის წინ გაჭიმულ რიგში ვდგავართ მე და ჩემი მეუღლე. შენობა გრანიტისაა, მაგრამ აჟურული – ორ სხვა შენობას შორის კოხტად ჩაჭედილი. სართულებს შორის აბრაზე დეკორატიული წარწერაა გოტიკური შრიფტით: «Lello & Irmão» – ლელო და ძმა. ეს ახალი მაღაზია 1906 წლის 13 იანვარს გაიხსნა. მეორე სართულის ფასადს ხელოვნებისა და მეცნიერების ალეგორიული ფიგურები ამშვენებს – პროფესორ ჟოზე ბილმანის ნამუშევარი არტდეკოს სტილში. 2019 წელს ამ შენობის 115-ე წლისთავი აღუნიშნავთ. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში არა, მაგრამ დღეს იგი პორტუგალიის მნიშვნელოვან ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი. 2013 წლიდან წიგნის მაღაზია „ლელო“ მხოლოდ მაღაზია აღარ არის, იგი საერთოპორტუგალიური მონუმენტია – არქიტექტურისა და ბრენდის მონუმენტი. დღეს „ლელოს“ მფლობელია დამფუძნებლის შთამომავალი აურორა პედრო პინტო. იგი უნარიანად ხელმძღვანელობს შთამომავლობით ბიზნესს. უკვე მრავალი წელიწადია „ლელოს“ საგამომცემლო სახლი უდიდესია პორტუგალიაში.

ხოლო „ლელოს“ მაღაზიას ყველა ტრიპ-ედვაიზერი პორტოს ათ საუკეთესო ღირსშესანიშნაობას შორის ურჩევს ტურისტებს. „ლელოს“ დამატებითი მომხიბვლელობა და პოპულარობა მოუტანა ჰარი პოტერმა. უფრო სწორად, მისმა ავტორმა ჯოან როულინგმა, რომელიც ამ მაღაზიის ხშირი სტუმარი ყოფილა, როცა ინგლისურის მასწავლებლად მუშაობდა პორტოში. ის კი არა, იმასაც ამბობენ, რომ ეს მაღაზია მან თავისი რომანის ჯადოსნური წიგნის მაღაზიის „floric & blotsis“ პროტოტიპადაც გამოიყენა. ჰარი პოტერს მაღაზიაში ერთი მოზრდილი, საგანგებო კუთხე ეთმობა, რომელიც მუდამ ჰარი პოტერის ფანატებით არის სავსე.

ამასობაში ჩვენი რიგიც მივიდა. მივუახლოვდით კარებს, ჩაგვხედეს ტელეფონში, ზღურბლს გადავაბიჯეთ და წიგნის სამყაროში აღმოვჩნდით. „წიგნის სამყარო“ წიგნის უამრავ მაღაზიას ჰქვია მთელ მსოფლიოში, მაგრამ ახლა ამ სიტყვას – „სამყარო“ – პირდაპირი მნიშვნელობით ვხმარობ. მართლა არ ვიცი, ეს მაღაზიაა თუ მუზეუმი თუ გამოფენა თუ მართლა წიგნის ჯადოსნური სამყარო!

მაღაზია ორ სართულზეა განლაგებული. სართულები იმ სიმაღლეა,



რომ თითოსგან ორი სართული გამოიჭრება. იატაკიდან ჭერამდე თაროებია. არა ჭერამდე არა. თაროების თავზე მსოფლიოს ცნობილ მწერალთა პორტრეტებია, პორტუგალიელი მწერლები კი სულაც ბიუსტებად ჩარიგებულან.

ინტერიერი თავისი მოდერნითა და არტდეკოთი იპყრობს ყურადღებას. დარბაზის შუაგულში ხის გაორებული კიბეა, ლამაზი მოაჯირებით შემკული. ჭერს ვეება ვიტრაჟი ამშვენებს მფლობელთა მონოგრამითა და დევიზით – «Decus in Labore» – „ღირსება შრომაშია“. ჭერის დეკორატიული ელემენტები, შორიდან რომ ხისას ჰგავს, სინამდვილეში შეღებილი ბათქაშია, ისე კოხტად გაკეთებული, რომ არ მცოდნოდა, მართლა ხისა მეგონებოდა.

შესვლისთანავე მოვითხოვე ინფორმაცია მაღაზიისა და მისი ისტორიის შესახებ. მეგონა, პრეს-რელიზი ექნებოდათ ან რამე ბუკლეტი. მაგრამ არა, საკმაოდ მოზრდილი და მშვენივრად გამოცემული წიგნი მომიტანეს. რა თქმა უნდა, ვიყიდე. მოლარემ კიდევ ერთხელ ჩაიხედა ჩემს ტელეფონში – თურმე ის 5 ევრო წიგნის ღირებულებაში შეგიძლია ჩათვალო. მერე ამას ნინოს 5 ევროც დავუმატეთ და წიგნი გაზეთის ფასი დამიჯდა. ესეც გაკვეთილი მარკეტოლოგებს – მაღაზიაში შესვლისათვის წინასწარ 5 ევროს იხდი, რაც მაღაზიაში შესვლას აწესრიგებს, მერე ამ თანხით წიგნი შეგიძლია იყოდო, მაგრამ საქმე ის არის, რომ 5 ევროდ აქ ვერაფერს იყიდი, უნდა დაამატო. მართალია, ეს შემოთავაზება რამდენადმე მოულოდნელია, მაგრამ ხალხს იმ 5 ევროს გამოუყენებლობა ვერ წარმოუდგენია და ზოგი 15 ევროს ამატებს, ზოგი – 10 ან 5 ან სულაც 2 ევროს, მაგრამ ამატებს. „ლელოდან“ უწიგნოდ არავინ გამოდის. წარმოიდგინეთ – გარეთ ორსაათიანი რიგია და მაღაზიიდან უწიგნოდ არავინ გამოდის!

მაღაზიაში მართლა იმდენი ხალხი ირეოდა, სტადიონიდან გამოსვლისას რომ არის ხოლმე „დინამოს“ ერთადერთ ღია ჭიშკარში. მინდოდა დამეწერა, მაღაზიაში ხალხი უფრო მეტი იყო, ვიდრე წიგნი-მეთქი, მაგრამ არა – წიგნი გაცილებით მეტი იყო. ჰოდა გამოჰქონდათ და გამოჰქონდათ წიგნები მენეჯერებს – ყიდულობდნენ და ყიდულობდნენ წიგნებს, ვისაც 5 ევრო არ დაენანა ამ უნიკალური წიგნის მაღაზიაში შესასვლელად და, როგორც ჯილდოს, იმ 5 ევროს მაღაზია უკან უბრუნებდა ნავაჭრის ანგარიშში.

„ლელოში“ მუდამ იმართება ამა თუ იმ მწერლისა ან ამა თუ იმ წიგნის გამოფენა- გაყიდვა, რომელშიც „ლელოს“ უცხოელი პარტნიორებიც მონაწილეობენ. ამჯერად საგამოფენო სივრცეები ჟოზე სარამაგუთი და ეგზიუპერის „პატარა პრინცით“ იყო სავსე. ლაშა გოდუაძეს რომ „პატარა პრინცის“ ეს გამოფენა-გაყიდვა ენახა, რაც რამე ფული ექნებოდა, „ლელოში“ დატოვებდა, თვითმფრინავში კი იმხელა ბარგით ალბათ არ შეუშვებდნენ. ლაშა „პატარა პრინცის“ კოლექციონერია. წიგნებთან ერთად აქ იყო პატარა პრინცთან დაკავშირებული გასაფერადებლები, პლაკატები, ღია ბარათები, საშლელები, პარკები, სანიშნები, კალმები, რა ვიცი – რაღა არა! ვიფიქრე, დავურეკავ და ტელეფონით დავათვალიერებ, მეტყვის ყველაზე მეტად რა უნდა და ვუყიდიმეთქი, მაგრამ ისეთი რიგი იდგა სწორედ „პატარა პრინცის“ სივრცესთან, რომ რაც გარეთ ვიდექი, ერთი ამდენი კიდევ აქ უნდა ვმდგარიყავი, სანამ იქაურობას მივუახლოვდებოდი. ბოდიში, ლაშა, ამჯერად ვერაფერი ჩამოგიტანე.

ჰოდა, სადაც შედარებით ნაკლები ხალხი იყო, მეც იმ თაროებთან მივედი. რაც მე იქ იმ დღეს პორტუგალიური წიგნი ხელში ავიღე და დავათვალიერე! ვერ წარმოვიდგენდი, თუ პორტუგალიური წიგნი ასე დამაინტერესებდა.

მოხვდი შენს სამოთხეშიო? – მეუბნებოდა ნინო და ცდილობდა იმ ზღვა ხალხში ისეთი კუთხე შეერჩია, რომ ჩემთვის სურათი გადაეღო.

სამოთხეში გადაღებული რამდენიმე ფოტო მართლა ძალიან მაგგგარი გამოვიდა.

სალიფტო წარწერებისა

მეცნიერებათა აკადემიაში ვიყავი ამას წინათ. ლიფტს ველოდებოდი პირველ სართულზე და ამ დროს საშუალო ასაკის ერთი სათნო მანდილოსანიც მოვიდა. სანამ ლიფტი პირველ სართულზე ჩამოვიდოდა, ტვინი გამებურღა იმაზე ფიქრით, კარი რომ გაიღებოდა, როგორ მოვქცეულიყავი, – პირველი შევსულიყავი თუ გზა დამეთმო. მე კარგად ვიცი, რომ ქცევის წესების მიხედვით, პირველი ლიფტში მამაკაცი შედის, რადგან ის სახიფათო სივრცედ ითვლება. პირველი შედის და ბოლო გამოდის. სამწუხაროდ, ეს წესი ბევრმა ქალმა არ იცის. არც კაცმა, სხვათა შორის. სხვაგან, სხვა ლიფტებში, სტუდენტ გოგონებს ან ქალებს ვუხსნი ხოლმე, რატომ შევდივარ ლიფტში მათზე წინ – ლიფტით ერთად მგზავრობის ორიოდე წუთი ამის საშუალებას იძლევა. მაგრამ აქ რა ვქნა? – მეცნიერებათა აკადემიაა! იქნებ ეს ქალბატონი აკადემიის წევრი თუ არა წევრ-კორესპონდენტი მაინც არის?! იქნებ ქცევის წესები ჩემზე უკეთ იცის?! ახსნას, რა თქმა უნდა, ვერ დავუწყებ. ამ დროს ლიფტიც გაჩერდა და კარიც გაიღო. შევყოვნდი, მაინც ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე. ისიც შეყოვნდა. არ ვიცი, ქცევის წესები იცის კარგად, არ ვიცი, ჩემს ასაკს სცა პატივი, ან იმას გაუწია ანგარიში, რომ მე მასზე ადრე დავდექი ლიფტის მოლოდინში. მაინც არ შევედი, კიდევ რამდენიმე წამს შევყოვნდი და გავატარე. მირჩევნია, იფიქროს, რომ ლიფტით მგზავრობის წესები არ ვიცი, ვიდრე უზრდელად ჩამთვალოს. თუმცა წესები რომ არ ვიცი, ისიც კაი უზრდელობაა.

სტუდენტებს ამას რომ ვუხსნი ხოლმე, იქვე იმასაც ვეუბნები, რომ მამაკაცი მუდამ უთმობს ქალს გზას, გარდა ლიფტისა და კიბისა. კიბე რატომღაო, – ერთმა მკითხა. იმიტომ, რომ მამაკაცმა ქალს ქვემოდან არ უყუროს-მეთქი.

კიბისა რა გითხრათ და, ლიფტებზე კი კარგი იქნება, გაკეთდეს წარწერა: „ლიფტში ჯერ მამაკაცი შედის“. ეს წარწერა არანაკლებ მნიშვნელოვანი მგონია, ვიდრე დღეს არსებული „არა უმეტეს 5 კაცისა“.

აღზარდე შენს თავში ევროპა!

მიხეილ ჯავახიშვილის პოტენციურ მთარგმნელთა

ქართველი მწერლები დიდად არ დაგიდევენ, რას თარგმნიან მისას და როგორ. ოღონდ ვინმემ რამე თარგმნოს და...

მიხეილ ჯავახიშვილი კი პირიქით – სასტიკად აფრთხილებდა მთარგმნელებს, ჩემსას ვაგლახად ხელი არ ახლოთო.

1928 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ (№ 10-11), რომლის რედაქტორი იმხანად სიმონ ხუნდაძე გახლდათ, დაიბეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „შავი კლდე“ (ციკლიდან „გივი შადური“ *).

ეს სქოლიოს ვარსკვლავი ფრჩხილის წინ რედაქციისეულია, ხოლო სქოლიოში ასეთი უჩვეულო რამ წერია:

*) მთარგმნელებს ვთხოვ თუ შესწუხდებიან: ჩემს ნაწერებს მე თვითონვე ვთარგმნი და ვათარგმნინებ.

რა თქმა უნდა, კორექტურაა „თუ შესწუხდებიან“ კი არა, „ნუ შესწუხდებიან“ უნდა ეწეროს. ეს კორექტურაც რედაქციისეულია, რა თქმა უნდა.

მიხეილ ჯავახიშვილი კი: ნუ შესწუხდებიანო. მთარგმნელებიო. მე თვითონ ვთარგმნი ჩემს ნაწერებსაო. მე თვითონ ვათარგმნინებო.

აი, ასე!

ეტყობა, ცუდი გამოცდილება ჰქონდა.

იურიული პერიოდისა

ლექსმცოდნეობისას მოგახსენებთ. იურიული, გნებავთ – იურული პერიოდისას ლექსმცოდნეობაში:

იქით იური ტინიანოვია.

აქეთ იური ლევინი.

განა რამდენი დიდი იური შეიძლება იყოს ფილოლოგიის ერთ კონკრეტულ დარგში?!

ფოტოები ნინო სხირტლაძისა

მთვარისა კევლიშვილი

ამ ძებნად მიღირხართ!

დრო არის შეშლილთა,
გადარეულთა,
უგვან ფანატთა,
ტვინარეულთა...
იარლიყს ათასგვარს
მოგაკრავს მავანი,
თუ აცდა შენს ზრახვებს
იმისი ზრახვანი...
საბედისწეროა:
კურდღლები აყმუვლდნენ,
კატები აყეფდნენ,
ქალები გამამლდნენ,
კაცები გადედლდნენ...
დავდივარ ქალაქში
ბორიალ-ცეცებით,
დავდივარ სოფელში,
რას აღარ ვედები.
მივდივარ ბაზარში
გროშების სიმცირით,
ვიოხებ ცრემლით გულს,
ან სიმწრით ვიცინი...
და მაინც ჯიუტად,
ჯიუტად დაგეძებთ
ბაზარში, დახლებთან
და დახლებს იქითაც –
ყვინჩილებს – სამამლედ,
ვარიებს-სადედლედ!
არ ვიცი, გიპოვით?
მაგრამ კი დაგეძებთ,
რადგანაც, ნამდვილნო,
ამ ძებნად მიღირხართ!

***

ვდგავარ კუთხეში
დასჯილ ბავშვივით,
ხორცი და ძვალი
უჭირავთ მყესებს –
და სურვილები,
ვნებაჩაშლილნი,
ქარებმა შემლღვალ
ხეებზე შესვეს...
სიკვდილი ყურის
ძირთან ახლოა,
შემოვილიე სვლები
ხოხვით მე...
არ შემეკითხო,
ახლა რა დროა,
უბრალოდ, დროა,
ჩემთან მოხვიდე!
ჩემთან მოხვიდე და
ავხმაურდეთ,
ქარსა და წვიმას
სულაც ვინ ჩივის...
ეს მარტი კიდევ
ბევრჯერ აურევს
უმწიფარ დროში
მყოფი ბიჭივით...

ეს ჩემი ტომია!..

ეს ჩემი ტომია,
სახლია აქ ჩემი –
ფეხთა ქვეშ ძვლებია შემქმნელის, გამჩენის.
ვართ აბორიგენნი ამ მიწის ოდითგან,
ანი-დან, ბან-იდან, გან-იდან, დონ-იდან...
აქ ვმღერით სიმღერებს, სამხმიანს, ოთხხმიანს,
თუმც, ზოგი უგვანი ამბობს, რომ მოგვცლია...
ჩრჩილი, ვით დუშმანი, შეუდგა შემუსვრას
ყველაფრის, დრო-ჟამმა რაც რომ ვერ შემუსრა.
ა, უცხოტომელი, კბილს ჩვენზედ ისინჯავს,
ა, ჩემივ ტომელი, იგინებს ჯიშ-ჯილაგს.
ორივე მათგანი წყობილად მოქმედებს,
ორივე მტერია, არცერთი-მოკეთე!
არ მოგწონთ ჩემი ცის ნატიფი სილურჯე?
არ მოგწონთ, რომ დღემდე სიყვარულს ვიუნჯებთ?
არ მოგწონთ ეს მიწა, ნაპოხი ძვლებით და
ან ღვინო, ნაწური წითელი რქებიდან?
არ მოგწონთ ამ სახლის წესი და ჩვევები?
ხმა და კილოკავი არ მოგწონთ ჩემების?
არ მოგწონთ ლურჯი მზე, ცას ყინჩად მომჯდარი,
ან ლექსი, ბუხუნა გულიდან მომსკდარი?..
თქვენ, ვისაც ეს ტომი ფეხებზე გკიდიათ,
ვინ გიშლით, მიბრძანდით,
გზა დიდზე დიდია!...
ეს ჩემი ტომია...
აქ ჩემი სახლია...

ლექსისმაგვარი...

დღეებს სამყოფი ღიმილი არ აქვს,
ღამეს ცრემლი აქვს დოზაზე მეტი –
თავს ახლის ქარი ჩამოშლილ ქარაფს,
ვით მამრის ცხედარს შეძრული მდედრი...
ზოგი წუხს დროით, ზოგიც სულ არ წუხს,
დრო ხელთ უპყრია ზოგსაც კანკალით...
საბედნიეროდ, ღამის კედლებს, ყრუს,
მაინც გაარღვევს ცისკრის ვარსკვლავი!..
ნაღდ ცრემლს ღვრის ისევ ნაღდი გული და
გულწრფელი ლოცვა ყინულს გაადნობს...
ვინც იკვებება ბოღმა-შურიდან,
ღრუბელი უწევს სულში საავდრო...
დროს, ტკივილების შემწეს და მფარავს,
ქარი მიაყრის მტვერს და მერე შლის...
ძილმორეული, ეს დღეც დაფარა,
ბინდის მორევმა ღამის ველებში.
ხელთ რომ გიპყრია, იმ გასაღებმა
ვერ გახსნა კარი... ბჭენი ჩარაზეს!..
რა გაორება, რა გასამება,
განულებული დგახარ საზღვარზე!..
შემოაფლითა ფიქრის ხეივანს
დრო-ქართა რემამ ლურჯი სამოსი...
რას ველტვი, ნეტავ, სულაც მე ვინ ვარ,
ზეცას-მფრინავის თუ ზღვას-ნაოსნის?
არ ვიცი ახლა, მე როდის მოვალ...
მაგრამ წავალ და მთვარეს ვეწვევი...
ნეტავ, დრო ისე გავლიო, რომ არ
შემომწყრეს ლექსი-სულის ფერმწერი!..

ბოლო როლი

ველარც ვმზეობ და ველარც ვმთვარეობ,
მხაპავს და მხაპავს დროის ორშიმო,
ისეთს რას მეტყვი ახლა, ღამეო,
ეს ფორიაქი დამიშოშმინო?..
დღენი და წლები მიდიან წყებად,
უცაბედობა ღობეს მომიშლის
და ჩრდილისფერი ქვა-ღორღი წვება
მაჯგბდაღრღნილი სულის ლოგინში.
ახლა ჟინი სჭირთ სისხლის თქეშების,
დუჟმორეული პირ-ბაგე მაფრთხობს-
ვგრძნობ, დაბლობებზე როგორ ვეშვებით,
ჩემო იმედო და ჩემო სახლო!
ბებერ ქარივით ტკივილებს ხვეტავს
და უცხო ნოტზე ღმუის სამყარო –
რას, რას გვიქადი, ღრუბელო, ნეტავ,
ცაზე ტყვიისფრად გამონაყარო?
დადგება როცა დრო ჩემი წასვლის
დედამიწელთა წიგნის ფურცლიდან,
კი წავიტირებ, ვით ჩვილი ბავშვი
და ბოლო სუნთქვას გადავფურცლი თან.
ჩაუშვებს ლუზას ლურჯი გემი და
ვნება-ღელვანიც სადღაც გაქრება...
და ბოლო როლი ჩემი სცენიდან.

აზა მდინარაძე

როგორ მიყვარდი ისე?

ძაღლებმა სულ სხვანაირი სიყვარული იციან –
არაფერი უნდათ შენგან ყურადღების მეტი.
მოვლენ, დაგსუნავენ, გვერდით მოგიწვებიან,
იქნებ თავიც მოგადონ ფეხზე
და ბედნიერი არიან...

ძაღლებმა სულ სხვანაირი შემოხედვა იციან –
გაირინდებიან და გიყურებენ დიდხანს
დაჟინებით და გამჭოლად,
გეუბნებიან ტკივილსა და ფიქრებზე,
შენი თვალების ფსკერებამდე ჩასულ სურვილზე,
რომ მათ ადგილას წარმოიდგინო თავი,
მიხვდე, რაზე გელაპარაკებიან...

ძაღლებმა სულ სხვანაირი გაბრაზება იციან –
შეგიღრენენ, იქნებ კბილიც გაგკრან,
თუ იეჭვეს, რომ მათ სიმშვიდეს
გარეთ აგდებ და რამით ემუქრები.
გაგაფრთხილებენ, ისე არასდროს მოგცვივდებიან...

ძაღლებმა სულ სხვანაირი პატიება იციან –
პატარა ბავშვებივით შემოგციცინებენ
და შენ თვითონ გრცხვენია,
თუ ოდესმე გაუბრაზდი ან რამით დასაჯე.
ოღონდ არ უნდა ატკინო მათ
არც ტანი, არც გული –
ამას იმახსოვრებენ, რომ მეტად აღარ ეტკინოთ,
ეს მათი ინსტინქტია...

ძაღლებმა სულ სხვანაირი წასვლა იციან –
ჩუმად, ხმისამოუღებლად,
იქნებ ცოტა ქშენითა და
თვალებში ჩამდგარი უფსკრულით,
მაგრამ ისე, თითქოს გებოდიშებიან,
რომ თავიანთი წასვლით
გული უნდა გატკინონ...
ხვდებიან, რომ ძნელი იქნება, როცა მოგენატრება,
როცა მათი ავლილი ქუჩით
თავს გაგახსენებენ,
დივანის მოთელილი გადასაფარებლით,
მაგიდასთან ახლოს ჩამომსხდარი მათი ლანდებით –
რომ სულ სხვანაირი იყო ცხოვრება მათიანად...

და მე
როგორ დავემსგავსო მათ?
რომ ისე მიყვარდე,
რომ სულ ერთი იყოს,
სად იყავი ან რას აკეთებ?
ან ისე როგორ შემოგხედო,
რომ გიყურო და გიყურო და მიხვდე,
რა მინდა და რაზე გელაპარაკები?
ან ისე როგორ გაგიბრაზდე,
რომ მხოლოდ გაგაფრთხილო,
თუ შენგან გამოსროლილი
სიტყვების ტყვია მომხვდება,
გატკენ, მაგრამ ისევ
ძველებურად მეყვარები-მეთქი?

ეს გზა კი ნელ-ნელა ვიწროვდება,
ნაპრალებზე დადებული თოვლი დნება და
უფსკრულები ჩნდებიან –
აქამდე თოვლქვეშ გარინდულები...
წინ მივდივართ და
არავინ იცის,
როგორ გავბედავთ წასვლას ჩვენ –
ჩვენი ძაღლების პატრონები –
იმ ძაღლებისა,
ამდენი რამე რომ გვასწავლეს
ადამიანებს.

უშენოდ

უშენოდ ჩამოსხდნენ ნისლები ფანჯრის რაფებზე,
უშენოდ დააფარეს საბანი მოლურჯო ქედებს,
უშენოდ თვლემენ ჩემ გარშემო და ღრმად სუნთქავენ,
უშენოდ ევლებიან თავს ხეებს, ჩიტებს,
ჩემს ფიქრებსა და სიყვარულს,
უშენოდ შემოდიან ჩემს ოთახში –
ბავშვების სულებით ავსებულ ლარნაკში,
სადაც ყვავილების ადგილი აღარ დარჩა,
რადგან ბავშვების სულებმა აავსეს ყოველივე,
ყველა გრძნობა და ყველა ჭურჭელი,
ყველა ნატვრა და საფიქრალი;
ბავშვი შემოსახლდა ჩემში და
ბავშვურად მოფერებას მთხოვს.

ეს ნისლები კი,
უშენოდ მოცურებულნი,
მოახლოებულნი და მოდარაჯებულნი,
უფრო მახსენებენ უშენობას,
უფრო მატკიებენ უშენობას,
უფრო ჭრილობებივით იხსნებიან, ვიდრე ადრე
– მალამოსავით
რომ მესალბუნებოდნენ მწვანე თვალებსა და მწვანე
შეგრძნებებზე...
უშენოდ მოდის გაზაფხულიც,
მარტი მარტობს და გული ყვავილობს,
უშენოდ რეკავს ზარი და მეძახის სადღაც,
იქ, უშენოდ რომ უნდა მივიდე!

***

ყოველი წუთი, ყოველი დღე და ყოველი ღამე
გეუბნება, რომ თავიდან უნდა დაიწყო რამე –
თავიდან ადგე, აიკრიფო სხეული მაღლა,
მზეს მიეახლო ისე, რომ არ შეგეტყოს დაღლა.

თავიდან უნდა გამოხვიდე ნაჭუჭის მტვრიდან
და უნდა იყო ის, რაც იყო ყოველთვის – გინდა,
ისევ თავიდან იგრძნო გულის საშენო ძგერა
და შეიმართო დასაწვავი ასანთის ღერად...

ყოველი წუთი, დღე თუ წელი თავიდან გიშვერს
ხელებს ბავშვივით, რომ წამოგყვეს აღთქმული ცისკენ,
სადაც მიიტან შენს საქმეებს, ფიქრებს და ნადავლს,
სადაც სამყაროს დიდ ფრესკაზე ნაკვალევს ხატავ.

დავიბადე 2007 წელს თბილისში. ერთ თვეში ჩვიდმეტისა გავხდები. მცირე ხნის ვიყავი, როდესაც საცხოვრებლად ბათუმში გადავედი და რამდენიმე წელი იქ დავყავი. ექვი წლისაც არ ვიყავი, რომ საცხოვრებლად კვლავ თბილისს დავუბრუნდი და მას შემდეგ აქ ვცხოვრობ. ასაკიდან გამომდინარე ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობ (მე-14 საჯარო სკოლა), რომელსაც მალე დავამთავრებ.

მცირე ასაკის მიუხედავად, ჩემი და ლიტერატურის ურთიერთობა საკმაოდ დიდ ხანს ითვლის. ექვი-შვიდი წლისა ვიქნებოდი, როდესაც პირველად წავიკითხე მოზრდილი ლიტერატურული ნაწარმოები და დიდადაც მოვიხიბლე. მას შემდეგ ლიტერატურის გარეშე საკუთარი თავი ვერც წარმომიდგენია. წერა შედარებით მოგვიანებით, თერთმეტი-თორმეტი წლისამ დავიწყე, თუმც არც ისე სახარბიელოდ. მიუხედავად ამისა, სულ მაწუხებდა ფიქრი, რომლის გამოთქმაც მინდოდა და ამის საუკეთესო საშუალებადაც წერა მიმაჩნდა. სწორედაც პირველი მოთხრობაა „დაბრუნება“, რომელიც გავბედე და დასაბეჭდად გამოვაგზავნე.

დაბრუნება

Dominus regit me...[1] მუდამჟამ გახსოვდეთ. ჩვენ გზააბნეული ცხოვარნი ვართ,

ხოლო უფალი მწყემსი ჩუენი.

ზე აღმართული მკლავი, დაკოჟრილი ხელი ფიგურებს ხაზავს. რაღაცას ეფერება, უფორმოს, უსხეულოს. განხეულდება. თეთრი საყელო მოსჩაჩვია. ცვარი. გაზაფხულის დღესავით დასცვარვია შუბლი. მოკლე თმა. მწყემსი ჩუენი. ხელჯოხიანი მოხუცი. მეეე-მეეე. ცხვრები. როდის აპირებენ თქვენს გაკრეჭვას? დაბალი ხმა. ძალით იბოხებს. სიღრმე რომ შესძინოს ნათქვამს. მეე-მეეე. მისდევს კიკინით. ხტუნვა-ხტუნვით მიიწევს. შემატყლული. უი, Pardon monsieur, მგონი მატყლი დაკარგეთ. არა? დარწმუნებული ხართ? ძირს რა აგდია? თქვენი არ არის? ნამდვილად მომელანდებოდა. უფორმო სხეული, არსებული მატყლი, იყო, აღარ არის. ყოფნა-არყოფნა? ვინღა კითხულობს ამას. პირდაპირ არყოფნას ირჩევენ. იქნებ უკეთესიც არის. აშმორებული ქვეყანა, ჭაობი, ეფლობი, გქაჩავს. მიშველეთ. თოკი, თოკი მინდა... სქელი ბაწარი. ჩაეფალი, მორჩა, დამთავრდა. Requiescat in Pace. განუსვენე სულთა მონათა შენთასა.

მწვანე ჟილეტი აცვია. სქელი ნაქსოვი. ყავისფერი ღილები, უადგილოდ მიტყეპებული. მომწვანთეთრო ლაქა. ფორმა, მოყვანილობა, ნაკვთები. ყავღიასფერი პუდელი ხანდისხანობით წკმუტუნებს. წკმ...წკმ... შია. საჭმელი. მეც შევჭამდი. დილიდან არაფერი მიჭამია. რამ მომიყვანა. აბა, კაცი ხარ და ნუ მოხვალ. რას აღარ

დაგაბრალებენ. საწყალი ჯოუნსი. ლამის ჯვარს აცვეს. არ ვაპირებ მოსვლას, მგონი

გასაგებად აგიხსენით. სიჯიუტე. შეცდომაში გაჯიუტება. Hamartia.[2] შეცდომა დაუშვა. და აღესრულა ჯოუნსმართალი წელსა... ღვარძლნარევი ღრუბლით ასვეს მას წყალი (რომელიცრომ წყალი არ იყო). ოჰ, გამცემო იუდავ! როგორ გასწირე ჩვენი მხსნელი, ჯოუნსმესია.

გამალებით ტლიკავს ლაქას. ნაყინია. ალბათ. ცხელი ენა, ოხშივარადენილი. საშინელი შეგრძნებაა. ცხელი ენა დასრიალებს ცივ კანზე. გაშტერებული იყურება, ვერაფერს გრძნობს. მღვდლის წმინდა ექსტაზით გაჯერებული. და გადვიდა წმინდა სული ბავშზედ, რომელმაც იგრძნო ამაღლებული სიწმინდეჯ. მალე მაინც გაათავოს. დავიღალე. რამე მაინც მეჭამა. ნაყროვანებაჯ ცოდვა არს, შე ურწმუნო ურია. გამალებით ტლიკავს. შავი მაინც იყოს. აბა შავ პუდელს ტაძარში ვინ შემოუშვებდა. ფუ ეშმაკს. ჩქარა, პირჯვარი გარდაისახე. განვედ ჩემგან, სულო ბოროტო. პატარა პუდელი. არადა პატარა ბავშვია. ყოვლისშემძლე პუდელი. ნამდვილად მშვენივრად გაახალგაზრდავებულა.

წმინდა ექსტაზი განელდა. დაკრუნჩხულმა თითებმა ფიგურლივება შეწყვიტეს და დაბლა დაეშვნენ. აქუფრილი საყელო პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნა. შუბლსახოცით ცვარი მოიმშრალა. სიწითლე. სულ გაჭარხლებულა. ქოშინი. ცხენივით ქოშინებს. ესე არს ფასი სიწმინდისაჯ.

სკამების ჭრიალი. იატაკის ჭყარუნი. მრავალი ფეხსაცმელი ბაკუნით მიიწევს გასასვლელისაკენ. მოწიწებითი სიჩუმე. სიბნელიდან სინათლეში. სუფთა ჰაერი. სიწმინდენაპკურები. ჰაერის მრავალკუთხედები. სხეულამონაგები. სულდამშრალი. დაგვალული. *სიბნელემ ირჩია ყოფნა არარად და გზა დაუთმო წმინდა სინათლეს.* დაე იქმნას ნათელი. და იქმნა ნათელი. ტაძრის მაღალი ჭიშკარი. მრავალი დინასტია. ტახტი, სისხლი, ინტრიგა, ტრაგედია... ჩუქურთმა, როგორც შიგნით ვერდატეულის გამოფასადება. ხის თითოეული მონახაზი, ქვის სიცივე, ტაძრის სითბო... ისტორიის ნაპერწკლები. ისტორია არაფერია, გარდა უკვე მომხდარის ხელახალი გამეორებისა. გამეორებათა გულისწამღები პრელუდია. მხოლოდ გამეორება, მთავარი კი არ იწყება. ჰობოის გაბმული კვნესა. მინიშნება ტრაგედიაზე. მაინც აღესრულა. ვინ იგლოვოს ის! რაა სიკვდილი! დიდი გენიოსის ეშაფოტურ-ფასადური მასკარადი. *დაგცინა ბედმა, ვით ნაარსებულს.* თითოეულ ალვეოლს მოედო ჟანგბადის მოლეკულა. ფილტვები გაიხსნა. საკმევლის მომტკბილო სურნელება, ქრება, ინისლება, ითქვირება ჟანგბადში. და დაიძლია. სძლია ჟანგბადმა: დაე იქმნას ჰაერი!

მხატვარი **იაგო ნიკოლაძე**

გიჟი პიტერსი. ლანჩაამძვრალი ფეხსაცმელი. მონაცრისფრო, ასხლეტილი წინდები. გულმკერდამდე ჩახსნილი პერანგი. ჟილეტის ნაგვემ ჯიბეში ფულის ჩხრიალი. მომიტევეთ, სხვისი ყოფილა. რამდენიმე მონეტით ხომ ვერ შეეწეოდით საწყალობელ გლახაკს?

– არაფრისმთქმელი თვალები, ისევ ღიმილი და ჩამომჭკნარი სახე.

განა ამას არ ღაღადებენ. განიკითხავდეთ გლახაკთა. ოქროსფერი მონეტა ჯიბიდან ამოხტა. არა, ნამეტანია. ვერცხლისფერი აღმოჩნდა გარღვეულ ჯიბეში. ბარბაცით მიაბოტებს. ნავივით ირხევა. აღელვებული ზღვა, მოქუფრული ზეცა, ირწევა. ათქვირული ტალღები, ქაფმოდებული, ოჰ, ღვთაებრივო აფროდიტე. წვერში გაბლადნდულ ხის ნაფოტებს იცლის. *შეეწიეთ საწყალობელ გლახაკებს, თქვენი ღმერთი არ მოგაკლებთ არაფერს.* ნელა მიირწევა. *არაფერსსსს...*

ხილით სავსე დახლები. წითელკანგადაჭიმული ვაშლები. ზედმეტად ბრწყინავს. ხელსახოცით აპრიალებენ. სქელკანიანი ფორთოხალი. ხორცის აშმორებული სუნი ერთვის მარწყვის მომტკბარ სურნელებას. კანალიზაციის მჭახე ოხვრა. ვირთხები დაძუნძულებენ. გასიებული სხეულები, იმდენ ლეშს ჭამენ, ლამისაა გასკდნენ. ქარხანათა ჩაიდანისებური სტვენა, რძისფერი ოხშივარი. ქალაქი გამოცოცხლდა. ცინცხალი ქალაქი. აბურდულთმიანი მამაკაცი. სასაცილო თმა. Monsieur, დალაქი ხომ არ დაკარგეთ? ვიზიარებ. ნუთუ? მართლა? *გაიღვიძა, გამოცოცხლდა ქალაქი, ამდენ ხალხში დამეკარგა დალაქი... დალაქი...* ნუ ღელავთ, ვიმედოვნებ, მალე იპოვით. მანამდე? მანამდე ცილინდრს ნუ მოიხდით მაგ თავიდან. გამორჩეული ვარცხნილობა, უდალაქობა დამღუპველია კაცისთვის. ზვიადი მთები. წაწვეტებული თავები, ალესილი, მახვილცხვირიანი. საწყალი პრომეთე. ნაწლავთმფატვრელი, შიგნეულთმყლაპველი. მძიმე ლოდი გადაგორდა, გადმოგორდა. ააქვს, ააქვს, ვერ შევიძელ. არ მეყო ძალი. გაგოგრდა. ხელახლა. რეპეტიცია ხვალ, ამ დროსვე. მთავარია ხალხი მოვიდეს, ხელოვანის უკვდავებას ვინღა დაეძებს. ფული, ოქროსფერი მონეტები ხავერდის ქისაში. თავწაკრული, უტყვი. ჩხრიალი. საჩხრიალებელს ჩაჩხრიალებით ჩაიჩხრიალებს საჩხრიალოში. ჩხრრრრჩხრრრრ. ცოტაოდენი. სტუმრებს ელოდებით? მშვენიერია, მაინც რამდენ კაცს. თუ შეიძლება უქონო ნაჭერი ჩამომიჭერით. ისევ ის. ადამიანიც ამას ქვია. Ecce Homo. განბანილი ხელი. მეწამულსარჩულიანი თეთრი მოსასხამი. იქაც იყო. ყველაფერი მოისმინა... მივიწყებული. წითელყდიანი წიგნი. ლურჯი ჯობია. ზღვისფერი. ბერძნულარსოვანფეროვანსულოვანი. თეთრი ასოები, ცისფერი ყდა. Mr. Writer, თქვენ ამის დაბეჭდვა გსურთ? სრული აბსურდია. გარყვნილება. თქვენ რყვნით ახალგაზრდობას. აღმაშფოთებელია. ესეც... ნუთუ ეს თქვენმა ხელმა დაწერა. ახლავე მომტყდეს ის ხელი, თუკი რომელიმე ხელით ეგ სიტყვები დამეწეროს. მართლა? მაშინ... დიახ, ახლავე. მე არაფერ შუაში ვარ. კალამმა დაწერა, დაუკითხავად, ხომ იცნობთ კალმის ბუნებოვნებას. ორბუნებოვანი. კალამი, როგორც პიროვნება. კალამი, როგორც კალამი. ანდაც საბეჭდი მანქანის ღილაკებს დავაბრალოთ. ისინი წკარუნობდნენ. ოჰ, როგორ გულისგამაწვრილებლად. მეხვეწებოდნენ, მევედრებოდნენ. სულ მათი ბრალია. პასექის დღესასწაული. დაე, მოგენიჭოთ ხელახალი სიცოცხლე და იშვათ ხელახლა, ქვეყნიერების უბილწეს საშოთაგან. რომელი გადავარჩინოთ. და ხალხი ერთხმად ყვიროდა: კალამი, კალამი! სიკვდილი საბეჭდ მანქანას. გარყვნილება. ჯვარს აცვით. მეფე მწერლობათა. სათითაოდ დააძრეთ ღილაკები.

სველი ქვაფენილი. გუშინ იწვიმა. წინწკლავდა. ჟინჟლავდა. უცნაური სიტყვა, ასოციაციებს იწვევს. გუბეებიანი ქვის ფენილები. მარტო ღამით ანათებენ. ანდა რა საჭიროა. მაინც არაფერი ჩანს. ქუჩის კუთხე. აწეული კაბის ბოლო. მონეტები. ჩხრიალებენ. ჩამუქყვითლებული კედლები: აღარ შეგვიძლია. ლუკმა პურის ფული. ბუუტავს. გამწარებული ციმციმებს. ციმ-ციმ-ციმ. თავისთვის. არავის აწუხებს. თავისსავე თავში ინავლება. ცხელა. მალე ააშრობს. სიცხეში ანაორთქლი წყლის წვეთის ტკაცუნი. სასიამოვნო ხმაა. წიგნის გადამტვრეული ხერხემლის ტკაცანს მოგაგონებს. საშინლად მშია. რამე უნდა მეჭამა. რანაირად დამავიწყდა.

ახლადგამომცხვარი პურის ფქვილმონაკრავი ხრაშუნა ზედაპირის ტკაცუნა სიხალასე. ცხელი ოხშივარი. ტკარცალა თავთავი. პური ჩვენი არსობისა. თეთრ წინსაფარზე მიყრილი ფქვილის სიმუქბეცე. უკანსაკრავიც ექნებათ. რა იცი, საიდან დაისვრები. მომჟავო სუნი. თბილ რძეში გახსნილი საფუვრის მწკლარტე ამონასუნთქი. ფქვილის უსუნო სურნელი, უფერო ფერი.

მშვენიერი სახლია. მხოლოდ სამი სართული. იღბლიანი რიცხვია, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ. თქვენ რას ფიქრობთ, ქალბატონო, დაეთანხმებოდით ამ მოსაზრებას? მე? მე... მისიე. მე... ვფიქრობ: ნამდვილად: ფიქრი. განუტევა სული. იღბლიანი რიცხვია. სამ თვლაზე დახვირტეს. მუქმოლურჯო მუნდირი, სქელძირიანი ფეხსაცმელი, გაჭიმული დგომი, უსულო თვალები, მონოტონური სუნთქვა. ერთი-ორი-სამი: სროლა. გაუმართლათ. ხომ შეიძლებოდა ორზე დაეხვრიტათ. ბედნიერების მომტანი რიცხვი. იმედი. იღბლიანი დღეა. მიჯაყჯაყებს მოჯაყჯაყე ურიკა. კომბოსტოს შემპალ ფურცლებში ჩაფლული

1 Dominus regit me (ლათ.) – უფალი ჩემი მწყემსია.

2 Hamartia (ბერძნული) – შეცდომა.

სიმწკლარტე ერთვის პურის ახლადგამომცხვარებას. ფეხების ბაკაბუკი ქვაფენილზე. სახელოდაფარული მკლავი. ჯანდაბა. ისევ დამავიწყდა ამძვრალი ღილის მიკერება. რამდენჯერ გავიფიქრე: ბევრჯერ. რამდენჯერ გამახსენდა: არცერთხელ. ისევ. რა... მინდოდა. არ ვშვრებოდი ხოლმე... რამდენჯერ მიფიქრია. კი ვნახავდი. შესანიშნავი უნდა იყოს. დაუტევა და წავიდა. სულელი ვარ. დილით როგორ მელოდა. თეთრ ზეწარში გახვეული. გამჭირვალე ზეწარი, უსხეულო, უარსო. და განძარცვეს იგი სამოსელისაგან. განძარცვული. იყო კი? არ ვიცი. არის? არც ეგ ვიცი. ამბობენ მოკვდაო. თუ არ იყო, როგორ მოკვდებოდა, თუ არ შობილა? ისევ ის. მგონი მე დამსდევს.

პატარა კიბეები უნდა აიარო, რომ მის ოთახში მოხვდე. ჭრიალა კარი, იმდაგვარი ჭრიალით იღება, როგორც... როგორც... როგორც ჭრიალა კარები იღება ხოლმე. ჭრჭრჭრ... ერთი დიდი გაბმული ჭრ, მცირედი პრელუდია, ოდნავი კვნესა ნესტიანი ხის მორებისა და გაბმული, ერთ ტონალობაზე აღებული ჭრჭრ. მორჩა, კარი ღიაა. რძის ნახმარი, თავებმოყვითლებული, სიმწვანეშეპარული შუშის ბოთლები კარებთან, გამოსასვლელთანვე აწყვია. მოვა მერძევე, წაარძევებს რძეგამომშრალ რძის სარძევეებს. ისევ მოვა და ახალს მოიტანს, გაქუცული მოსაცმელის ნაქსოვ ჯიბეში რამდენიმე მონეტას ჩაიწკრიალებს და კვირის წინანდელ გაზეთში შეხვეულ გასაღებების ასხმულას მეორე ჯიბეში ჩაიჩურთავს. მოწნული კალათა მიჯაყჯაყებს, შიგნით, ჭაობნასრუტავ შუშის ბოთლებში რძე ითქვირება. ხისფერ დაწნულ კალათაში მყოფი რძე გაჩნდა, ქალის მოღეღილ საღამურის ჯიბეში ჩაობებული მონეტები გაქრა. სამართლიანია. სამართალმა იზეიმა. სამართალმა პური ჭამა. რამხელა მრავალფეროვნებაა...

პატარა დუქანი. მოქანავე აბრაზე გასიებული ღორი ახატია. ვარდისფერ სიმუქეში გადასული. დაბრეცილი კიბეები, მოჭრიალე კარები. ხმაური, როგორც ყველგან. პერანგამოჩეჩილი სხეული ბოტოტა თითებით იტენის ღორის ცხიმდაბრაწულ ნაჭერს. ზედ კრემისფერქაფიან, შარდისფერ ლუდს აყოლებს. თითები პერანგზევე იწმინდება. გაღორებული პერანგის ნაკეცები. ხარბად ისუნთქავენ კანის ცხიმიანობას. ოჰ, მყუდრო ადგილია. მყუდრო ადგილი კუთხეში, სადაც არავინ შეგაწუხებს. გაძუნგლულწინსაფარმომუცლული მოსულელო სახე კიდევ უფრო სულელურად შემომღიმის. მხოლოდ სასმელი. ცხიმიან ჭიქაში ტალახისფერი სითხე ტივტივებს.

სახლი. მშობლიური სახლი. *უკვდავებას მირჩევნია დაგვალული სამშობლო.* ოჰ, როგორ მესმის შენი, დიდო ოდისევს. ისევ ნაცნობი შენობები. გადმოხსნილი დარაბები. მიფუჩეჩებული სარეცხი, შრება, იყინება. მოტიტინე ბავშვებაკიდებული დედები, ვაჭრობენ. სახლში საჭმელი საჭიროა. დაწნული კალათი გავსებულა. ხელის სწრაფი მოძრაობა, მონეტები გაიცვალა, პროდუქტი ჩალაგდა, დიდად მადლობელი ვარ. კარგ დღეს გისურვებთ, ნახვამდის. მიიწევენ. სახლისკენ მიიჩქარიან. სეირნობა. ამწვანებული ხეები, გაფურჩქნული ყვავილები. სიცოცხლესდანატრებული. გამოღვიძებულნი. ზამთრის ძილი. თეთრი, მტკივნეული ზამთარი და ფქვილისფერი თოვლი. წავალ, ისევ სახლში ჯობია. პატარა საწოლი, თეთრი ზეწარი და ფუმფულა ბალაში. ნეტავ რას შვრება? ბოლოს საწოლში იწვა. ახლაც იქ იქნება, დიდი დრო არ გასულა. ბლოკნოტში წვერწამახული ფანქრით რაღაცას იწერს. საქმიანი საუბარი, ჟილეტის შემორღვეული ღილები და ამორღვეული ნაკემსარი. ცოტაღა დარჩა. ნაცნობი სახეები. დილა მშვიდობისა. როგორ ბრძანდებით? დიდად მოხარული გახლავართ. აუცილებლად... ფორმაშეძენილი კიბეები. პატარა კარი, ვერცხლისფერი სახელური. როგორც იქნა. მშობლიური სურნელი. მოტკბო, ნელსაცხებელზე წმინდა და ყოველივეზე ამაღლებული: სახლის მოგონებებშემოჯარული სურნელი. ახალგამოცხვარ პურისავით თბილი. როგორც იქნა. სახლი.

წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა მამუკა დოლიძის პროზაული კრებული „გამოფენა“, რომელშიც შესულია ავტორის მიერ ბოლო დროს შექმნილი მოთხრობები გთავაზობთ ერთ-ერთ მოთხრობას ამ კრებულიდან თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე.

მამუკა დოლიძე

იყო და არა იყო რა

დრო არ არის უწყვეტი ნაკადი. აწმყო თავისით არ გამომდინარეობს წარსულიდან. მე ვარ შუაკაცი ახლანდელსა და გარდასულს შორის. მხოლოდ მე შემიძლია დროის გაფანტული მონაკვეთები ერთმანეთს გადავაბა არა იმიტომ, რომ დრო ჩემი შექმნილია, პირიქით, მე ვარ დროის ქმნილება. დრომ გამოკვეთა ჩემი სახე, გამიხსნა გონება, ააძგერა ჩემი გული. დრომ მომიგონა მე, რომ მე მოვიგონო დრო, გავაბა ის უხილავი ძაფი, რომელიც მის მონაკვეთებს სამკაულივით აკინძავს.

დრო არ არსებობს. დრო რომ არსებობდეს, წარსული განუმეორებელი იქნებოდა. მეხსიერების ვერანაირი ძალა ვერ გააცოცხლებს მას. სწორედ ის, რომ დრო არ არსებობს, სწორედ ეს არარსებობაა ის უხილავი ძაფი, რაც აწმყოს წარსულთან შეაკავშირებს. წარსულის გახსენება დროის არარსებობას ნიშნავს. მოგონება გამოგონებაა; არაფერი არ ყოფილა, არაფერი არ არის და არც არაფერი იქნება.

დრო მოჩვენებაა. ის არაფერს ათასი სახით აჩვენებს. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა რაიმეს გახსენება. თუკი არსებობდა ძველი თბილისი, თუ არ იყო სიზმარი *გარდასული ცხოვრება, მაშინ ის დღემდე ვერ მოაღწევდა, მაგრამ რა ვქნა, როცა მოსვენებას არ მაძლევს ვერის უბნის ქუჩა, ქუჩის ზემოთ პატარა სახლი.

სახლს უკანა მხარე ღია ჰქონდა. ჩემი აივანი მეორე სახლის ყრუ კედლამდე აღწევდა. მკაფიოდ მახსენდება შუშაბანდი კედლის პირისპირ. ზემოთ ფანჯრებიც კი შემიძლია დავთვალო. მარჯვნიდან მეორე სარკმელი იხსნებოდა და იქიდან იცქირებოდა პატარა ბიჭი. ეზოში არასოდეს ჩამოდიოდა. მარტო თვალები, შუბლი და გადახოტრილი თავი მოუჩანდა.

უცნაურია, რაც მეტი სიმკვეთრით მახსენდება შუშაბანდი, მით მეტად შევიგრძნობ მეხსიერების დაკარგვას ყრუ კედლის მიმართ. ეს უხსოვარი კედელი ხსოვნით განათებულ შუშაბანდს ესაზღვრება და მასთან კონტრასტის ძალით არსებობს. იქნებ, სიტყვა კედელი უბრალოდ აღნიშნავს მეხსიერების ამოვარდნას დროის არითმიაში, იმ ბნელ ზოლს, რომელსაც აქედან ჩვენი აივანი ესაზღვრებოდა, ზემოდან შუშაბანდი, ქვემოდან კი იტალიური ეზო, შუაში ონკანით, ქვეშ შემოდგმული ტაშტით, საიდანაც სარეცხის ფხვნილის ლურჯი ნაკადი მოედინებოდა.

ლიტერატურული გავლენებიდან ვერ გამოვსულვარ. დროა კითხვას თავი დავანებო და საკუთარ თავს მივხედო. ვაითუ, თავისთავად არაფერი ვარ? იქნებ, რაღაცას წარმოვადგენ კიდევაც, მაგრამ მეშინია, მრცხვენია ამ წარმოდგენას შევეხო და ისევ ლიტერატურულ ცხოვრებას ვუბრუნდები.

მეჩვენება, რომ ბავშვობის უბანს იტალიური ნეორეალიზმის შეფერილობა გადაჰკრავს. არადა, ჩემს წარსულს საკუთარი ხიბლიც დაუშრეტელი აქვს, მაგრამ ვერ მივდივარ ამ სილამაზესთან, უცხო შეგრძნებათა წრეზე ვტრიალებ.

ჩემი ქუჩა მელიქიშვილის ქუჩიდან ამოდის. დღის ბოლოა. ვიცი, მამა უნდა ბრუნდებოდეს სამსახურიდან. ჩემს მოლოდინს ეპასუხება ნაბიჯის ხმა. ცისფერი თვალების მზერა შემოსასვლელს ანათებს. მამა თავისი მეგობრებით მწვანე სასადილოში ტრიალებდა. აქეთ ჩემი და დედას სამფლობელო იყო. ფორთოხლისფერი კედელი აბაჟურის შუქს ისე ირეკლავდა, ოთახი ჩაბნელებულიც იყო და განათებულიც. ფანჯარასთან შავი როიალი ელვარებდა. ზედ იყო შემოდგმული რადიო, იქით სურათი, აქეთ ორი საწოლი, შუაში სარკე, რომლის დაყენებაზე დათიკომ მთელი დღე იწვალა.

ჩვენი ნათესავი, უზარმაზარი დათიკო სულ პატარა პეიზაჟებს და პორტრეტებს ხატავდა. კლასიკური მხატვრობის კონცენტრატებს ჰგავდა მისი ფერწერა. ნახატი თითქოს ვერ ეტეოდა ჩარჩოში და კალაპოტიდან გადმომსკდარი, კედელზე იღვრებოდა.

ბავშვობის გახსენებას როცა ვიწყებ, არ მშორდება განცდა, რომ ახალს არაფერს ვამბობ, რომ გატკეპნილ ბილიკს მივყვები, ჩემამდე უკვე მრავალჯერ ჩავლილს. რა საჭიროა ახალი ბილიკის ძებნა? იქნებ ძველ გზაზე იმას წავაწყდე, რაც მე მჭირდება, რაც ჩემი არსებობის ხსნა და გამართლება იქნება. ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხოვრებამ იმდენჯერ იცვალა ფერი, გზა საერთოდაც დავკარგე და სიცოცხლის სათავეს თუ არ დავუბრუნდი, წინ მოძრაობას ვეღარ შევძლებ.

იქნებ, არც არსებობდა ის, რასაც ვიგონებ. არსებობა ხომ განუმეორებელია და აღდგენას მხოლოდ იმდენად ექვემდებარება, რამდენადაც არარსებულს ერწყმის. ყოფნა - არყოფნის ერთიანი განცდა ავსებს ჩემს მოგონებას, აქცევს მას გამოგონებად და ზოგჯერ ძველმანების სკივრიდან ამომაქვს ის, რაც შიგ არასდროს ჩამიდევს.

ჩემს ქუჩას ბარნოვის ქუჩის მხრიდან სამუსიკო სასწავლებელი ესაზღვრებოდა. ჭირივით მეჯავრებოდა მუსიკა. ბნელ საკლასო ოთახში ინსტრუმენტთან მჯდომი ბებერი ქალი, სიგარეტისგან ჩახლეჩილი ხმით მიყვიროდა და არპეჯიოების დაკვრის დროს რკინის სახაზავს მაჯაზე მირტყამდა. ჩემი თითების შემყურე პიანინო რაღაც საცოდავ, შეცდომებით სავსე ხმოვანებას გამოსცემდა. პედაგოგის გამყინავი ხმა ტვინს მიბურღავდა. არადა, ვგრძნობდი, სიმშვიდის მომცველ ჰარმონიასთან მქონდა საქმე. მუსიკა მაინც ჟღერდა, თავისთვის ჟღერდა, მაგრამ მე და ჩემი ნერვებაშლილი მასწავლებელი ვერა და ვერ მივდიოდით იმ ხმოვანებამდე. ეს დამტვრეული, მშვიდ-მოუსვენარი თემა დღესაც ჩამესმის, ჩამესმის ბგერების გარეშე, უშინაარსოდ, აუწყობელი თავსატეხივით არის ჩადგმული ღრმად სულში. დროის დინებამ შეარბილა და წაშალა მისი დამსხვრეული ხმები, თუმცა, ვერ გაანელა მაჯაზე დარტყმული სახაზავის სიმწარე.

მახსოვს ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, ოპერის შენობის წინ ვიდექი. საათს შევცქეროდი. ვგრძნობდი, არ შემეძლო მუსიკაზე წასვლა, არ შემეძლო და მორჩა! მაშინ პირველად გავაცდინე გაკვეთილი, გავაცდინე არა შიშის ან სიბრაზის გამო, უბრალოდ ვიგრძენი, რომ ის, რაც არ შემეძლო, აღარც არსებობდა ჩემთვის. იმ ოთხშაბათ დღეს, ორ საათზე, ჩემს მოლოდინში მყოფმა სამუსიკო სასწავლებელმა უცებ შეწყვიტა არსებობა.

ქუჩის და დროის ის მონაკვეთი, როცა არსებული არარსებულად იქცა, სამუდამოდ დამამახსოვრდა. ოპერის წინ მდგომი დიდი და მრგვალი საათი წარუშლელად არსებობს ჩემს მოგონებაში. მისი მაჯისცემით ვაცნობიერებ იმ სულიერ ძვრას, რომელიც ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მომზადდა სახაზავის დარტყმების და პედაგოგის გამყინავი შეძახილებისგან, დიდი ხნით რომ ამოგლიჯა ჩემი ცხოვრების ფურცლებიდან მუსიკა.

იმ ოთხშაბათ დღეს, გასული საუკუნის სამოციანი წლების რუსთაველის პროსპექტი ჩემს დაუვიწყარ მოგონებად იქცა. ამ მოგონებას, როგორც გარდატეხის ასაკზე ჩამოგდებულ ფარდას, არა აქვს არც პრეისტორია, არც გაგრძელება. ავტობუსის იმ გაჩერებიდან ვერსად მივდივარ. არც ის ვიცი საიდან აღმოვჩნდი ოპერის შენობასთან დღის ორ საათზე. მინდა ვიფიქრო, რომ სკოლიდან მოვდივარ ექვსი გაკვეთილის შემდეგ, მაგრამ ის გაკვეთილები შეიძლება სულ სხვა დღის გაკვეთილები აღმოჩნდეს, რადგან დრო თავისით არ უკავშირდება დროს. მე უნდა ვიყო შუაში, მე უნდა გავიხსენო რა ხდებოდა ჩემს თავს, სანამ მუსიკის გაკვეთილს გავაცდენდი.

ესეც უშედეგოა, რადგან არც განცდები გამომდინარეობენ ერთმანეთისგან. ისინიც არსაიდან ჩნდებიან და ისევ არაფერს უბრუნდებიან. ამიტომ, ფიზიკის გაკვეთილი ცაში ჰკიდია, თუმცა, მას გარს აკრავს საკლასო ოთახი და წინ ბნელი დერეფანი უძევს. დერეფანში მოაბიჯებს სკოლის დირექტორი და ყურით მოათრევს ჩემს ძმაკაცს, რომელიც ფიზიკის მასწავლებელმა გაკვეთილიდან გამოაგდო.

დეკორაციის ცვლილება დაკავშირებულია ფიზიკის ლაბორანტის გამოსვლასთან. მას დენის გენერაციის მიზნით, რაღაც მრგვალი, ულვაშებიანი მოწყობილობა გამოაქვს. ჰაერში ელჭექის სუნი დგება. ვიღაც კივის. მიწიდან იზოლირებულ შუშის სკამზე შემდგარი ლაბორანტი ცხვირიდან ნაპერწკლებს აფრქვევს. დაფაზე რაღაც საინტერესო ხდება. ფორმულები მზესუმზირის მარცვლებივით ითხოვენ ერთმანეთს და ვეღარ ვაჩერებ ფიქრს.

ფიზიკის გაკვეთილიდან ვერ გამოვალ და სახლში ვერ წავალ, თუ საკუთარი მოგონება არ გავიარე, სადაც შეიძლება მხარი მეცვალოს და უცებ ათი წლით გვიან, ისევ ჩემს ქუჩაზე აღმოვჩნდე, ჩვენი სახლის კიბეზე. ამ კიბიდან ეზოში ჩავიდე, რომ სულზე მოვუსწრო მოღრუბლული ცის უცნაურ გამონათებას, ღრუბელზე წამით შერჩენილ სითეთრეს. სივრცის გახსნას კი არა, სივრცის გადალახვას და დროის წინასწარ განცდას; თითქოს საჩუქარივით გაიხსნა და თვალწინ გადაიშალა ჩემი მომავალი ცხოვრება, მაგრამ ეს სიხარული არ არის სრული. მას სევდაც ახლავს თან.

თვალისმომჭრელ ხილვაში ვხედავ და ვერც ვხედავ რეკლამებით მოთამაშე ოცდამეერთე საუკუნის ქალაქს, აყვირებულს, აჭრელებულს სიახლეებით, მშენებლობებით, მაგრამ ოდნავ სახედაკარგულს, ბუნდოვანს, ბენზინის ნისლში გახვეულს. თითქოს არის და აღარც არის ის, რასაც ოდესღაც ერქვა თბილისი.

თითქოს იყო და არა იყო რა.



ლერი ჩანტლაძე

შუადღის ექსპრომტი

ამ ქვეყნიდან ყველა მიდის,
ზოგი – ადრე, ზოგი – გვიან,
ცოტას მიაქვს ღვაწლი დიდი,
ბევრს – მეტრიკით რაცა ჰქვიან.
მიიცვალა დიდი კაცი,
სიკეთით და ნიჭით სავსე,
ეჰ, მამულში, ალბათ, ანი,
ძნელად ვისმეს დავამსგავსებთ.
რუსთაველი ვეღარ იტევს
დამწუხრებულ პატრიოტებს,
თავდახრილნი კუბოს მივდევთ,
ვეღარ ვახშობთ გლოვის ნოტებს.
რა სიტყვები, ღელე ცრემლის,
ტკივილი ვინ შეაფასოს,
იყო მყარი, ვითარც გრდემლი...
ლამის წარგვეკვეთოს სასო.
სწორედ ამ დროს, სპეცდარბაზში,
დოლარის და შეფის მონა
სავსე ყანწით, თანმხლებ ტაშით,
სიტყვებს აფრქვევს გაუგონარს...

ეპოქა

მოსალამოვდა, მოისხამს
ცა ტოგას, შვინდად დანაფერს,
ზარია: „გოგო, რას შვრები?“
პასუხი: „რავი...არაფერს!“
დღე დღეს მიათრევს, ჟამი რბის,
ვუმზერთ სამყაროს ეშხს და ფერს,
რეკავენ: „ბიჭო, რას შვრები?“
პასუხი: „რავი...არაფერს!“
დიასახლისი ყავას სვამს,
თანაც გაზეთით დასდევს მწერს,
ზარია: „ქალო, რას შვრები?“
„რა გითხრა...რავი...არაფერს!“
კაცი აიფონს ჩასცქერის,
სურათებს ჩითავს მრავალფერს...
ზარია: „გიგა, რას შვრები?“
„რას ვიზამ.. რავი...არაფერს!“
პარლამენტარი ჩარაზულ
ოთახში რაღაც არზას წერს,
რეკავენ: „ზურა, რას შვრები?“
„ვერთობი...რავი...არაფერს!“
პაპა ზის ტელევიზორთან
და საქმიანად უმზერს ჭერს...
ზარია: „კაკო, რას შვრები?“
„ვთვლი ბუზებს...რავი...არაფერს!“
ნუ გაიკვირვებთ, ესაა
ეპოქის სულისკვეთება...
არ გადაგვლალოთ, გაფრთხილდით,
მარად არაფრისკეთებამ!

ომის ექო

(ბიძის მონაყოლი)

შორიდან ისმის ექო „სამამულო“,
ამოდი, დეზერტირო, ჭურში დამალულო...
გამიტყდა ძილი, დამთენებია,
უკვე აურეკავს ჭადი ბებიას
მისი სურნელი ჭერამდე ადის
ო, რა რთულია მოთოკვა მადის!
ბაბუ ჭადს მოკბეჩს, ყველს მიაციცქნის,
ბებია არ ჭამს, იდაყვზე მწიკნის:
ჭადი მოკბიჩე, ყველს კი უსუნე –
ბაღნის წესია, ნულარ კრუსუნებ!
როცა მორჩება, ბებია, ომი,
საძღომად ვჭამოთ ყველი და ღომი.
უყველოდ ჭადის ჭამაა ძნელი,
ლამის დერგისკენ გამექცეს ხელი,
მშია, ვერ ვითმენ, ცრემლით ვკრუსუნობ...
ჯობს ბავშვმა ჭამოს, დიდმა – უსუნოს!

მურმანი

„ტიხარს აქეთ კაცი ხარ და
ტიხარს იქით პოეტი ხარ.“
(ტ. ჭანტურია. წარწერა
ოთ. ჭილაძის წიგნზე)

ლექსის მეფის, გეტყვი ჯიქურ:
მოთაყვანე ვეზირი ხარ,
პოეზიით გული გიხურს,
ტახტის მარჯვნივ მკვიდრად ზიხარ.
რამდენჯერაც სიკვდილი გჭირს,
უფრო მეტჯერ უკვდავი ხარ
და რამდენად უფრო გიჭირს,
უფრო მეტად პოეტი ხარ.
შეგღულუნებს ღვთის ფრინველი,
სწრაფად მარცვლავს წითელ ფეხებს,
სანამ ცისკენ აინაცვლებს
ღვთიურ სტრიქონს მოგიხერხებს.
ქვეყნის დარდი თან გდევს, მურმან,
„სენი“ შენი, ძველისძველი,
ხელზე, ლექსის უძლებ გურმანს,
გიზის შავი მგალობელი.
შენი ლექსი გააუქმებს
ზეცისა და მიწის ტიხარს,
ტიხარს იქით, ტიხარს აქეთ,
კაციც ხარ და პოეტიც ხარ!

BILINGVA

რომ ვიცოდე, სად რა მელის,
ვთქვათ, სიკვდილი მიცდის ხვალვე,
მაინც ღიმით, ორთავ ხელით,
გესალმებით, ძმებო: SALVE![1],
დარწყულებულს მცირედითაც,
არ მომხვეჭელს ბევრზე ბევრის,
ხელოვნების ლიბოს ვფიცავ:
ARS LONGA da VITA BREVIS![2]
ეს ნატვრა მაქვს: ცას ვეწვიო,
გადმოვხედო დედასფეროს,
თუმცკი მიზანს ვერ ვეწიე -
DUM SPIRO da mainc SPERO![3]
ფუჭად რომ არ ვიოცნებოთ,
მანამ, სანამ გარდვიცვალეთ,
სულ ვეფეროთ ერთურთს, ძმებო,
VALE, VALE.[4]

მეტაფორა

(წარწერა სპინოზას წიგნზე)

შენს აზრებს, ბრძენო, ტიტანო,
უნდა გაგება, ფერება.
მწვერვალზე მსურს ავიტანო
სიბრძნე და მეცნიერება...
უეცრად, ფიქრის პეპლები
ეწვივნენ რითმის ყვავილებს,
იმდენჯერ შემოგევლები,
რამდენსაც გულში გავივლებ.
მერე კი ვხედავ, ვიშლები,
როცა დრო-ჟამი გამოხდა,
დახვავდა კითხვის ნიშნები,
გვიან გავიგე რა მოხდა.
მინდება ზოგჯერ კივილი
ტოტალურ ძარღვდაფორაშლილს,
გავცვლი ლოგიკას ტკივილით
ერთ ცოცხალ მეტაფორაში!

1 გენაცვალე!
2 ხელოვნება გრძელია, სიცოცხლე – მოკლე.
3 სანამ ვსუნთქავ – ვიმედოვნებ.
4 კარგად იყავი!

სალომე ბზარაშვილი

***

ნეტავ, ცრემლებმა წალეკონ დაღლა,
ქარმა მიხუროს ლოდინის კარი,
ნეტავ, სხვა ვიყო ჩემს თავთან ახლა,
გულში ჩავიკრა, გავუგო დარდი.

ულონო ხელებს მსხვრევა სურთ ლანდთა,
აღრუბლულ თვალებს ლაჟვარდის კვალი,
სულიდან ისევ ჟონავს მეტასტაზთ
ლაშქარი სისხლში, მესხმის თავზარი...

დილას მექისე ჩამოჰბანს თვალებს,
ქალაქს გადაჭრის კვლავ ქარავანი,
მე ისევ სულში დავმალავ ნაღველს,
ღია ჭრილობებს სიცილმაქმანით.

***

ყეფს ცოფიანი ძაღლივით ქარი,
და ცრემლებს რისხვის ტალღებში მალავს,
ვერ გიბრაზდები, მოგიდო შარი?
ვერ შემიყვარე, აქ ბრალი რა გაქვს?

ეს ღამე, დღისებრ მისერავს ფიქრებს,
ეშვეგაკრულ შიშზე ლექსის არტაშანს
მადებს და გული უკან არ იხევს,
სიზმრიდან ლანდი გგავს, თან არცა გგავს.

და პიტერს ისევ მოელის ვენდი,
უმისოდ ფრენას რა ხიბლი ახლავს?!
ქარი სიბრაზით მთელ ქალაქს შეჰყრის,
მე ჩუმი ნატვრაც კი სისხლს მიწამლავს.

***

ჩაგეძინება ჩემს მუხლებზე, როგორც დაღლილ ღმერთს,
შენს ნაცვლად სიკვდილს მომანდომებს მძიმე ნაკვთები
სულის, რომელიც მჭერსაც უწვდის თვის დაკოჟრილ ხელს
და იწვის რათა გაუნათოს სხვის გულს სარკმელი.
სიზმრის ანგელოზს გაარკვირვებს შენი სილურჯე,
და სერაფიმებს მოუნდებათ დალვინდნენ შენში,
აყვავებული სათნოების შენ ხარ სიუხვე,
რომელსაც ბედის ამორძალი ჯალათიც ვერ ცვლის.

ჩაგეძინება ჩემს მუხლებზე, თავს ვიგრძნობ ღმერთად,
უშენოდ სუნთქვა გამუდმებით ნეკნებს მიმტვრევდა,
ვიტევდი ღამეს, ჭვავის ყანის გადამწვარ ღერთა
ბოლო სურვილს და თითქოს ყველა შენსკენ ილტვოდა.

გამოიღვიძებ ჩემს მუხლებზე მზიან ღამეში
და ნასიმპტომარ სიცოცხლისგან ხველას მომირჩენ,
ჩემი ლექსების სამძიმრებზე იყავ ძაძებში,
ვიცი შენს სულზე დასამყნობად ბოლქვსაც მომიჩენ.

***

წვიმა რაფაზე შენს ნომერს კრეფავს,
თითქოს სიმძიმეს დაძრავს სიჩუმის,
მე კი სიბრაზით სულსაც ვიჩხავ,
ვწვავ ლექსებს, სიზმრებს თავთან სიურჩის.

სამხილებს და თან ზეცა ბუმერანგს
იბრუნებს თითქოს - ცრემლები მცდება,
ბაგეს უთქმელი სიტყვა გახეთქავს,
სუნთქვა ჩახერგა გაწყვეტილ სიმმა.

არღანი მაინც გაწელავს ტკივილს,
ღრუბლის მჭიდს ავსებს ჩემი ნაღველი
და როცა შენგან მშველელად გითხოვ,
თავად შენა ხარ მკვლელიც, დამხსნელიც.

და ვემალები ჩემს თავს უნიჭოდ,
სარკე წყლულიან ნაკვთებს ინახავს,
წვიმა გაგიმხელს, რაც მსურს უსიტყვოდ,
წუხილს კი ვაქცევ ლექსის მინანქრად...

წვიმა რაფაზე შენს ნომერს კრეფავს,
გელი და მაინც ნუ მოხვალ მხსნელად...

იყო და არა იყო რა

გადამატარა დევმა ცხრა მთა, ზღვა,
ბრაზით მოჭიმა ცის იალქნები,
მე კი, ძვირფასო, აუღელვებლად
ქარს გავატანე, რაც კი დავრჩები ...
ნუ მოხვალ, ნავი მაინც ჩაგვძირავს,
გაბზარულ სიზმრებს ვიცი, ავიხდენ
და ჩემს სიცოცხლეს, შენს სულში რომ დგას,
ღაწვზე ნაკოცნი ტუჩით ნუ მიმღერ,
რომ მნემოზინეს არფა გაეღრდეს,
მოგონებების ქალღმერთმა გამთქვას,
რომ ცხრა მთის იქით დევიც იღლება,
რომ სიმწრის ცრემლი ატმის ბოლქვს ნამავს.
გადამატარა დევმა ცხრა კიდე,
დარდის ჰორიზონტს მაინც ვერ გავცდით,
შენ ბრიყვულ სალმით გამომეკიდე,
ქუჩაში, სადაც ყველაა მგზავრი ...
და ჩვენ ძვირფასო, ასე უბრალოდ,
ღაწვზე ნაკოცნის კვალივით გავქრით ...
შენ კი ის დილაც ვერ გაიხსენე,
დევმა როდესაც მოგტაცა ქალი.

ღრუბლების ოდისეა

ისევ უდროოდ მერევა სევდა,
ღრუბელი წვიმით მიმშრალებს თვალებს,
შენი სურნელით ამავსებს ზეცაც,
გულის ჰორიზონტს ნავი მიარღვევს.

სიტყვები ჩვენ რომ არ უნდა გვეთქვა,
სიზმრები, სადაც კვლავ თეთრად ვათევთ,
ხელები თითქოს დატოვეს ძლებმა
უუნარობის კედელს ვერ ვანგრევ.

შენსკენ გადებულ ხიდებზე ისევ
ტკივილი ნალმებს ჩუმად ალაგებს,
მე ასკინკილით მოვდივარ შენთან,
ნეტავ, კვლავ ბავშვურ სულად მლანდავდე.

რას ჩურჩულებენ ღრუბლები ნეტავ?
ნავს გატანებულ ოცნებებს თხზავენ?
რად უნითლდებათ ღაწვები, ლოყა,
ტუჩები უმალ რად ალაჟვარდნენ?

ცაზე ჩაძირულ ნავებს დავითვლი,
მზისკენ იწევდნენ და დარდს გადაჰყვნენ,
ჩვენც ხომ ოდესღაც ლექსების წერა
გვილხინდა, მერე თავი დავკარგეთ.

***

სიცხეს მიზომავს დამდნარი სიტყვა,
თვალებს მილოკავს ნატვრა ცრემლებით,
იქნებ აჯობებს გავარდეს ტყვია,
მერე რა, თუკი შევეწირები.

შენს ნაცვლად ხელებს სიცივე ათბობს,
ხელისგულებზე ძაფი ირღვევა,
ჩემს სახელს შენებრ ვერავინ ამბობს
და იქნებ არც ღირს, ნულარ ითქმევა.

თუ შენს გულს არ სურს ჩემთან ერთობა,
ლექსში ხომ მაინც გაგიხსნელე,
დღეს ეს ღვთიური ურთიერთობა,
ცხოვრების შარში კურნავს სნეულებს.

ძმაჯ ჩემი და ვაჟას მინდია



ქრისტე აღსდგა, თემურ, ჩემო ქრისტესმიერო ძმაო – ქრისტეს ნათელში გაბრწყინდი შენს ვაჟა-ფშაველასთან ერთად (ია ბაგრატიონ-მუხრანელის, აწ მონაზონ მარიამის მიერ შედგენილ წიგნში, „წმინდა მთა – მამადავითი," ვაჟასადმი მიძღვნილი ჩანახატი სწორედ ასე დაასათაურე – „ჩემი ვაჟა-ფშაველა"); ვაჟაც შენია, ფიროსმანიც (მთაწმინდაზე სიმბოლური საფლავი ხომ შენ მოუწყე); გოგლაც შენია (ერთხელ, მამაშენმა ნახევარი ღორი რომ გამოგატანა სოფლიდან, შენ კი, პატარძეულში გამოვლისას, გაგახსენდა, რომ სწორედ იმ დღეს გიორგი ლეონიძის დაბადების დღე იყო, მანქანა გააჩერებინე და მწვადად შეწვი მთელი საახალწლო ნობათი – არსენა ოძელაშვილივით გამვლელ-გამომვლელს ეპატიჟებოდი... და, რას წარმოიდგენდი მაშინ, რომ ამ ბუმბერაზი ქართველის შობის დღე შენი ამქვეყნიდან განსვლის დღედ იქცეოდა). ალბათ უკვე „წინწყაროს" მღერი ჰამლეტ გონაშვილთან ერთად (რა საოცარი სიტყვებით შეამკე ავთანდილივით ტკბილხმოვანი: „შენ წამოიწყე, „დაიგვიანეს" და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები, ეგებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ ბექა და ბეშქენ ოპიზარები"); ომარ კელაპტრიშვილი წყვილ სალამურს ააწკრიალებდა შენს დანახვაზე; თემურ წიკლაური, ალბათ, მანდაც მღერის შენს ლექსზე შექმნილ სიმღერას – „აღსდექ, საქართველოვ, მართლმადიდებელო," რომელსაც ჩვენმა პატრიარქმა მართლმადიდებლობის ჰიმნი უწოდა. უკვე ნახავდი შენს მეჯვარეს – კაცობისა და ნიჭიერების სიმბოლოს, ქართული კინოს ვარსკვლავს, ლეგენდარულ თენგიზ არჩვაძეს, რომელმაც რამდენიმე კვირით გაგასწრო. გიმალავდნენ, მაგრამ მაინც გაიგე და გულისწყვეტით თქვი: თენგიზი წავიდა, რათა იქ დამხვდესო.

ნახავდი ჩვენს ძვირფას მამობილს, ბატონ კიტა ბუაჩიძესაც, რომელიც 100 ათასიანი ტირაჟით გამოცემული წიგნების ჰონორარებს მრავალშვილიან ოჯახებს ურიგებდა, თავისთვის კი არანაირ დანაზოგს არ იტოვებდა. და, შენ ქელეხის სუფრა საკუთარ ჭერქვეშ გაუშალე. ბატონი კიტა სულ წუხდა იმის გამო, რომ კინორეჟისორებს შეუმჩნეველი დარჩათ შენი გარეგნობა. ალბათ ბედის ირონიაა, ბოლო ხანებში შემოთავაზება რომ გქონდა ჰოლივუდური ფილმიდან. ენთუზიაზმით აიტაცე და სიცილით მეუბნებოდი: თენგიზ არჩვაძე როცა გაიგებს, ჰოლივუდში გადამიღეს, როგორ გაოცდებაო.

მერე... მერე ნელ-ნელა ჩამოდნი, ჩამოიღვენთე შენი „სანთელივით." შენ სამშობლოს საკურთხეველში ანთებული თაფლის სანთელი ხარ – „უფლის ხმობილი" და, „საქართველოს ჭირისუფალო, ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია."

რა საოცარი ფერადოვნებით ქარგავდი „სულის აკვიატებული ნისლებიდან" ამოზრდილ სტრიქონებს: აქეთ ფიროსმანს სთავაზობ, ერთად ვნახოთო „შეფრთხიალება თბილისის დილის," იქით, წიწამურისკენ ავლისას, მკერდზე რომ შემოგაფრინდა „ეშმა ფრთოსანი," როცა „მზე გაქცეოდა წვიმებს ღრუბლიდან", ქარის ღმუილში ჰგოდებს შენი აბორგებული სული: „ასე მგონია, დაჭრილ შუბლიდან ჩამომდიოდა სისხლი თქრიალით."

ახალგაზრდობაში დაკარგული სატრფოს ხატება „ქაშუეთიდან გამოპარულ ფრესკას" გაგონებს და სულისთქმასავით გენატრება „იისფერ მტკვარში ჩაძინება;" მამისეულ საათს ტკივილით ესიყვარულები: „ვინ დაგარქვა შენ, უბრალოდ, საათი, შენ ხომ მამის მაჯისცემას ისმენდი;" დედას კი საფლავში ჩასძახი:

„იქნები სახელგაურიყავი,
შენ ძველებურად ალბათ მორცხვი ხარ,
ადრე ხომ ჩემი დედა იყავი,
ახლა პატარა მიწის ბორცვი ხარ."

სიკვდილის მიმართ ზოგჯერ მრისხანებდი: „სიკვდილიც მოვა, ოხერი, მოვა და შემომაკვდება;" ზოგჯერ კი, კაცობრიობის ამ ვერაგ მტერს, მეგობრულად ებაასები:

„დამხვდები ჩაღამებული
მე – მოწყვეტილსა სამზეოს.
წამიყვან პაპის პაპასთან,
რომ ვეამბორო მხარზეო."

ზოგჯერ ცრემლებს ჩამოღვრიდი: სამშობლო მენატრება, სამშობლოში სამშობლო მენატრებაო, – აკი, პირმშოც წინაპართა სისხლით გაჟღენთილ მიწას უფეშქაშე: „აჰა, სამშობლოვ, შვილი ერთგული – დაადგი შენი მძიმე უღელი;" შვილს კი უანდერძე: „არვინ გაჯობოს, შვილო, იცოდე, მიწის მოვლასა და სიყვარულში!"

გეტა იმედოვნებს, რომ მეუფე თადეოზი ძალიან გაიხარებდა შენი მისვლით – თქვენ ხომ დიდი მეგობრები იყავით, პოეზიის გარდა ბევრი საერთო გქონდათ.

ჩემდამი ნაჩუქარ ერთ წიგნს დააწერე: „ნანას – სიცოცხლეში ჩემს გამხარებელს, სიკვდილის შემდეგ დამტირებელს" – აგვატირე, ძალიან აგვატირე... ყველას დაგვაკლდი, თბილისს დააკლდი, მთელ საქართველოს დააკლდი – მზეს ერთი სხივი მოაკლდა, გულში კიდევ ერთი ძარღვი ჩაწყდა...

მეტყოდი ხოლმე: ისეთ დროს მირეკავ, როცა ძალიან მიჭირს, როცა სული მტკივაო... ახლა მე მტკივა სული, ძალიან მტკივა – სიზმარში მაინც მოდი, გთხოვ!.. მოდი და მიამბე იმ სანახების შესახებ, ქრისტემ თავისი სისხლით რომ მოგვიპოვა; მოდი და მიამბე, რუსთაველსაც შეხვდი უკვე? ჰკითხე, როგორ შექმნა უმწვერვალესი პოემა? – ჩვენ ხომ ხშირად ვსაუბრობდით ამ სიდიადეზე. აკი, დაწერე კიდეც: „ღმერთო, კი მომკალ, როცა ქართველი არ წაიკითხავს „ვეფხისტყაოსანს."

კახეთში დაბადებული და გაზრდილი თბილისის კოლორიტად იქეცი – ჩვენმა მეგობარმა, მარიამ მჭედლიშვილმა, ერთ მოქნეულ ფრაზაში ჩატია შენი პორტრეტი: „ხელებივით გულიც რომ აქვს გაშლილი, უყვარს თბილისს თემურ ჩალაბაშვილი."

იმ დღეებს ვიხსენებ, შლეგი ქარივით რომ დაქროდი რუსთაველზე და ჩუღურეთის ქუჩებში, ხან ნაბდით, ხან ჩოხა-ახალუხით... როგორ გიყვარდა ყველა – მეეზოვე თუ მეყვავილე, მეწაღე, მესაათე... როგორ გშვენოდა სატინის ხალათები, საგანგებოდ რომ აკერინებდი ძველებურ ყაიდაზე – ძველი ქართული სული ჩქეფდა შენს არსებაში – **შენ ძალიან ქართველი ხარ!..** შენ ის ქართველი ხარ, თურქეთში, აქედან გატანილი სპილენძის თუნგები რომ შეიძინე და სასოებით ჩამოიტანე, მიუხედავად იმისა, ბავშვებს ერთი კანფეტიც რომ ვერ უყიდე. შენზე ბატონმა ემზარ კვიტაიშვილმა ბრძანა: ჩალაბაშვილი ფიროსმანის დროს რომ დაბადებულიყო, დღეს ფიროსმანის საფლავი გვეცოდინებოდაო.

...დადიოდი ნათელ-მირონობის მადლით შუბლგანათებული და ზეცას შეჰხაროდი, შენს თვალს არაფერი გამორჩებოდა – დაკარგულ ჩიტის ბუდეზეც კი ზრუნავდი.

საკუთარივით გიხაროდა სხვისი სიკეთე – მეფე ერეკლეზე ლექსი რომ დავწერე, იმ დილით ქაშუეთში შემხვდი. წირვის შემდეგ წაგიკითხე – გულანთებული მისმენდი, ბოლო ფრაზა შენ წამოიძახე (მაშ, რის პოეტი იყავი), ბავშვივით გამომტაცე და გულის ჯიბეში ჩაიდე – ყველას უნდა წავუკითხოო, მერე ერთი ლექსის ანთოლოგიაში შეიტანე.

ყველასაგან განსხვავებული, შენეული წეს-განგებით მიიკვლევდი ამსოფლიურ გზა-შარას და მიიმღეროდი: „არაფერი არა მაქვს ცხოვრებასთან საერთო."

ვაზითა და ვარდებით გაფურჩქნულ შენს პატარა აივანზე ჩიტებსაც უმასპინძლდებოდი – ერთხელ, ჯამში, სადაც ნამცეცებს უყრიდი, ცოტა ღვინო ჩაგისხამს და გიხაროდა – ჩიტებთან ერთად ვქეიფობო.

მარტოობას ვერ იტანდი – მარტოობისას „ჩაღამებული სულის სარკმლიდან" იხედებოდა შენი მთრთოლავი სული და კვნესოდა: „გეხვეწებით, ნუ დამტოვებთ მარტო, პოეტი ვარ, გული გამებზარება." მარტოობისა უფრო გეშინოდა, ვიდრე განკითხვის, ამიტომაც მტკიცედ ამბობდი: „მეორედ მოსვლის არ მეშინია, უფალო, რადგან შენით ვიცხოვრე." და იქვე შეჰღაღადებდი: „მარტო დავრჩი და შემომეშველე, უშენოდ ყოფნის არ მაქვს ტალანტი." დარწმუნებული იმაში, რომ უფალი არასდროს მიგატოვებდა, გულის ხმით ეჩურჩულებოდი: „მიწყივ უხმლო და მიწყივ უფარო, შენი იმედით ვცოცხლობ, უფალო!"

ვიღაცას უკითხავს, ღმერთი არსებობსო? – შენ კი მოსწრებულად გიპასუხია: უფალი სუფევს, შენ არსებობო.

ყოფნა-არყოფნის მარადიული განტოლება შემდეგი არგუმენტით ამოხსენი: „ვინც იბადება, ის კვდება, ვინც კვდება, ის იბადება"; ისიც კარგად გქონდა გაცნობიერებული, რომ „უკვდავება არ იწყება სიცოცხლით, დავიწყება არც სიკვდილით თავდება;" – შენი უკვდავი სული ღვთის წინაშეა წარმდგარი, შენი სახელი ქართულ პოეზიაში წარუშლელად არის ჩაწერილი, გენეტიკურად კი თარაშისა და ლუკას შთამომავლები უკვდავგყოფენ.

ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდი და მთელი ქუჩის მოსახლეობას ივ. ჯავახიშვილის სურათები დაურიგე – უნდა იცნობდეთ კაცს, ვისი სახელობის ქუჩაზეც ცხოვრობთო.

„მცხეთის ჯვარზე გაკრული" ღმერთს ევედრებოდი: „გვასწავლე ქართველებს ერთურთის გატანა"-ო, თანამოძმეთ კი სიყვარულისკენ მოუწოდებდი:

„რამდენი უცხოელი ერი
ჩვენს ჯიშ-წარმოშობას ნატრობს,
მუდამ შინა გვყავდა მტერი,
გარეთ დავეძებდით პატრონს.
.....
არა, ქართველებო, არა,
ერთურთს შევეხიდოთ უფრო,
უსიყვარულობა კმარა,
ჩვენში თუ უფალი უფლობს."

ლუკას ვუთხარიო: აქაურობას მოუარე, როგორც არის, ყველაფერი ისევე შეინახეო, – ხომ არ ვეტყოდი, რამე თუ დამემართოს-მეთქი, ბავშვს ხომ არ შევაშინებდიო.

შენი სახლი დაობლდა – აღარ მეგონა, იქ მისვლას კიდევ თუ შევძლებდი... ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ლუკა შეგპირდა, ეგ არის, რომ ბუხრის თავზე უამრავი სანთელი დევს და თარაში გინთებს და გინთებს...

შენზე ახალი ლექსი უნდა დავწერო, ის არ მომწონსო, – მეუბნებოდი და მომავლის გეგმებს მაცნობდი: შემოდგომაზე, მწერალთა კავშირში რომ დავბრუნდებით, ამას და ამას გავაკეთებო, მეც გიზიარებდი საქმეთა ნუსხას... თუმცა, ზოგჯერ, რაღაც ეჭვი გაირბენდა ხოლმე გულში და მაშინვე ამოვშანთავდი, ლოდით დავგმანავდი.

ბოლოს, თქვენთან რომ ვიყავი, გეტამ შემომჩივლა: ლოგინში მიმაქვს საჭმელი, ძალიან გაზარმაცდაო – თან მწვანე ლობიოს კმაზავდა, – დარჩი, ერთად ვისადილოთო. თუ დარჩები, მაგიდასთან მოვალო, – პირობა წამიყენე... პაწაწინა, სათითისხელა ჭიქაში წითელი ღვინო დაისხი და სადღეგრძელოებს ამბობდი, თანაც აღნიშნე: აი, ხედავ, მეორედ გადავიღე ლობიო – ამ ავადმყოფობაში ასე გემრიელად ჯერ არ მიჭამია, რა კარგია, ჩვენთან რომ ხარო. მეც მიხაროდა, გახალისებულს რომ გხედავდი, მაგრამ გულმა მითხრა: ერთად ვეღარ იტრაპეზებთ, ეს უკანასკნელიაო. უმალ ჩავქოლე მზაკვარი ფიქრი, მაგრამ...

შენი ორმოცის დილით, ძილ-ბურანში, ლამაზი ფრაზა მოფრინდა – სახელდახელოდ ჩამოიქნა ლექსად და, ტელეფონს წავნვდი, შენთან უნდა დამერეკა – ჩვენ ხომ ერთმანეთს ვუკითხავდით მელანშეუშრობ ლექსებს...

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მითხარი: ნანიკო, ის წერილი მოძებნეო, – ვერ მივხვდი, რომელს გულისხმობდი, ვიფიქრე, რაღაც წერილი იყო შენი, დაუბეჭდავი და, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა – როგორ გამომრჩა-მეთქი. აი, ის, ის, ჩემი წიგნის წინასიტყვაობად რომ დაწერეო. ის ხომ წიგნსაც აქვს წამძღვარებული და „ქაროზშიც" დავბეჭდეთ-მეთქი. მოძებნე, მოძებნე, ხომ იცი, მხცოვანმა მარი აბრამიშვილმა რა თქვა: ასეთი წინასიტყვაობა არ წამიკითხავსო, და, მიმქრალი ხმით დამემშვიდობე: ილოცე, ნანიკო, ილოცეო, – სისხლი გამეყინა, მივხვდი, მინიშნებას მაძლევდა...

იმ წერილს დაბადების დღისთვის დაგიბეჭდავ, ახლა კი, სააღდგომოდ, ეს დაგიწერე – ვნახოთ, როგორ მოგეწონებათ შენ და ქალბატონ მარის.

P.S. აქვე გიბეჭდავ იმ ლექსს, მესხეთიდან მომავალმა, ქართლის გზებზე რომ დაგიწერე, მარტის იმ უამურ დილას, თუმცა, თავიდან, შენზე არ დამიწყია წერა – ჩემს შთაბეჭდილებებს ვანდობდი ქაღალდს...

ადრიანად გამოსულები ხაშურს რომ მივუახლოვდით, ცა უფრო ჩამუქდა, ნათლის ნაცვლად ბინდი ემატებოდა... მძღოლმა რაღაცა მკითხა და უხალისოდ გავეცი პასუხი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს მასთან საუბარი – თუნდაც სულ უმნიშვნელო, განყენებულ საკითხს ვეხებოდეთ, „ვეფხისტყაოსნიდან" არათუ აფორიზმებს, მთელ სტროფებსაც ჩართავს ხოლმე. შენ იცნობ ჩვენს გელა ფეიქრიშვილს, რომელიც ყოველ დილით „ვეფხისტყაოსანთან" ერთად ჯდება მანქანაში, საღამოს კი, ლოცვის შემდეგ, ისევ რუსთაველს უბრუნდება. ჰოდა, გელასთან ლაპარაკიც აღარ მინდოდა – ლექსის წერა დავიწყე:

წვიმის ფარდები ეფარება ქართლის სანახებს –
ჩამოწოლილან ნისლები გულზე.
ფიქრებით ვუმზერ ვაჟას მინდიებს,
კვირიებს, ლუხუმებს და სანათებს...
ფიქრებით ვუმზერ, მაგრამ ვაი, რომ
ვერა ვპოულობ დროში ჩაკარგულთ –
რა დააღამებს ამ უკუნეთ დღეს,
რა გაანათებს ამ დანისლულ გულს...
ვზივარ ფიქრებით დაოსებული,
დარდმორეული, დარდებაშლილი —
(ეს გზაც რომ არა და არ თავდება,
ან წეროები სადღა მიდიან?!)
ჩაწყვდიადებულ გულის კუნჭულში
სანთელიც არსად აღარ მინთია!..

უცებ გაისმა ტელეფონის ხმა –
მირეკავს თემურ ჩალაბაშვილი,
მირეკავს თემურ ჩალაბაშვილი –
ძმაჯ ჩემი და ვაჟას მინდია;
....
და, გამიბრწყინდა ცაზე მზის თვალი,
თუმც სანახებში ისევ ბინდია.

დაჯ შენი,
ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი

ჟაკლინ სირაძე

ფილოსოფია იბრუნებს თავის ამოსავალ წერტილს – ინდივიდს

ავთანდილ პოპიაშვილის „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფრ. ნიცშეს ფილოსოფიაში“

ავთანდილ პოპიაშვილი

ინდივიდის პრობლემა სორენ კირკეგორისა და ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაში

ფილოსოფოსის იდუმალი გზა?

დღეს აღარავინ კამათობს იმის შესახებ, რომ ფილოსოფოსი აბსტრაქტული აზროვნების უდაბნოში მოხეტიალე მწირი კი არ არის, რომელიც თავის „იარაღებად“ ლოგიკურ, თუ ანალიტიკურ აზროვნებას იყენებს, არამედ ის პოეტისა თუ მწერლის მსგავსად შთაგონების იდუმალ გზას ექვემდებარება.

განა უამრავი მაგალითი არ გვიდასტურებს ამას? მაგალითად, ცნობილია, რომ ვინმე გლეხის შვილს, მეჩექმის ხელობას რომ მისდევდა – იაკობ ბოემეს, სამყაროს მთელი საიდუმლოება მაშინ განეცხადა, როცა იხილა მზის სხივის მიერ განათებული ბნელი ჭურჭელი და ეს მიიჩნია მან იმ ერთგვარ ზეციურ მინიშნებად, რომელმაც მას ზეციდან ნაკარნახევი ტექსტის წაკითხვა შეაძლებინა.

უდავოდ ასეთი წინასწარხილვა უნდა ვიგულისხმოთ ასე უდროოდ გარდაცვლილი ქართველი ფილოსოფოსის ავთანდილ პოპიაშვილის შემთხვევაშიც. სხვაგვარად, ლოგიკურად შეუძლებელი იქნებოდა მისი მოულოდნელი გადაწყვეტილება – დაეტოვებინა პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სადაც ის წარჩინებული სტუდენტი იყო), რათა ფილოსოფიის ფაკულტეტზე მოხვედრილიყო. ის პირველმა წინაღობამ ვერ შეაფერხა და ამისთვის 1965 წელს პირველი ნაბიჯი გადადგა, შევიდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მხოლოდ ამის შემდეგ ის გადადის ფილოსოფიის ფაკულტეტზე და იმთავითვე მიიქცევს ცნობილი ქართველი ფილოსოფოსების სავლე წერეთლის, ზურაბ კაკაბაძის, თამაზ ბუაჩიძის, გურამ თევზაძის და სხვათა ყურადღებას.

და, როცა ვფიქრობ ქართველი ფილოსოფოსის „საიდუმლო შეტყობინების“ ტექსტზე, მუდამ მისთვის ასე არსებითი კვლევის საგანი წარმომიდგება – ეს ინდივიდია, – ინდივიდის არსება, მისი აღმოჩენა და მისი დაცვა. და სულაც კანონზომიერია, რომ მან თავისი სადოქტორო დისერტაციის თემად აირჩია „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფრ. ნიცშეს ფილოსოფიაში“, რომელიც 1987 წელს წიგნად გამოიცა.

კონტექსტის გათვალისწინებით

აქსიომაა, რომ კონტექსტის გარეშე ვერცერთ წიგნს საფუძვლიანად ვერ შეაფასებ. მასში ხომ ძევს წიგნის დაწერის მოტივაციაც, საბაბიც და ის დროებაც, რომელიც ერთგვარად „მოკარნახის“ ფუნქციას ითავსებს. და ამის გათვალისწინების შემდეგ გაოგნებული, აღფრთოვანებული და გაოცებული აღმოჩნდები, როცა მისი აღნიშნული წიგნის კონტექსტს გაიაზრებ – ეს ხომ ის ტოტალიტარული რეჟიმია, რომელმაც თავისი დრო – სივრციდან გამოდევნა პიროვნება, ინდივიდი. მაგრამ ავთანდილ პოპიაშვილს ხომ განსაკუთრებული ტალანტი ჰქონდა, რაზედაც გურამ თევზაძე ასე წერდა:

„მას რაღაც ისეთის დანახვა და რაღაც ისეთის წვდომა შეეძლო, რაც სწორედ მისთვის იყო განკუთვნილი და ის იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ ეს მისი დანიშნულება იყო“ (ხაზგ. – ჟ. ს.)

და მაინც, რა დაინახა ქართველმა ფილოსოფოსმა? რა იყო მისი კვლევის საგანი? ან რაში მდგომარეობდა **მისი კვლევის** საგნის – ინდივიდის განსაკუთრებულობა?

თუ გავითვალისწინებთ მარტინ ჰაიდეგერის მოსაზრებას, მისი კვლევის საგანი თავად ფილოსოფიის „ამოსავალი წერტილი“ აღმოჩნდა:

„ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ადამიანი და მხოლოდ ამ წერტილიდან ამოსვლით შეიძლება მივიდეთ „ყოფიერების ღიაობამდე“, ყოფიერების საკითხის გადაჭრამდე, რაც ფილოსოფიის ძირითადი პრობლემაა (ა. პოპიაშვილი „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფრ. ნიცშეს ფილოსოფიაში“).

და ისე გამოდის, რომ (მაქს შტირნერის, სორენ კირკეგორისა და ფრიდრიხ ნიცშეს) შრომებამდე, ფილოსოფიამ თავისი „ამოსავალი წერტილის“ გარეშე განვლო საუკუნეები და ასე გაიარა თავისი აზროვნების ფილოსოფიური გზა. თუ გაიაზრებ საბჭოეთის გამოქვაბულიდან (პლატონის გამოქვაბულის ასოციაციით) „თავდახსნილმა“ ავთანდილ პოპიაშვილმა, თუ როგორ იხილა „თვალისმომჭრელად“, მზით განათებული ბილიკი, რომელმაც ის ფილოსოფიის „ამოსავალი წერტილის“ – ინდივიდის მნიშვნელობამდე მიიყვანა, აღარ გაკვირვებს ის დიდი ინტერესი, რაც მოჰყვა აღნიშნული წიგნის 4000-ტირაჟიან გამოცემას: – სულ მალე ის ქრება მაღაზიების თაროებიდან.

გზა, ვიდრე TERRA INCOGNITA-მდე

ავთანდილ პოპიაშვილის idee fixe-ა ინდივიდი, რომელიც თავის თავში ჩაღრმავების გზით ღმერთამდე მიდის – კირკეგორის შემთხვევაში ეს ინდივიდის გააბსოლუტებაა, ხოლო ნიცშესთან ეს – „გაზეკაცებაა“.

მაგრამ, რათა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ს. კირკეგორისა და ფრ. ნიცშეს ფილოსოფიაში ინდივიდის აღმოჩენას და მისი დანახვის მნიშვნელობას, ქართველი ფილოსოფოსი სწორედ ამ კუთხით – ინდივიდის „ვერ დანახვის“, „ვერ შეცნობის“, „ვერ გამოკვეთის“ ნიშნით მოხაზავს, განსაზღვრავს მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიას, – ვიდრე „terra incognita“-მდე – ვიდრე სორენ კირკეგორისა და ფრიდრიხ ნიცშეს ინდივიდამდე „მიგვიყვანს“.

მაგალითად, ჰეგელზე საუბრისას ის აღნიშნავს, რომ მას კაცობრიობის ისტორია გაგებული აქვს, როგორც მსოფლიო გონის მიერ თავისთავის შემეცნების ისტორია. ამის გამო ჰეგელთან, მსოფლიო გონი წარმოადგენს მიზანს, ხოლო ცალკეული ადამიანი, ინდივიდი საშუალებას (...), ხოლო **არტურ შოპენჰაუერის** სამყაროში კი, ინდივიდს არავითარი ღირებულება თუ ღირსება, არავითარი დამოუკიდებლობა არ გააჩნია. იგი წარმავალია, მოკვდავია. ბუნება, რომელიც შოპენჰაუერის მიხედვით ობიექტივირებული სიცოცხლის ნებაა, მხოლოდ გვარზე ზრუნავს და არა ინდივიდზე.ინდივიდი სიცოცხლის ნების გამოვლენის ოდენ ეგზემპლარია.

ამ ნიშნით, ინდივიდის „ვერ დანახვის“, „ვერ აღმოჩენის“ ნიშნით ავთანდილ პოპიაშვილი ღრმად იკვლევს ძველბერძნულ და შუა საუკუნეების ფილოსოფიის ადამიანს, რომელიც საყრდენის „გარეთ“ მაძიებელია, „გარედან“ განსაზღვრულია და ასეა ძველბერძნულ წინარე ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში, თუ ძველბერძნულ მითოლოგიაში.

ქართველი ფილოსოფოსი ინდივიდამდე მისასვლელ გზას ასე შეაჯამებს:

„(...) ჰეგელამდროინდელ ფილოსოფიაში ფილოსოფოსი „აბსოლუტებდა რა შემმეცნებელ სუბიექტს, ადამიანურ გონს, ახდენდა რა ადამიანთა ინდივიდუალურ განსხვავებულობათა ნიველირებას“.

ბიოგრაფია - ფილოსოფოსის სამყაროს გასაღები

არაერთი მოაზროვნის ნაწერში ამოიკითხავ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფილოსოფია და პოეზია ერთ დროს, ანუ წარსულ დროში დაუცილებელი მეგობრები იყვნენ და ღამის ხელიხელჩაკიდებულნი დადიოდნენ. ის პოეზია, რომელსაც პოეტის გათოშილი სული, მისი მოწყვლადი გული ბადებს.

ფილოსოფოსი ავთანდილ პოპიაშვილი ხომ სწორედ პოეტის თვალთახედვიდან, გულის გზიდან გვიყვება ორივე ფილოსოფოსის: სორენ კირკეგორისა და ფრიდრიხ ნიცშეს ბიოგრაფიებს და ამიტომაც, ორივე შემთხვევაში ეს ბიოგრაფიები იმ შემღებ გასაღებად იქცევა, რითაც მათ ფილოსოფიურ სამყაროებში შევაღწევთ, ანუ ეს ისე ხდება, რომ მკითხველი დანიელი, გერმანელი ფილოსოფოსის ნაშრომების ნაცნობამდე, უკვე „იქ მყოფობს“, რაზედაც მარტინ ჰაიდეგერი ბერძნული სიტყვის – ფილოსოფიის განმარტებით მიგვანიშნებს – „ბერძნული სიტყვა ფილოსოფია არის გზა, რომელზედაც ჩვენ ვიმყოფებით“ (ხაზგ. – ჟ.ს.) (მ. ჰაიდეგერი „რა არის ფილოსოფია?“ (მთარგმ. ვ. რცხილაძე).

კირკეგორის ბიოგრაფია „გვიყვება“, რომ ის თავის თავს ადარებდა შეხრაზადას, რომელიც თავის სიცოცხლეს ზღაპართა მოყოლით იფარავდა. თუ შეხრაზადას არაბული შედევრის „ათას ერთი ღამიდან“ სიკვდილი სულთნის ხმლით ელოდა, სორენ კირკეგორს სიკვდილის ლანდი მუდამ მამის ცოდვებზე ფიქრისას აედევნებოდა. ამიტომაც ის თავისთავს „დანაშაულის შედეგად გაჩენილს“ და „ღმერთის საწინააღმდეგოდ ქვეყნად მოვლენილად“ მიიჩნევდა.

ავთანდილ პოპიაშვილის მიერ ინტერპრეტირებულ ბიოგრაფიაში კითხულობ, რომ უდიდესმა ნერვიულმა დაძაბულობამ კირკეგორს ძალა გამოაცალა, გონდაკარგული ქუჩაში დაეცა და რამდენიმე დღის შემდეგ უზიარებლად გარდაიცვალა და იმის მიუხედავად, რომ იცნობ მის სიტყვებს: „ყველაფერში, რაც მე დავწერე, ლაპარაკია მარტოოდენ და მხოლოდ ჩემზე“, მაინც ამ ფაქტით მთელი კაცობრიობის იმ ტრაგიკულ სახეს ეცნობი, აქამდე დიდი ვუალით რომ იყო დაფარული, იმ სახეს შეჰყურებ, რომელმაც მისი სახით კაცობრიობის ის ახალი გზა გამონახა, რომელზედაც „მივიწყებული“ ინდივიდი აღმოჩნდა.

მისთვის წყალგამყოფი წარსულის ფილოსოფიასთან აბსტრაქტული აზროვნების კატეგორიული უარყოფაა და ამასთან, ინდივიდის რეალური ცხოვრებისა და მისი მსოფლმხედველობის ამოსავალ წერტილად მიჩნევა. ინდივიდის, როგორც კონკრეტული პირის, მისი თვითდადგენის აქტის წინ წამოწევით, რომელიც კირკეგორთან არჩევანის ნებელობითი აქტით ხორციელდება. ავთანდილ პოპიაშვილი ხაზგასმას უკეთებს იმას, რომ არჩევანს „ან-ან“ (აუტ-აუტ) კირკეგორი თავის ლოზუნგს, თავისი მსოფლმხედველობის ნერვს უწოდებს.

ამიტომაც მის ბიოგრაფიაში, კერძოდ კი, მის დღიურში დაფიქსირდება ის დიდი განხიბლვა, რომელიც შლეგელის ლექციის მოსმენის შემდეგ ჩაწერა სორენმა, რომელიც სრულად გამოხატავს ფილოსოფიის იმ ახალ მიმართულებას, ექზისტენციალიზმს, რომელმაც შეცვალა არა მარტო ფილოსოფიის მთავარი კვლევის საგანი, არამედ საზოგადოდ შეცვალა მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაც:

„როცა სინამდვილეზე ლაპარაკობდა, შელინგს მხედველობაში ჰქონდა არა თავად ის, არამედ აზრი მის შესახებ“ და ასევე **„სინამდვილე მხოლოდ განცდათა მთლიანობაა... ტკივილის შესახებ აზრში იკარგება ტკივილის განცდა, ადამიანის ცნებაში – კონკრეტული ადამიანი“** (ხაზგ. – ჟ.ს.). (ა. პოპიაშვილი „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფრ. ნიცშეს ფილოსოფიაში“).

რაც მთავარია, ქართველი ფილოსოფოსის ინტერპრეტაციით, არჩევანის აქტში იგულისხმება არჩევანი დაპირისპირებულ მხარეთა შორის: თავისუფლება და აუცილებლობა, მოვალეობა და ტკბობა, კარგი და ავი, სიკეთე და ბოროტება, ღმერთი და ეშმაკი და სხვა. **მაგრამ არჩევანი უსათუოესი აზრით, კირკეგორთან თვითარჩევანია.** იგი ინდივიდის არჩევანია საკუთარ თავსა და ყველაფერ დანარჩენს შორის და, ცხადია, ინდივიდი საკუთარ თავს ირჩევს, თავის თავს ადგენს. თვით არჩევანი პიროვნების თვითდადგენაა, იგი მისი თავისუფლების გამოხატულებაა.

და მაინც, რატომ იქცა ეს წიგნი ბეტსელერად? რატომ გადადიოდა ის ხელიდან ხელში? რატომ კითხულობდა მას არა მარტო უდახვეწილესი და უკიდეგანოდ განათლებული ელიტური წრეები, არამედ თვით მასობრივი მკითხველიც კი? რატომ იყო ასე აღფრთოვანებული და შთაგონებული. ამ წიგნით არაერთი მწერალი, ესეისტი, მუსიკოსი, ან პოეტი?

რადგან ფილოსოფოსი ავთანდილ პოპიაშვილი ამ წიგნს წერდა, აგრეთვე, როგორც ფსიქოლოგი და პოეტი, რომელიც ფილოსოფოსთა ტექსტების მიღმა კითხულობდა ამ უაღრესად ტრაგიკული ბედის, მათი ტანჯვისგან ნაგვემი სულის „თავგადასავალს“.

ასეა ფრიდრიხ ნიცშეს შემთხვევაშიც, ავთანდილ პოპიაშვილი, ფსიქოლოგის დარად, მის ბიოგრაფიას წინ წარუმძღვარებს არა ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულ რომელიმე აფორიზმს, არც ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასების აღმნიშვნელ მოსაზრებებს, ან ღმერთის სიკვდილის ცნობილ უწყებას, ის თითქოსდა მისი პიროვნული, ამ კონკრეტული ინდივიდის იმ მოუხელთებელი წამების ამსახველ სულიერ მდგომარეობას გამოიხმობს, როცა სული ჯერ კიდევ თავისი სათქმელით არ დაფარულა, და ისევ „შიშველ“ „აღსარებას“ წარმოთქვამს თავისი თავის წინაშე.

მე მოვიყვან მისი შერჩეული „აღსარებიდან“ მხოლოდ ორს:

„...ჩვენ, ფილოსოფოსებმა ჩვენი აზრები მუდამ ჩვენი ტანჯვიდან უნდა ვშვათ და, დედათა დარად, უნდა მივცეთ მათ ყველაფერი, რაც გაგვაჩნია: ჩვენი სისხლი, ჩვენი გული, ცეცხლი, ხალისი, ვნება, ტანჯვა, სინდისი, ჩვენი ბედი, ჩვენი მოწოდება“ [119, გვ. 349].

და მეორე:

„დიდი შვებაა ფიქრი თვითმკვლელობაზე. იგი გვეხმარება ჩვენი არაერთი მძიმე ღამის გადატანაში“. [121, აფორ. 157].

ამ წინამძღვრით ავთანდილ პოპიაშვილი მიგვანიშნებს, რომ ნიცშეს წამყვანი თემები:

ნიცშესთვის უბრალოდ მოფიქრებულ-გააზრებული კი არ იყო, ან ლოგიკური მსჯელობით მოპოვებული, არამედ ის ამ თემამდე მივიდა დიდი ტანჯვის გავლით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან თავისივე სიტყვებით უშურველად გაიღო თავისი სისხლი, გული, ცეცხლი, სინდისი...

▶▶ დასასრული. დასაწყისი "ლს„ №4-6

წიგნიდან – „რქაწითელის მჯევანი“

ემზარ
კვიტაიშვილი

თავის პროზაულ ქმნილებებსა და ესეისტურ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში, აგრეთვე ინტერვიუებში ჯემალ ქარჩხაძე მიმართავს ღრმა ფილოსოფიურ განსჯას, მაგრამ არასოდეს ივიწყებს, რომ მხატვრულ შემოქმედებაში ძალზე დიდია არაცნობიერის როლი. ამ მხრივ, იგი მთლიანად პოლ ვალერის ზემოთ მოხმობილ თვალსაზრისზე დგას. ასე რომ არ იყოს, ხაზგასმულად არ დაწერდა:

„შემოქმედება რაციონალიზმისა და ინტუიციის თანამშრომლობაა (როგორც წესი, ინტუიციის პრიმატით), გნებავთ, ცნობიერისა და არაცნობიერის საზიარო ასპარეზი (სადაც „პირველი ვიოლინო“, როგორც წესი, არაცნობიერია). ამიტომ, თუ ლაპარაკი ჭეშმარიტ შემოქმედებაზეა, შემოქმედების ნაყოფი არ შეიძლება განზრახვას ანუ წინასწარ ჩანაფიქრს არ გასცდეს და „დაუკრეფავში“ არ გადავიდეს.“

აქვე, ჩანაფიქრისა და შედეგის ანალოგიით, ნაწარმოები შედარებულია თესლიდან აღმოცენებულ მცენარესთან (ასეთ დროს თვალსაჩინოებისათვის შეიძლება რკოდან ამოზრდილი მუხა გაგვახსენდეს) და შემდგომ უფრო სრული, იოლად წარმოსადგენი სურათი იხატება: „უხეში და პრიმიტიული სქემის სახით პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ინტუიცია მოიხელთებს იდეას და ამ თავის ნადავლს გონებას გადასცემს. გონება აბსტრაქტულ იდეას ლოგიკურ ჩანაფიქრად ჩამოაყალიბებს და ისევ ინტუიციას დაუბრუნებს, რომელიც ამ ჩანაფიქრს ირაციონალურსა და არაცნობიერ შემოქმედებით „ხსნარში“ გახსნის, სადაც მხოლოდ ემოციური კავშირები მოქმედებენ. ბოლოს საქმეში ისევ გონება ჩაერთვება და შეეცდება ყოველივე ეს შეძლებისდაგვარად კვლავ ცნობიერ წესრიგში მოიყვანოს.“

მართალია, პოლ ვალერის დაკვირვების საგანი პოეზიაა, ხოლო ქართველი მწერალი მხატვრულ პროზაზეა ორიენტირებული, მაგრამ არაცნობიერის, ინტუიციის (იმავე ალღოს, გუმანის) მიმართ მათი დამოკიდებულება ერთნაირია და თვით მოვლენის არსი უცვლელი რჩება.

ჯემალ ქარჩხაძე, როცა აღნიშნავს მეცნიერებისა და შემოქმედების საერთო მიზანს – კვლევას – მათ შორის მკვეთრ განსხვავებაზეც მიუთითებს; ჩამოთვლილია, ადამიანის მოღვაწეობის ამ ორ მთავარ სფეროს ერთმანეთისგან რა მიჯნავს: „მეცნიერება ობიექტურია, შემოქმედება – სუბიექტური, მეცნიერება ზოგადია, შემოქმედება – კერძო, მეცნიერება რაციონალურია, შემოქმედება – ინტუიციური, მეცნიერება უწყვეტია, შემოქმედება – წყვეტილი, მეცნიერება ევოლუციურია, შემოქმედება – იმპულსური, მეცნიერება პროგნოზირებადია, შემოქმედება – არაპროგნოზირებადი“. . .

ასევე, შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ აქედან გამომდინარე შემდეგ მოსაზრებასაც: „შემოქმედება ობიექტური კანონებით არ იმართება. იგი იმპულსურია, ფეთქებადი, გარკვეული მიახლოებით შეიძლება ითქვას – ერთჯერადი, მასში ძალზე დიდია არაცნობიერი ნაკადი, ამიტომ რაციონალურ შესწავლასა და „ათვისებას“ ბოლომდე არ ექვემდებარება. შემოქმედება რაღაც დოზითა და რაღაც დონეზე ყოველთვის გაუგებარია.“

ცხოვრებაში მწერალმა ყველაფერი თავად უნდა გამოსცადოს. მხოლოდ შენს მიერ დაგროვილი გამოცდილება თუ გამოგადგება, ნასხვისარი ვერაფერს შეგძენს. მწერლობას ვერავისგან რომ ვერ ისწავლი, ეს დამკვიდრებული აზრი ჯემალ ქარჩხაძეს ბევრგან და სხვადასხვაგვარად აქვს გამოთქმული; ვერავის ზურგს ვერ დაეყრდნობიო, ხატოვნად ამბობს.

ამავე ესსედან ერთი მოზრდილი ამონარიდიც უნდა მოვიტანო, შემოქმედებისადმი მწერლის მიდგომაში მეტ სიცხადეს რომ შეიტანს: „... თუ კაცს მომადლებული აქვს ნიჭი სიყვარულის გამოთქმისა, მას თამამად შეუძლია გარემომცველი სამყარო განიხილოს, როგორც მისივე სამყაროს ანარეკლი, და ნიჭი, რომელიც მაღლით მიეცა და რომელიც თავისი ბუნებით აბსოლუტურად ინდივიდუალურია, მხოლოდ საკუთარი განზომილების შექმნაზე დააბანდოს. ასე შვრებოდა ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი. ასე იზამენ მომავალშიც. ასე იზამენ ყოველთვის, ვინაიდან ასეთია შემოქმედების კანონი.“

ჯემალ ქარჩხაძეს ბევრი აქვს ნაფიქრი ენის ფენომენზე. მის ნაირგვარ დანიშნულებაზე და კარგად იცის, შემოქმედი ადამიანისათვის რაც არის იგი: „. . . დიდ მწერალთა სიდიდე, თუ მეტი არა, სანახევროდ მაინც ენას ეყრდნობა.“

ამის დამწერი, სათაყვანებელი წინაპრების კვალდაკვალ, დედაენას სამშობლოს ცნებასთან ათანაბრებს და ყველა ჩვენგანის სასიცოცხლო აზრს მოქნილ, მრავლისმომცველ ფორმულად აყალიბებს: „ჩვენი მიწა ჩვენი ყოფიერების სამშობლოა, ჩვენი ენა ჩვენი სულიერების სამშობლოა.“

P. S.

19.06.2019. შთაგონების მძლავრ ბიძგსა და უხილავ, ზეგარდმო ძალებისგან „ნაკარნახევ სტრიქონებზე“ სხვადასხვა დროს ბევრი აქვს ნაფიქრი ანა ახმატოვას, რაც მის ლირიკაშიც თვალნათლივ აისახა. ესაა ცნობილი ციკლი „ხელობის საიდუმლოებანი“, რომლის პირველი ლექსი – „შემოქმედება“ („Творчество“) – და ჩემეული, სახელდახელო, რამდენადმე დედნის შესატყვისი თარგმანი აქვე უნდა მოვიტანო:

ТВОРЧЕСТВО

Бывает так: какая-то истома;
В ушах не умолкает бой часов;
Вдали раскат стихающего грома.
Неузнанных и пленных голосов
Мне чудятся и жалобы и стоны,
Сужается какой-то тайный круг,
Но в этой бездне шепотов и звонов
Встает один, все победивший звук.
Так вкруг него непоправимо тихо,
Что слышно, как в лесу растет трава,
Как по земле идет с котомкой лихо...
Но вот уже послышались слова
И легких рифм сигнальные звоночки, -
Тогда я начинаю понимать,
И просто продиктованные строчки
Ложатся в белоснежную тетрадь.

შემოქმედება

ხდება ხანდახან: მომთენთავი გერევა თვლემა;
განუწყვეტელად, ყურებს ესმის, რეკავს საათი;
შორი გრუხუნი მიწყდა, მამცნო გუმანმა ჩემმა.
ტყვექმნილი, შეუცნობი ხმები იძვრის ტაატით,
ამხირებიან, ახლავთ კვნესა, ოხვრა, ყვედრება,
მყის ვიწროვდება იდუმალი წრე თუ კარავი,
ამდენ ჩურჩულში, ვერცერთი რომ ვერ შეედრება,
მძლავრობს ერთი ხმა, დანარჩენთა გადამფარავი.
მოუცავს ურღვევ მდუმარებას საუფლო მისი,
ტყეში ბალახი ვით იზრდება, ისიც კი ისმის,
გადაუარეს თითქოს მინდორს, იწყებ გაგებას,
აი, სიტყვებიც ჟღერენ, დადგა ნანატრი ხვედრი,
ფორიაქს, ფუსფუსს, უკვე იცი, რა შეაგებო,
წკრიალს ფრთამსუბუქ რითმებისა შენაც აყევი,
ამას ელოდა ეს რვეულიც, თოვლივით თეთრი,
ლაგდება მწკრივად სტრიქონები, ნაკარნახევი.

ვიდრე თარგმნას შევუდგებოდი, გონებაში მოვსინჯე; ათმარცვლიან საზომში არ ჩაჯდა, მოითხოვა თოთხმეტმარცვლიანი – დინჯი, ეპიური, სასაუბრო კილოს შესაფერისი. საგანგებო დაკვირვების გარეშეც ჩანს – გასაგები მიზეზების გამო თარგმანი მთლად ზუსტი არაა და ვერც იქნებოდა. ზოგიერთ წვრილმანში არის მცირეოდენი გადახვევები, მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი სათქმელი და განწყობილება გადმოტანილია. ზოგან (ესეც უხერხულობამ განაპირობა) შეცვლილია რითმათა განლაგება, მაგრამ ლექსის მთლიანობა არ ირღვევა.

ანა ახმატოვა ერთ-ერთი საუკეთესოა „ვერცხლის საუკუნის“ გამოჩენილ რუს პოეტთა შორის. იგი პუშკინის ტრადიციების (უკვე გამდიდრებულის) უერთგულესი მიმდევარია. სხვებისგან გამოარჩევს კლასიკური სისადავე, უშუალობა. მომხიბლავ, უინტიმურეს ლირიზმთან ერთად, აქვს დიდი, შემძრავი სიღრმეები, ცხოვრებისეული ტრაგიზმის განცდა.

საკუთარი თავის მიმართ მუდამ უშეღავათო ვარ და დასასრულ ზოგადად უნდა აღვნიშნო – ჩემი ნაუცბათევი თარგმანი (მივხვდი, ზედმეტ წვალებას აზრი არ ექნებოდა) მკრთალი ანარეკლია ანა ახმატოვას უძლიერესი, შემოქმედებითი პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ ამსახველი ლექსისა. თუ ვინმე ამავე ლექსს უკეთ გადმოიღებს. მხოლოდ გამიხარდება და გულწრფელად მივესალმები.

ასი წელი სიყვარულისთვის არაფერია

არაჩვეულებრივი ჰარმონიულობითა და მთლიანობით გამოირჩევა ქეთევან დოლიძის წიგნი სათაურით „300 ლექსი და ერთი პოემა სიყვარულზე“, რომელიც გამომცემლობა „მერიდიანმა“ დაბეჭდა.

ეს არის ლექსების ზღვა, რომლის ნაპირებზე ყვავილების ბაღებია გაშენებული. ლექსებსა და ერთ პოემას აერთიანებს პროლოგი და ეპილოგი, რომლებიც, ავტორის მოსწრებული ტერმინოლოგიით, „თეთრ პროზად“ არის დაწერილი...

ქეთევან დოლიძე - პოეტი, პროზაიკოსი, პროფესიით ფილოლოგი, ფოლკლორისტი.

დაიბადა თბილისში 1968 წლის 11 ნოემბერს. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი ლექსები და წერილები 90-იანი წლებიდან იბეჭდება ქართულ პერიოდულ პრესაში. გამოცემული აქვს წიგნები: „მაინც გათენებას ველოდები“ (1992 წ.), „შავი ქრიზანთემები“ (1995), „დალი. მითოლოგიური პოემა“ (1996), ქალი-კენტავრი“ 2006), „კონკიას ქოში“ (2008), „ზეცის სარკეში“ (2013), „ხუთი ზღაპარი“ (2015), „მარადიული ჟანგბადი ელიზაბეტ ბლექველის ჰოსპიტალში“ (2019).

მისი სახელი შეტანილია იენის უნივერსიტეტის პროფესორის, ჰაინც ფენრიხის მიერ გერმანიაში გამოცემულ „ქართველ მწერალთა კატალოგში“ (1993). მიღებული აქვს გურამ რჩეულიშვილის საუნივერსიტეტო და „შოთაობის“ პრემიები. 2021 წელს დიდგორის ბრძოლაში ძლევამოსილი გამარჯვების 900 წლისთავისადმი მიძღვნილი პატრიოტული ლექსების კონკურსზე „ძლევაი საკვირველი“ წარმოდგენილი საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დაჯილდოვდა დავით აღმაშენებლის ოქროს მედლით. არის საქართველოში პირველად „ზღაპრის სახლისა“ და ზოგადად, ლიტერატურაში „თეთრი პროზის“ დამფუძნებელი.

მუშაობდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. წერს ზღაპრებსა და საბავშვო ლექსებს. სამი-ოთხი წელია, მხატვრობას ეზიარა და ცდილობს, თავისი ლექსებიდან წამოსული განცდები და ემოციები მკითხველისთვის ჩანახატებად აქციოს.

„300 ლექსი და ერთი პოემა სიყვარულზე“ მისი მეცხრე წიგნია, რომელშიც პირველად არის გამოყენებული ავტორის ხელით შესრულებული გრაფიკული ჩანახატები.

***

როგორც ზემოთ ითქვა, წიგნი „თეთრი პროზით“ იწყება. ეს არის პროლოგი. მისი სათაურია „შროშანების დღესასწაულზე“:

„წამოხვალ საფრანგეთში შროშანების დღესასწაულზე? მოვრთათ ბუხრები, ფანჯრები, მაგიდები... დავკრიფოთ თაიგულები, ქარი დაუკრავს შინდის ფლეიტას, ტყე ვიოლინოებს ააშრიალებს. ჩვენ კი ვიცეკვოთ, დიდხანს ვიცეკვოთ და ცეკვისას გავცვალოთ შროშანების მარგალიტები.

გახსოვს, ეს სიტყვები... და სიყვარულის შრიალმა ტყის შრიალივით გადაგვიარა, ჩაგვებუდა, დაგვიმორჩილა შეპყრობილივით...

ჩვენ არ წავსულვართ საფრანგეთში, არც შროშანები დაგვიკრეფავს, მაგრამ მაშინვე შროშანების დღესასწაული წამში მოვიწყეთ. ხელისგულები ერთმანეთს ჩავახუტეთ და ორი მუჭა ერთმუჭა, დიდგულად ვიქეცით.

სწორედ ამ გულში დატრიალდა შროშანების დღესასწაული. მოვრთეთ ბუხრები, მაგიდები, ფანჯრები... შროშანების მარგალიტებით მოფენილიყო გულის ხიდები და მდინარე შროშანების სადა ბზინვარებით ბრწყინავდა.

ქუჩები? – გულის ქუჩებიც მოკირყწლული შროშანებისგან...

მოვრთეთ ბაღები, თაღები და ვიყავით უსაშველოდ ლაღები... და ჰოი, საოცრებავ! – ციდან შროშანების გრილი თოვლი მოდიოდა, გულის მწვერვალებზე ეფინებოდა, გულის უფსკრულები კი პაწაწინა, უთეთრესი ზანზალაკებით ამოვსებულიყო. შროშანებით მოწნული გვირგვინებიც გვემოსა თავზე.

გეგონებოდა გულმა მოისხა, – გულის ცაზე ჩამოვკიდეთ შროშანების საქანელები... და ვქანაობდით, ვქანაობდით დაუსრულებლად და თეთრ ქარებს ვეჯიბრებოდით სურნელების გაქროლებაში.

შროშანებიან თოკის სიგრძეს თვალს ვერ ვუწვდენდით და ცის სიღრმეში იკარგებოდნენ უთეთრესი მარგალიტები. თავად გვიკვირდა, – რა იმაგრებსო იქ, ზეცაში ამ საქანელებს?

უკვე ასი წელია, რაც მიყვარხარ და არც ერთი ფერი არ გაუცვდათ არც აკვარელებს, არც ყვავილებს... ისევ ისეთი სუნი და გემო... ისევ ისეთი ფერი ხასხასა, ამ სიყვარულმა წუთისოფლის დროც კი გახაზა... არ გაუფერულდა, არ დანაოჭდა, არ დაბერდა, მხოლოდ ასაკი მოემატა დაუსაბამოდ... და ძველქართულად ჰასაკი სიმაღლეს ნიშნავს. ესე იგი, უფრო ამაღლდა, გაიზარდა, ერთგულებით გაივსო, უფრო გამძლე, მტკიცე, იდუმალი გახდა... და ამბის მთხრობელიც დატოვა სახტად.

რას შევადარო, ხუთი ათას ხუთასი წლის თაფლს თუ ექვსი ათასი წლის წიპწას ყურძნისას, რომელიც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს...

... და ვინ იქნება ჩვენი არქეოლოგი? ალბათ, პოეზიოლოგი და უფრო ვიწროდ, სიყვარულოგი?

რას აღარ მოიგონებო, უცნაური ხარო, სიყვარულოგი რაღა არისო? მე კი გეტყვი – არავითარი უცნაურობა! –

ს ი ყ ვ ა - რ უ - ლ ო - გ ი - ა!

ჰო, მომავალში ასეთი სპეციალობაც



შეიძლება იყოს ლიტერატურაში, რომელიც ბეწვის ხიდებზე მოსიარულე შეყვარებულების ამბებს შეისწავლის.

არ გაიკვირვოს არც არავინ, არ გაიკვირვოს! – ასი წელი არაფერია სიყვარულისთვის... დაიმახსოვრეთ! – სიყვარული მარადისობაა, გიყვარდეთ და დააფასეთ ერთმანეთი, არ ხუნდება, არ ბერდება ერთადერთი.

ასი წელიწადია, რაც თვალები ერთმანეთის სიყვარულით გვიბრწყინავს და შროშანების სურნელი არ მოგვბეზრებია.

ჰო, მართლა... წამოხვალ პარიზში შროშანების დღესასწაულზე?“

წიგნის რედაქტორია მარიამ ჯაფარიძე, გარეკანის, ფორზაცისა და ჩანახატების ავტორი – ქეთევან დოლიძე, დიზაინერი – გიორგი ჩიქვინიძე.

მალხაზ ივანიძე

გაზეთის ფურცლებზე დარჩენილი ბედნიერება

ეს მცირე წერილი აკა მორჩილაძის – კაცის, რომელსაც ლიტერატურა და სპორტი თანაბრად უყვარს, ლიტერატურად მოწოდებულ სპორტულ ამბებზეა, „პირველად წაკითხვის ბედნიერებაზე“, რომელიც მწერლის სპორტული ნაწერების სრული პუბლიკაციის შემდეგ მკითხველს ელოდება.

ომებიანი, სისხლიანი, ბნელი, ძნელად გადასატანი და „გადასახარში“ 90-იანი წლებისა კახეთის სოფლების ბავშვებს ბევრი არაფერი გვახსოვს, იმიტომ, რომ სამაგისო ასაკი ჯერ არ გვქონდა, თანაც ჩვენ ხომ პროვინციაში ვიზრდებოდით – თბილისიდან, აფხაზეთიდან, სამეგრელოდან და ცხინვალიდან მოშორებით. მხოლოდ ამ დიდი ტრაგედიისა, რასაც ქვეყნის დაქცევა ჰქვია და რაშიც მთავრობის დამხობას, სამოქალაქო ომს, აფხაზეთისა და ცხინვალის ომებს, ტერიტორიების დაკარგვას, ასეულ ათასობით ადამიანის გამწარებას, გაუბედურებას, უსამართლობას, ავაზაკობას ვგულისხმობთ, ნაგლეჯებმა მოაღწია ჩვენამდე და თავისი კვალი გარკვეულწილად ჩვენს ფსიქიკაზეც დატოვა. 90-იანების მიწურულს ფეხბურთის თამაში დავიწყეთ. ფეხბურთმა კი ახალი სამყარო გვაჩუქა, ყველაზე თავისუფალი და ბედნიერი. კარგად თუ დავაკვირდებით, ბავშვობის ფეხბურთიდან გამოყოლილი სიხარულის, აღტყინებისა და თავისუფლების ნარჩენები შეიძლება ჯერ კიდევ ვიპოვოთ საკუთარ თავებში.

სპორტული პრესა ჩვენამდე მაშინ ვერ აღწევდა, ჩვენი ასაკის, ინტერესებისა თუ სხვა მიზეზების გამო. ცოტა მოგვიანებით, 2000-იანებში ფეხბურთის ყურება დავიწყეთ. მახსოვს 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალის კადრები და საფრანგეთის გამარჯვება იტალიასთან დავიდ ტრეზეგეს „ოქროს“ გოლით. ამ თამაშს თუ მის ფრაგმენტებს, მახსოვს, დედულეთში, ქიზიყში, ვუყურე. ვინ ჩართო და გააჩერა ტელევიზორი იმ არხზე, რომელზეც რეპორტაჟს გადმოსცემდნენ, არ ვიცი, ვერაფრით გამიხსენებია, არადა ლოგიკური კანონზომიერებით ასეთი რამ საერთოდ არ უნდა მომხდარიყო.

ვერც დამიჯერებია ახლა, რომ 90-იანებში სპორტზე შეყვარებულმა ადამიანებმა გაზეთი „სარბიელი“ დააარსეს. ალბათ, დიდი სიყვარული საკეთებელი საქმისა, თორემ რა გესპორტება და გეგაზეთება, როცა ქვეყანა არის და არც არის, გარშემო ტყვიები ზუზუნებს და რედაქციაში მიმავალს როდის და სად წამოგეწევა სიკვდილის მოციქული, არ იცი. სულიერ სიმშვიდეს ვინ ჩივის, დენიც კი სანატრელია ამ ქვეყანაში.

„სარბიელის“ ქება აკა მორჩილაძემ ჯერ კიდევ მანამდე გამოთქვა, სანამ თავად შეურთდებოდა გაზეთის ავტორთა რიგებს და გახდებოდა მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული. აკა მორჩილაძე, იგივე გიო ახვლედიანი, თოთხმეტი წლის განმავლობაში, 1995 წლიდან 2009 წლამდე გაზეთ „სარბიელში“ მუშაობდა მესვეტედ და აქვეყნებდა წერილებს სპორტის სხვადასხვა სახეობის, უმეტესად კი ფეხბურთის შესახებ. რას არ ნახავს სპორტის მოყვარე კაცი ამ წერილებში: ჭადრაკიდან – ყალმუხი კირსან ილუმჟინოვის „ფიდეს“ პრეზიდენტად არჩევის ამბავს; ჭიდაობიდან – ახირებული ამერიკელი მილიონერის ჯონ დიუპონის მიერ ოლიმპიური ჩემპიონის დეივ შულცის მოკვლის ამბავს (ამ ამბავზე ფილმიც გადაიღეს სახელწოდებით „ფოქსქეჩერი“); ძიუდოდან – ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის, ცხონებულ დავით ხახალეიშვილის ატლანტურ თავგადასავალს, როცა ქართულმა დელეგაციამ სასწორს „ვერ მიაგნო“; კრივიდან – შევხვდებით „ვარიანელ გოლიათს“, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველ მსოფლიო ჩემპიონს, გიორგი კანდელაკს; კალათბურთის, ჰოკეის, ზაფხულისა თუ ზამთრის ოლიმპიადის ამბებს; სარაგბო ფიქრებს – რაგბის თითქოს ბევრი წერილი არ ეთმობა, მაგრამ ასეთი სიყვარულითა და ჯიგრით დაწერილს, ბევრი ვეძებოთ, ვერ ვიპოვით.

ჯიგრით დაწერილი – აი, სიტყვები, რომლებითაც აკა მორჩილაძის „სარბიელურ“ წერილებს დავახასიათებდი. სიყვარულით, ცოდნით, ვნებით, გატაცებით ნაწერი სვეტები, სპორტის მოყვარე კაცს წყურვილს რომ უკლავს.

აკა მორჩილაძის ნაწერებიდან ქვეყნის იმდროინდელი ტკივილიც გამოსჭვივის, არასტაბილური თუ არარსებული ენერგოსისტემის ანაბარა დარჩენილი გულშემატკივრების წუხილი. გიყვარდეს ფეხბურთი, ღამეებს ათენებდე ფეხბურთის მატჩის ყურების მოლოდინში და დენი არ მოდიოდეს, ან მოდიოდეს, თვალს გიკრავდეს და ისევ მიდიოდეს – სინათლე არ იყო ჩვენს ფანჯრებში!

საქმის სიყვარული, ცოდნა და პროფესიონალიზმი კაცს წინასწარმეტყველურ აზრსაც გამოათქმევინებს. წერილში „მოკლე ისტორია ქალაქელთა კლუბისა“ გიო ახვლედიანი მოგვითხრობს საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ სიტის“ შესახებ, სადაც იმ დროს გიორგი ქინქლაძე თამაშობდა და ამ კლუბის ისტორიის ღირსეულ ნაწილადაც იქცა. მაშინ „სიტი“ ლიგებს შორის დამოგზაურობდა. ინგლისში ტრადიცია არსებობს, დაცემისა და აღორძინებისა, და „სიტი“ ერთხელაც ამოყვინთავსო, – აღნიშნავდა მწერალი. ასე აგიხდეთ ყველაფერი! 2008 წლიდან ქალაქელთა კლუბი არაბი შეიხის მფლობელობაშია, რომლის სახელის დაწერას შეიძლება ნახევარი თაბახი დასჭირდეს, მისი მილიონების თვლა კი რა ჩვენი საქმეა. შედეგად, „სიტიმ“ შვიდჯერ მოიგო პრემიერ ლიგა, 2017/2018 და 2018/2019 წლებში ზედიზედ ორჯერ და 2020/2021, 2021/2022 და 2022/2023 წლებში კი ზედიზედ სამჯერ იზეიმა ინგლისის ჩემპიონობა, ასეთი რამ კი კლუბის ისტორიაში არასდროს მომხდარა. კლუბმა თავისი ისტორია გასულ წელს ჩემპიონთა ლიგის მოგებითაც გაამდიდრა.

გამოვარჩევდი რამდენიმე საფეხბურთო წერილს, რომლებიც მე განსაკუთრებით მომწონს: „პაიჭაძის ბუცები“, „2297 წელს“, „ფიქრნი ემანუილ ამუნიკესი, ბურთაობა რომ სწყუროდა“, „ერის გული“, „არასოდეს მისდიო ბრბოს!“, „NEVER-SAY-DIE da GIANT-KILLER“...

ფეხბურთი დღეს დიდი ბიზნესია. იქ მულტიმილიონერები და მილიარდერები ტრიალებენ. ფეხბურთელების საკონტრაქტო-სახელფასო და სარეკლამო შემოსავლები ლამის მილიარდამდე აღწევს. საფეხბურთო რომანტიკა იკლებს, მაგრამ მისი გაქრობა წარმოუდგენელია. ჯერ კიდევ შეგვიძლია ვნახოთ პატარა, მცირებიუჯეტიანი გუნდების მიერ ბობოლათა დამარცხება-დაცემა. მდიდარი გუნდების ერთი ფეხბურთელის ფასი თუ ხელფასი ხშირად ასეთი პატარა კლუბების მთლიან ბიუჯეტს აღემატება. ფეხბურთელებში კი ყოველთვის იყვნენ ისეთი ბიჭები, ღვთაებრივი ნიჭით რომ იყვნენ დაჯილდოებულნი, მაგრამ არც ქვეყნიური სიამენი იყო მათთვის უცხო. ერთი ასეთი არგენტინელი კაცი (ბევრისთვის ღმერთი!) ცოტა ხნის წინ მთელმა ქვეყანამ დაიტირა. მისი ერთი დრიბლინგი კილოგრამობით კოკაინს გადაწონის, რომელიც მას შეუსუნთქავს. ჩვენ, ფეხბურთის რომანტიკოსებს, მაინც გვწამს, რომ „ფეხბურთი სუფთაა, მის გარშემო მოტრიალე კარუსელი კი – ჭუჭყიანი“.

არ ვიცი, ჩვენში კრივზე თუ უნერია ვინმეს და თუ უწერია, მეეჭვება, ისე ეწერა, როგორც აკა მორჩილაძეს. თუ გინდათ, ადამიანს კრივი შეაყვაროთ ან თქვენ შეიყვაროთ, აკას ანუ „მაიკლ ბერკოვიცის რჩეული საკრივო ფურცლები“ უნდა წააკითხოთ და წაიკითხოთ (გვარი ბერკოვიცი საიდან მოვიდა? სერჯიო ლეონეს ფილმიდან „ერთხელ ამერიკაში“? გვახსოვს: „kagdata in jorjia“). ღმერთო ჩემო! – რომელი გამოვყო ამ წერილებიდან? აი, რამდენიმე მაინც: „ტომი და ჯონი ბლექუოთერის ღეღეზე“, „უფლისწული ნასიმ ჰამედი, შხამიანი სულთანი ვესტმინსტერიდან“, „ბიჭები ჭუჭყიანი ქუჩიდან“, „დიადი კინშასა – ბრდღვივნა ჯუნგლებში“, „ცხოვრება და ტკივილი ლეონ ქილერისა და მისი უმცროსი ძმისა“, „არ არსებობს მეორე ასეთი კაცი...“, „მარჯვენა დენ დონელისა“, „ძველ ნევადაში წმინდა პატრიკის დღეს“.... ეს არ არის მხოლოდ საკრივო ინფორმაცია, მშრალად, სქემატურად აღწერილი, ეს არის ცოცხალი, მოსიარულე მოთხრობების – მოკრივეების ლიტერატურულ ფორმებში მოქცევა და მათი ცხოვრების, ტკივილების, სირთულეების, ფიქრების თანამონაწილეობად მკითხველების ქცევა. აკი ერთგან წერს კიდეც მწერალი: „...აკადემიზმი და ჭკვიანურობა მთლიანად გამქრალია ჩემში და ეგებ კრივის, ნამდვილი კრივის შესახებ ბევრად უკეთ გამომივიდეს ნაწერი და ნაფიქრალი, ვიდრე საჭირბოროტო საკითხზე.“ (ერთგვარი ნაწყვეტები სოფლის რვეულიდან, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, 2005, არეტე).

აკა მორჩილაძის წერილები „სარბიელიდან“ 10 ტომად „სარბიელის“ რედაქტორს ზურაბ მეძველიას შეუკრებია. მასვე ეკუთვნის ამ წერილების წიგნად გამოცემის იდეაც. ათიდან მხოლოდ ორი ტომი გამოსცა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ – აკა მორჩილაძე „სარბიელში“, 1 (1995-1997 წლების წერილები, 2012 წ.), 2 (1998 წლის პირველი ნახევრის წერილები, 2013 წ.). ზემოთ რომ წერილებს ვახსენებდი, ამ წიგნებშია ამოკითხული. ათი წელი გავიდა მეორე ტომის გამოცემიდან და მესამე ტომმა ვერ იხილა დღის სინათლე. სად არის დანარჩენ რვა ტომად გადარჩეული წერილები? რედაქტორის ლეპტოპში ინახება? თუ ჯერ კიდევ გაზეთის ფურცლებზეა გაბნეული? ერთი გულდასაწყვეტი პასუხია სპორტისა და აკა მორჩილაძის ნაწერების მოყვარულებისთვის – სადაც არ უნდა იყოს, ჩვენ სიამოვნება გვაკლდება. აკა მორჩილაძეს ბევრგან უწერია და ახლაც წერს სპორტზე: „ლიბერალში“, „ათიანში“, „ლიდერსპორტზე“, „ინდიგოში“, პუბლიკა.გე-ზე. რამდენიმე წლის წინ გამომცემლობა „არტანუჯმა“ უყურადღებოდ არ დატოვა აკა მორჩილაძის „ლიბერალური“ წერილები და გამოსცა კრებული „მილიონი გირვანქა სტერლინგით შორს“, რომელიც წლის ბესტსელერიც გახდა. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კომერციულადაც მომგებიანი იქნება აკა მორჩილაძის „სარბიელური“ წერილების გამოცემა, ყოველ შემთხვევაში, დიდად წამგებიანი წამოწყება თუ უკვე წამოწყებულის გაგრძელება არ უნდა გამოდგეს. იმაზე რაღა უნდა ითქვას, რა სიამოვნებას მიიღებენ სპორტისა და აკა მორჩილაძის მკითხველები.

„სარბიელის“ საიუბილეო ნომერში (28 დეკემბერი, 2020) გიო ახვლედიანმა გაზეთის აღდგენა ინატრა. ძალიან ეძვირფასება მწერალს ეს გაზეთი და იქ გატარებული წლები. მეც ვისურვებდი „სარბიელის“ გამოცემის განახლებას და ყოველკვირეულად (ყოველთვიურად მაინც) გიო ახვლედიანის – აკა მორჩილაძის და სხვა ავტორების სვეტებისა და ანალიტიკური წერილების კითხვით სიამოვნების მიღებას.

ამირან გასილაშვილი

ტკივილის პოეზური გრადაციები

ოვიდიუს ნაზონი – ბრწყინვალე სახელი მსოფლიო პოეზიის ისტორიაში; ოვიდიუს ნაზონი – უბედობისა და გაორების მაგალითი პიროვნულ ცხოვრებაში.

წერდა, იღვწოდა, იშვებდა თაყვანისმცემელთა სიყვარულით გარემოცული, ედგა მშვენიერი სახლი რომის ცენტრში, ჰყავდა საყვარელი ცოლი და ქალიშვილი, აღარაფერი უკლდა სრულ ბედნიერებას, რომ უცებ, ახალი წელთაღრიცხვის მე-8 წელს, ოქტავიანუს ავგუსტუსის ბრძანებით, გადაასახლეს შორეულ მხარეში, დაბა ტომისში, ახლანდელ კონსტანცაში, რუმინეთში. დარჩენილი სიცოცხლის ათი წელი იქ გაატარა, ნახევრად ველურ გოთებსა და სარმატებს შორის. შავი ზღვის ნაპირებზე ცხოვრებამ ახალი მოტივები შემოიტანა მის შემოქმედებაში. „ნაღვლიანი ელეგიები“ – სხვა რა უნდა ეწოდებინა ტომისში დაწერილი ლექსებისათვის...



გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის ეს ციკლი, კერძოდ, „ნაღვლიანი ელეგიები“ და „წერილები პონტოდან“, საერთო სათაურით „ხმა ტომისიდან“. ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო **მანანა ღარიბაშვილმა.** წიგნს ერთვის მთარგმნელის მიძღვნა, რომელიც სულ სამი სიტყვისგან შედგება: „დათო წერედიანს – ჩემგან“.

მანანა ღარიბაშვილს ჩვეული პროფესიონალიზმით აქვს თარგმნილი დიდი რომაელი პოეტის ელეგიური დისტიქები. როგორც ცნობილია, ნაზონის დისტიქი ორტაეპედისგან შედგება, რომელშიც პირველი ტაეპი დაქტილური ჰეგზამეტრია, ხოლო მეორე – დაქტილური პენტამეტრი, ანუ მეორე ტაეპი პირველზე მოკლეა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ თარგმანში სტროფს ერთი საზომით გადმოიტან, სრულიად დაიკარგება დედნის ეფექტი.

ამიტომ მთარგმნელმა აიღო ორი სრულიად მისაღები, ბუნებრივი მეტრი. ამის შესახებ მანანა ღარიბაშვილი წერს: „ელეგიური დისტიქის ქართულად გადმოტანისას... შეევეცადე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გახმიანებულიყო ქართული სტრიქონები; ანუ ამ საზომის პირველი სტრიქონი გადმოვიტანე ქართულში უკვე არსებული საზომით – თექვსმეტმარცვლიანით, ოღონდ ისეთით, რომელიც იშვიათად გვხვდება ქართულ პოეზიაში და ნაკლებ მოყირჭებულია; ამ ტიპის თექვსმეტმარცვლიანი (332/332) დროდადრო ფიქსირებულია ვაჟა-ფშაველასთან და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში. მეორე ტაეპის შესატყვისად, რა თქმა უნდა, უფრო მოკლე საზომი შევარჩიე, კერძოდ, თოთხმეტმარცვლოვანი (232/232), ოღონდ ისეთი, რომელიც რიტმულად სრულიად განსხვავდება ფართოდ გავრცელებული თოთხმეტმარცვლოვანისგან“.

მაგალითად, ავიღოთ მესამე წიგნის (Liber tertius) მესამე ლექსის ფრაგმენტი:

როცა კი ჩემს წერილს ნახავ, დაწერილს ვიღაცის ხელით –
ნუ გაიკვირვებ, ჩემო, სნებამ შემიპყრო ავმა,
ტკივილით ნაგვემი ვეგდე უცხო და მივარდნილ მხარეს,
აღარ მეგონა, თუკი კვლავ დავდგებოდი ფეხზე...
იფიქრე, რა დღეში ვიყავ, რა დარდით კვნესოდა გული,
გოთებ-სარმატებს შორის, ვიწექ უმწეოდ, მარტო,
აქაურს ვერ ვიტან ჰავას, ვერც წყალი ვერ მიკლავს წყურვილს,
არც მიწა-წყალი ვარგა, ვერც ამ გარემოს ვგუობ!

მანანა ღარიბაშვილის მიერ თარგმნილი ოვიდიუსის ელეგიები არის ყველაზე ვრცელი იმ თარგმანებს შორის, რაც აქამდე შესრულებულა ქართულ ენაზე.

წიგნი გამოიცა საქართველოს მწერალთა სახლის მხარდაჭერით. რედაქტორები არიან რისმაგ გორდეზიანი და ლევან ბრეგაძე.

გელა ცინცაძე

იოსიფ ბროდსკი დაიბადა 1940 წელს ლენინგრადში, რუს ებრაელთა ოჯახში. 1972 წელს განდევნეს საბჭოთა კავშირიდან, რის შემდეგაც დასახლდა შეერთებულ შტატებში. 1987 წელს მას მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურაში. ბროდსკი გარდაიცვალა 56 წლის ასაკში, 1996 წლის 28 იანვარს. ის XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი დიდი პოეტია. დაკრძალულია იტალიაში, ვენეციის სან მიქელეს სასაფლაოზე.

იოსიფ ბროდსკი

გაჩერება უდაბნოში

ალარ შემორჩნენ ლენინგრადში უკვე ბერძნები
და ამიტომაც ეკლესიას ბერძნულს თანდათან
ვუცვალეთ სახე ანუ წირვა გამოვუყვანეთ, დავანგრიეთ...
აწ მის ადგილას საკონცერტო არის დარბაზი,
რაც არცთუ ისე უიმედო პერსპექტივაა, ფართო
სივრცეა, ათას ადგილს, რომელიც უთმობს მუსიკის
მსმენელს. დიახ, ასეა. ხელოვნების დიდი ტაძარი
არის ჩვენ თვალწინ...

ვერას გააწყობ, როცა იცი, მეტ შემოსავალს
იხვეჭს ვოკალი უნათლესი რწმენის სანაცვლოდ.
მხოლოდ ეს არის: ჩვეულებრივ გუმბათის ნაცვლად
უმზერ უსახურ, ულიმლამო და გლუვ ზედაპირს
და ჩვენს ხელთ არის პროპორციის უსახურება
და უფრო მეტად უსახურების პროპორცია შეუნიღბავი.

მე კარგად მახსოვს, ეკლესიას როგორ ანგრევდნენ,
როგორ მოირღვა სამლოცველოს მძიმე კედლები,
როგორ მოირღვა... იმხანადვე, იმ გაზაფხულზე
ერთ-ერთ უბრალო, თათრულ ოჯახს სტუმრად წვეული,
მახსოვს, ფანჯრიდან ტაძრის რღვევას ვაკვირდებოდი,
სადაც დაიწყო ყოველივე: თათრულ საუბარს
შეერია რალაც ხმაური და ამ ხმაურმა გადაფარა
აღძრული ხმები. ტაძრის ეზო შეარღვია ექსკავატორმა
გაწვდილ ისარზე დაკიდული თუჯის სანგრევით
და კედლები ჩამოანგრია...

ნელა დანებდნენ მნგრეველ ძალას ძველი კედლები,
სასაცილოა, არ დანებდე, კედელი რომ ხარ,
და თვალწინ კი გიდგას სისასტიკე დამანგრეველი.

ექსკავატორი ალბათ თვლიდა უსულო საგნად
კედელს, მისივე მსგავსი იყო მისთვის კედელი,
უსულო საგნებს გასაყოფი არაფერი აქვთ.
მერე მოგროვდნენ თვითმცლელები, ბულდოზერები...

ერთხელ, იმავე ნატაძრალთან შეყოვნებული
მახსოვს, აბსიდის ნანგრევებზე ვიჯექი ღამით
და საკურთხევლის ღიობიდან ვუმზერდი წყვდიადს,
ხოლო წყვდიადში შორს ტრამვაი მიირწეოდა
და იმ ტრამვაის ანათებდა ფარნების მწკრივი...
ასეთ რამეს ხომ ტაძრის შიგნით ვერასდროს ნახავ,
რასაც ვხედავდი ჩამოშლილი საკურთხევლიდან.

დრო რომ მოაწევს და ამქვეყნად აღარ ვიქნებით,
ანუ ჩვენ შემდეგ საგანგებოდ ჩვენივ ადგილას
რაღაც ისეთი წარმოდგება, აღმოცენდება,
რაც შეაშფოთებს ახლობლებს და ნაცნობთა წრესაც,
თუმცა ცოცხალი ნაცნობთაგან ვინღა იქნება?

ასეა, ვიცი. ძველი ხსოვნის გადამკიდენი
იქ აიშვერენ ძაღლები ფეხს, სადაც ჰგონიათ,
ძველი ღობეა, არადა, იმ ღობის ნასახიც
არსად ჭაჭანებს, სინამდვილეს ჩვენება სძალავს,
ან შეიძლება იმ ფსუტის სუნს მიწა ინახავს,
იმ ფსუტის სუნმა ქვაფენილშიც გამოაღწია.

რა არის მათთვის ეს ტაძარი? სულ არაფერი.
სამაგიეროდ, აქვე არის ეზო და ბაღი
და, რაც კაცთათვის უმეტესად თვალსაჩინოა,
იმას ძაღლები, ჩვეულებრივ, არად აგდებენ.

აი, „ძაღლური ერთგულება“ ამას თუ ეთქმის,
და თუ მომიწევს თაობათა ესტაფეტაზე
ვრცელი ბაასი, მაშინ იქვე ვიტყვი იმასაც,
რომ მხოლოდ ამგვარ ესტაფეტას მივესალმები,
რადგანაც მჯერა იმათი, ვინც თავისდაწილად
უცდომელ ყნოსვას თავისთავში ისევ ინახავს.

აღარ შემორჩნენ ლენინგრადში უკვე ბერძნები
და თუ არა თვით საბერძნეთში, სადღა არიან?
იმდენად იკლეს, რომ ტაძრები შემოეცალათ,
შემოეცალათ ყველგან რწმენის საბინადრონი;
ეტყობა, მათგან აღარავინ არ მოითხოვდა
იმ შენობათა მიმართ რწმენას და სასოებას,
რომელთა შიგნით მორწმუნენი იკრიბებოდნენ...
ერთია, ერი მონათლო და დაამწყალობნო
და სხვაა მაინც იყო მისი ჯვარის მტვირთველი.
და თუმცა ჰქონდათ ერთადერთი ვალდებულება,
მათ ის ბოლომდე სათანადოდ ვერ აღასრულეს.
ძველი ნახნავი სარეველამ ისევ დაფარა.
„მთესველო, კარგად შეინახე შენი სახნისი,
გეტყვით, როდესაც მოვა ჟამი დათავთავების“.
მათ თავის კავი და სახნისი არ შეუნახავთ.

და აი, ღამით მე ფანჯრიდან გავყურებ სივრცეს
და ვფიქრობ: ნუთუ შორს შევტოპეთ, შორს გავიჭერით,
ელინიზმს უფრო დავშორდით თუ ქრისტიანობას?
რასთან ვართ ახლოს და რა არის ჩვენს სიახლოვეს?
იქნებ სულ მალე სხვა ჟამი და ერა დადგება?
და თუ ასეა, რაა ჩვენი საერთო ვალი
და რაღა უნდა მივიტანოთ მის სამსხვერპლოზე?

მიწაზე დაწყობილი ქვები

ეს არის ლექსი მიწისპირზე დაწყობილ ქვებზე,
უბრალო ქვები, სანახევროდ მზის უნახველნი,
უბრალო ქვები, რუხი ქვები, რუხი ლოდები,
ეპიტაფიის არამქონე შიშველი ქვები.

ქვები, ყოფისა და ცხოვრების მოზიარენი,
დღისით მზის სხივზე გაბრწყინვებულნი,
ხოლო ღამით მოციმციმე თევზის თვალივით
ჩვენი ყოფისა და ცხოვრების თანაშემსწრენი,
საჯილდაო და დოლაბის ქვები.
ქვები თვითმკვლელის ყელზე შებმული
და მდინარეში დამძირველნი სამიდღემშიოდ,
და კიდევ ქვები, თლილი ქვები პატიოსანი,
ფერადოვანი კრისტალები და წახნაგები.
ქვები, რომლებზეც ამოტვიფრეს: „თავისუფლება“,
ქვები, რომლებიც ჩააშენეს მაგარ ხიდებში,
ქვები, რომლითაც წამოზიდეს ციხის კედლები,
უძრავი ქვები, დროთა სვლამ რომ ვერ შეატოკა,
თუმც იდგა ჟამი ქვათა დაძვრის და გაფანტვისა;
და ასე ეწყო და აწყვია მიწაზე ქვები,
შიშველი ქვები არამქონე ეპიტაფიის,
ადამიანის კეფათა მსგავსი.

შავი ცხენი

ო, იმ საღამოს ცეცხლის პირას როცა ჩავსხედით,
ცხენი შევნიშნეთ წყვდიადიდან გამონასხლეტი.

ჩემ სიახლოვეს იდგა, როგორც ღამის ნიშანი,
არც არაფერი არ მინახავს მსგავსი სიშავის.
ის იყო შავი, როგორც ღამე, როგორც ნახშირი,
მხოლოდ სიშავეს ასხივებდა ფაფარაშლილი.
ზურგზეც სიშავე გადაჰკრავდა, შავად ასხმული
ადრეც არასდროს არ ყოფილა ის შეკაზმული.
და ასე იდგა, თითქოს თვლემდა, იდგა უძრავი,
მძიმე ფლოქვებიც შავი ჰქონდა შეუმუსრავი
და თან ისეთი შავი იყო, რომ მას მცირედი
აღარც სიშავე ეტყობოდა და არც ჩრდილები.
ის იყო ბნელი, რასაც ძნელად მისწვდები ფიქრით,
ისე, ვით ნემსი თავისთავში და თავის შიგნით.
ასე ბნელია ნეკნებს შორის მცირე მანძილი,
ანდა ის ღამე, ხეები რომ დგანან აწვდილი.
ორმოშიც ბნელა და მარცვალიც შთანთქა წიაღმა
და ჩვენ შიგნითაც სიბნელეა კუშტი, დიახაც...
მერე საათმა შუაღამის მოგვცა ნიშანი
და შავი ცხენი დაიფერა მეტი სიშავით.
უძრავად იდგა მხნე, გოროზი და უჯიათი
და შემპარავად ისრუტავდა შავ ცხენს წყვდიადი.
სინათლის სხივსაც კი ისხლეტდა შავად ნაფერი,
ზურგზეც სიშავე გადაჰკრავდა, სხვა არაფერი;
ორთავ თვალიდან მკრთალი სხივი სულ მოწვეთავდა
და თეთრი წვეთი, თეთრი წვეთი ენთო ერთთავად.

ჰგავდა ნეგატივს შავი ცხენი, ნეტავ რატომღა
შეწყვიტა ქროლვა, გაქვავდა და აღარ გატოკდა,
და ასე იდგა, ვიდრე ოდნავ არ ისისხამა,
ვიდრე უკუნი არ შეფერა ოდნავ ცისკარმა.

რამ გააქვავა, ნეტავ, გული რას აღუთქვამდა,
ასე რად იდგა, რატომ ძგერდა, რატომ სუნთქავდა,
ჯიქურ გვიმზერდა და არ იყო ქვეგამხედვარი, –
ჩვენ შორის სურდა ამოეცნო თავის მხედარი.

ოდისევსი ტელემაქს

დასრულდა უკვე ტროას ომი, ტელემაქ ჩემო,
ვინ გაიმარჯვა, აღარ მახსოვს და აღარც ვიცი,
ალბათ ბერძნებმა, ვინაიდან მხოლოდ მათ ძალუძთ
სხვათა მიწაზე თავის მკვდრების ასე გაფანტვა.
გრძელი გამოდგა მეტისმეტად გზა შინისაკენ,
ვიდრე იქ უქმად ვირჯებოდით, მანამდე თითქოს
პოსეიდონმა გამალებით გაჭიმა სივრცე
და ახლა უკვე ველარ ვიგებ, სად ვიმყოფები,
რაღაც ჭანჭრობი კუნძულია, ეკალ-ბარდებში
ჩაფლული ბაღი, ფიცრულები, ღორის ჭყვიტინი,
ქვა-ღორღი ყრია, კიდევ ვიღაც დედოფალია,
ყველა კუნძული ერთმანეთს ჰგავს, ტელემაქ ჩემო,
როცა ნიადაგ გზაში ხარ და ხარ მოგზაური,
თავგზა გებნევა, აბა, ტალღებს რა დათვლის ზღვაში,
როცა ჰორიზონტს გაჰყურებ და ცრემლი გდის თვალზე
შორსგაწვდენილი მზერისაგან. ყურთასმენას კი
ზღვის ცხოველების გამყივანი ხმა ეფეთება,
არა, არ მახსოვს რით დამთავრდა ომი, ტელემაქ,
და შენ რამდენი შეგისრულდა, აღარც ეს ვიცი.

ჩემო ტელემაქ, გაიზარდე, მოისხი მადლი,
კაცმა არ იცის, კიდევ სადმე თუ შევეყრებით,
შენ აღარა ხარ ის ყმაწვილი, რომლის თვალწინაც
მე მომიწია დაურვება მძვინვარ ხარების,
აღარ ვართ ერთად პალამედეს გამოისობით,
თუმცა ეს იქნებ ყველასათვის უმჯობესია,
ოიდიპოსის ვნებათაგან შენ თავდახსნილი
უცოდველ სიზმრებს ხედავ ახლა, ტელემაქ ჩემო.

***

ქრისტეს კვლავ მოუხმობს დედა:
– მაუწყე, თუ მე რა მეთქმის,
როდესაც შენ ჯვარცმულს გხედავ,
შვილი ხარ ჩემი თუ ღმერთი?

როგორი ვიწამო ხვედრი,
ანდა ვით შევაღო კარი
სახლის, შვილი ხარ თუ ღმერთი?
ცოცხალი ხარ შენ, თუ მკვდარი?

და ასე მიუგო ქრისტემ:
– მე ვარ ამქვეყნად, თუ არა,
ძე ვარ, თუ ვარ შენი ღმერთი,
შენი ვარ და გეტყვი კვლავაც:
შენი ვარ, შენთან ვარ-მეთქი.

ივლისის ინტერმეცო

ის გოგონები, ვეხვეოდით რომელთაც ადრე,
გოგონები, რომლებთანაც გვეძინა, ანდა
სხვები, ბიჭები, ჩვენთან ერთად რომლებიც სვამდნენ,
ნათესავები, საზიარო ლუკმის გამტეხნი;
მეზობელი, შორიახლოს რომელიც ჩანდა,
ერთი სართულით ზემოთ მცხოვრები,
დები და ძმები, მასწავლებლები,
აღარსად ჩანან, სად არიან,
აღარსად ჩანან, ვერ ვიახლოვებ
და ვერც ველარ ვეუცხოები.

შემოგვეპარა შემოდგომა ეს მერამდენედ,
ეს მერამდენე შემოდგომა უცნობი, უცხო,
ღამეში უცნობ სახეებს მე თვალს გავადევნებ,
ხოლო დღისით კი სახეები არის აქ სულ სხვა.
ო, ნუთუ ასე გარდავიდნენ, გარდაიცვალნენ,
ვისაც ვუყვარდი და შორიდან ვინც მე მეძახდა,
და ველარავინ ვნახე უკვე, ველარ ვიცანი,
ყველა წავიდა. მარტოღა ვარ, ნირი მეცვალა.

ძველსა და ახალ ქუჩებშიღა დავბორიალობ
და სულ არავინ არ შემხვდება და მაინც ვივლი,
კარს ვერ შევაღებ ვერსად, მაგრამ უნდა ვიარო,
უცხო ბინებში ხალისია, მე კი ამ ივლისს
გული მტკივა და მარტოსული დავბორიალობ.

ო, იხმაურე, ცხოვრებავ, და მე კი ამ ნაღველს,
ჩემ შიგნით უხმოდ შევინახავ და შევერევი,
ამ ახალ ხმაურს მივუშვირე ფერმკრთალი სახე
და იმ სიძველეს ვერ დაჩრდილავს მჭახე ფერები.

ო, იხმაურე, არ ჩააქრო შენი სანათი,
შენ მაგარ ქვაზე ჩემი ჩრდილი აღბეჭდე მკვეთრად,
ეგ ქვა დროდადრო წყვდიადიდან გამოანათებს
მე კი დავრჩები სამუდამოდ ჩემივე მკვდრებთან.

ძეგლი

აჰა, ქალაქი
და ამ ქალაქის გრძელი ქუჩის ბოლოკიდური,
ან შუაგული ფართო მოედნის,
და აი, სწორედ ამ მოედანზე
აღვმართოთ ძეგლი კონსტრუქციული,
ნებისმიერ ანსამბლში რომ ჩაეწერება
და არ იქნება არავისთვის ხელისშემშლელი.
კვარცხლბეკის ფერხთით
ყვავილების გვირგვინი ჩავდგათ
და თუ ქალაქის მესვეურნი ნებას დაგვრთავენ,
პატარა სკვერიც გავაშენოთ.
და იქ, მზისგულზე ჩამოსხდებიან ჩიტებივით
ჩვენი ბავშვები.
ნარინჯისფერი მზე კვარცხლბეკზე
გადმოიღვრება.
აქვე იდგება ვეება ძეგლი.
და ეგონებათ,
რომ ეს ძეგლია სახელგანთქმული
მოაზროვნის, ანდა გენერლის.
აქ ტურისტების სამყოფელი იქნება დღისით,
ხოლო ღამით კი პროჟექტორები
ქვემოდან ზემოთ გაანათებენ ძეგლის ხვეულებს.
ოღონდ ეგ არის:
ეს ცრუ ძეგლი იქნება,
ანდა
ეს იქნება ძეგლი სიცრუის.

თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**

ქეთევან კობიაშვილი

ქრისტე აღდგა! - ჭეშმარიტად!

გაგვითენდა დღე ნათელი,
სააღდგომო, უკუნისად,
ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად,
უკუნითი უკუნისად.

ცეცხლგარდმოსვლა მსწრაფლ მოგვეცა,
უკუნითი უკუნისად,
აღსარება ვთქვათ უფალთან,
დავილოცოთ უკუნისად.

მოყვასს ხელი გავუწოდოთ,
მოვეფეროთ უკუნისად,
დავრდომილი შევიყვაროთ,
უკუნითი უკუნისად.

წასულთ სულებს თაყვანი ვცეთ,
უკუნითი უკუნისად,
მომავალი გავამრავლოთ
სულჯანმრთელი, უკუნისად.

სიყვარულით ავაშენოთ
ეს ქვეყანა უფლის, ღვთისა,
სააღდგომო დღედ ვაქციოთ
ყოველი დღე, უკუნისად.

უფალი ჩვენ შეგვეწევა,
უკუნითი უკუნისად.

აღარაფრის გვეშინია!

ბერძნებთან ძლიერ ბრძოლაში
ამაყად გამარჯვებულნო,
თქვენ, საქართველოს ნაკრებო,
ფეხბურთის ნიჭით ცხებულო.

„ქოჩორა“, „კვარა“, „მამარდა“,
თქვენთან ჭიდილი ძნელია,
კვეკვესკირო თუ ზურიკო,
ეს გამარჯვება თქვენია.

ევროპულ გზას დაგილოცავთ,
ჩვენ, თქვენით ამაღლებულნი,
ფეხზე დგას მთელი ქვეყანა,
სამშობლოს ლოცვით ქებული.

ვლოცავთ თქვენს წარმომშობელსა,
ქვეყნის თავდადებულებსა,
მუსიკას მაჭარაშვილის, ირმას,
ლექსისა მთხრობელსა.

ფედერაციაც ამაყობს,
შორს წავა თქვენი სახელი.
წინაპართ ნატვრაც ასრულდა,
სამშობლო არის ნათელი.

ვმღერით თქვენთვის, კვლავაც თქვენთვის,
ზღაპრის ბოლო კეთილია,
გავიმარჯვებთ, კვლავ თქვენთან ვართ,
აღარაფრის გვეშინია!

2024 წლის 26 მარტი

უნიკალურს მომღერალს, ნუცა ბუზალაძეს

სულ პატარა, პაწაწინა,
სიმღერით რომ იბრძოდი,
მთის და სამეგრელოს შვილი,
სამშობლოსთვის იღვწოდი.

არაფერს არ უშინდები,
გვაოცებ, გვიხარია,
ნუცა ბუზალაძე რომ ხარ,
ვამაყობთ, რახანია.

მსოფლიო ხომ ფეხზე ადგა,
შენი ნიჭის წყალობით,
სიამაყე მოგვემატა
ქართველთ, შენი გალობით.

დაგლოცავთ და გეფერებით,
საქართველოს შვილებო,
საამაყო წინაპრებით
უფლის დალოცვილებო.

ბევრი ნანი, ბევრი ნუცა,
ხვიჩა, ლაშა გიორგი,
ჩამოთვლა გამიჭირდება,
გლოცავთ წმინდა გიორგი!

R

მანონი კაკაძე

ლოლიტა

ბაბუისა და ემიგრაციაში დაბადებული, სამშობლოში დაბრუნებული უცნობი შვილიშვილის პირველი შეხვედრა

ბილიკს მიჰყვება მოხუცი,
წელში მოხრილი, ჯოხითა,
ფიქრის მორევში ჩაფლული,
გარდასულ დროთა სრბოლისა.

ყმაწვილკაცობას იხსენებს,
იგონებს გულის ჩქროლვითა,
ეშხით მომხიბლველ თვალებით
დღესაც რომ ეტრფის ლოლიტას.

ანაზდად ხედავს, აოცებს
მისკენ მავალი ასული...
ასული ალვის ტანისა,
ნაზ მოგონებად წარსულის.

სახე ბადრ მთვარეს მიუგავს,
გამონათებას ცისკრისას,
თმები გიშრისფერ აშლილი,
ნიავით მოფრიალესა.

წარბი – მოზიდულ მშვილდ-ისარს,
სასროლად გამზადებულსა,
თვალნი იისფერ ციმციმა,
ვარსკვლავებ მობრჭყვიალესა.

ტუჩები – ბანტად შეკრული,
ვარდის კოკორთა მგვანეთა,
ყელი, ქათქათა გედივით,
ტბას ნაზად მოსრიალესა.

კბილები, თვალ-მარგალიტის,
მწყობრად ჩამოსხმულ ღილებად,
მკერდი, ბროლისებრ კოკრებად
ჟრუანტლის მომგვრელს, ცბიერად.

წელი, ელვისებრ მოქნილი,
სარტყელით დამშვენებულსა,
თეძო, ჯიშიან ფაშატსა,
შეჯიბრად გამზადებულსა.

მოხუციც უახლოვდება
გულის ძგერით და შფოთვითა,
თვალით ნანახს არ უჯერებს,
ღმერთო, როგორ ჰგავს ლოლიტას.

„ლოლიტა ვარო... ლოლიტა! –
ხმა, მოძახილი შორიდან, –
სამშობლოს დაბრუნებულ ვარ,
შენი ბადიში, ლოლიტა.“

მოხუცი გულში იხუტებს,
ნაზი ალერსით, შვილიშვილს,
როგორ გაზრდილხარ და უკვე
დაქალებულხარ ლოდინში.

ხელებაწვდილი, მუხლჩოქვით,
უფალს სთხოვს მაღლით ზეცასა,
ჯიში-ჯილაგი ამგვარი
არ მოუშალოს ქვეყანას.
ამინ!

ფრაგმენტის და მთელის

გამომცემლობა „ინტელექტი“ – ჟურნალი „ქართული მწერლობა“.

„...დადგება დრო, როდესაც მთელი მსოფლიო აღიარებს ამ გენიალურ პოემას, რომელსაც ასევე გენიალურ „ილიადასთან“ და „ოდისეასთან“ არაერთი მსგავსება აღმოაჩნდა, თუმცა კი, ამ მსგავსებათა მიუხედავად, რთულია იპოვო ერთმანეთისგან ასე განსხვავებული პოემები...“ რუსთაველი და ჰომეროსი, „ვეფხისტყაოსანი“ და „ოდისეა“. პარალელები ლევან ბერძენიშვილისგან.

დათო ტურაშვილის სამოგზაურო ჩანაწერებიდან: ფიჯი, ჩილი, მედეა, კოლხი, ჭომა, დაპატიჟება კინოში, ბრუკლინი, რაჭული სამოთხე, კუსამა, ამერიკული თავისუფლება, მოხისი, ჩემო კაპიტანო.

ფრაგმენტები გიორგი კაკაბაძის რომანიდან „დაწყევლილი დღესასწაული“: აკაკი, ცისფერყანწელები და იმერული თავაზიანობით შესრულებული ფრანგული რევერანსი.

„ყველაზე გრძელი სიყვარული“ – ეკა ქევანიშვილის ლექსი.

ფემინისტური დისკურსი ნანა აბულაძისგან – ქალი მწერლების შემოქმედება დიაქრონიულ ჭრილში.

ინტერვიუ ელა გოჩიაშვილთან: „როდის და როგორ მეწერება... ჩემები კარგად უნდა მეგულებოდნენ; ვიყო შინ; ვიყო მარტო; იყოს ღამე. ამ პირობათაგან მხოლოდ ღამე შემრჩა და დანარჩენი სამის გარეშე მანაც დაკარგა აზრი. ახლა ჩემი ცხოვრების უმძიმეს განსაცდელს, ჩემს ჯოჯოხეთს გავდივარ... ჩემი „შინ“ აღარ მაქვს, უბინაოდ დავრჩი“.

თათია ჯგუშიას რეცენზია დავით წერედიანის „შედევრებზე“.

ფრაგმენტები რომანიდან „კატა და გენერალი“. ნინო ხარატიშვილის ახალი ნობათი გერმანული ენიდან თარგმნა ნათია მიქაძე-ბახსოლიანმა.

გრიგოლ რობაქიძე იმ იშვიათ მწერალთაგანია, რომელიც სამ ენაზე წერდა – ქართულად, რუსულად და გერმანულად... განხილვის თემაა ერთი ლექსი – „ისიდა“. სტატიის ავტორია ნუგეშა გაგნიძე.

ავსტრიელი რომანისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, პოეტი, ესეისტი, სცენარისტი და კინორეჟისორი პეტერ ჰანდკე – 2019 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი: „ურჩხული ფრანკენშტაინი“ ანუ ლექსები, თარგმნილი გერმანულიდან ზვიად რატიანის მიერ.

Dum spiro spero – სანამ ვსუნთქავ, ვიმედოვნებ. მაკა ლდოკონენის ზღაპარი მწერალზე, რომელიც საიქიოშიც წერს.

ზაალ სამადაშვილის რეფლექსიები რეზო გაბრიაძის წიგნზე „ჩემი პატარა ქალაქი“.

აფინაჟი – წმენდა ლიტერატურულად

ჟურნალ „აფინაჟის“ ბოლო ნომერში შეგიძლიათ წაიკითხოთ:

ზურაბ ვახანიას „სიცოცხლის ფილოსოფია და მიღმასწრაფება“;

ეკატერინე პატარაიას „ნიკო ფიროსმანაშვილი – ძალიან უბრალო და საწყალი მხატვარი“;

გიორგი გოგოლაშვილის „მეც წუთისოფლის სტუმარი ვიყავ (შეხვედრები. ნაწილი მეხუთე. მუხრან მაჭავარიანზე)“;

ნუნუ ქადაგიძის მოთხრობა „ნატვრისთვალი“;

ნინო დარბაისელის, ანნა კომლაძის, ნინიკო მშვიდობაძის, ლალი კოპალიანის, პაატა (ბართოლომეო) მახარაძის, ნანა დვალიშვილის, ციური მესხიშვილის, ლია მუმლაძის, დალი ბანცაძის, პოეტ პოეტიშვილის, თამარ მახარაშვილის, სალო სილაგაძისა და სალო ანანიძის ლექსები.

როზა ზარანდიას თარგმანები რობერტ ფროსტიდან, სილვია პლათიდან, უილიამ უორდსვორთიდან, იოსებ ბროდსკიდან, ბორის პასტერნაკიდან და თალია ხაკიმიდან;

გარეკანის პირველ და ბოლო გვერდებზე გამოტანილია ჯონი გოგაბერიშვილის ქანდაკებები: „სიყვარულის ანატომია“ და „აკვანი“.





„თავისით დაწერილი“ წიგნი

ეტყობა, მოგონებები მაშინ უფრო იწერება, როცა მოგონებების დაწერაზე არ ფიქრობ.

პოეტი და მთარგმნელი **ბელა შალვაშვილი** სულ იმას ამბობს, რომ მოგონებების დაწერა არასოდეს უფიქრია, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით: გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა ბელას მოგონებათა კრებული. ეს მისი მემუარების მეორე წიგნია.

„დავბადებულვარ 1940 წლის 1 აპრილს. ერთი ცუდი ჩვევა ჰქონიათ ადრე, – როცა გაახსენდებოდათ, რომ ბავშვის დაბადების მოწმობა აღებული არა ჰქონდათ, მაშინ იღებდნენ ე. წ. ადგილობრივ საბჭოებში. ამიტომაც, ზოგიერთ საბუთში, პირველი აპრილის ნაცვლად, 12 დეკემბერი მიწერია, რაც სამართლიანი არ არის. კარგია, რომ ახლა სხვაგვარადაა და, ბავშვის დაბადების მოწმობას მისი დაბადებისთანავე იძლევიან“. – ასე იწყებს ბელა შალვაშვილი თავის მოგონებებს და გვიყვება ბავშვობის გარემოზე, მშობლებზე, პირველ ლექსზე, თბილისის 77-ე საშუალო სკოლაზე, რომელიც 1958 წელს დაამთავრა, პირველ პუბლიკაციებზე და შემდეგ მოდის მთელი ციკლი, რომელშიც გადმოცემულია ისეთ ცნობილ მწერლებთან შეხვედრების შთაბეჭილებები, როგორებიც არიან გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, პოლიკარპე კაკაბაძე, მუხრან მაჭავარიანი, ნაზი კილასონია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სერგი ჭილაია, ელგუჯა მაღრაძე, ზეზვა მედულაშვილი, გიგლა სარიშვილი, ვაჟა ყუბუსიძე, სოსო პაიჭაძე, იურა ბაქანიძე, ვოვა სიხარულიძე, გივი ჭიჭინაძე, შერმადინ ქალდანი, ლეილა ბეროშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, რევაზ ინანიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ანა კალანდაძე, მედეა კახიძე, ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი, გოდერძი ჩოხელი, ოთარ ჭელიძე, ნელი გაბრიჩიძე, თედო ბექიშვილი, თემურ ქორიძე, გურამ პეტრიაშვილი, ეთერ თათარაიძე, ქეთევან შენგელია და სხვები.

საინტერესოა ირანში, ეგვიპტეში, იაპონიაში, ინდოეთში, კანარის კუნძულებზე, მაროკოში, ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში, ბულგარეთსა და კუბაზე მოგზაურობის შთაბეჭდილებები.

სახეების, ამბებისა და შემთხვევების კალეიდოსკოპი და ავტორის მახვილგონივრული კომენტარები. ეს არის ბელა შალვაშვილის მოგონებათა წიგნი „გარდასულის კვალდაკვალ“, რომლის რედაქტორია ნანა კვაშილავა.

ვაჟა ბეთანელი

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG0000000161665862

გაზეთი გამოდის 2 კვირაში ერთხელ

დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ISSN 2720-8540
9 772720 854003 >

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com

გაზეთი მრავალი წელია აღარ გამოდის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსების მიერ

არა რუსულ კანონს!
კი ევროპას!